თენგიზ გიორგაძე

# ვერა მენჩიკიდან მაია ჩიბურდანიძემდე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, 1981

~~7 A 09 (09)~~
~~75.561 (0) P~~
794.1(∞) (09)+794.1 (092) მენჩიკი-დი-ჩიბურდანიძე) გ 511

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლის ისტორიას ვერა მენჩიკიდან მაია ჩიბურდანიძემდე, რომელიც ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტ დროს მოიცავს. მისი ავტორი — სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირისა და საჭადრაკო პრესის საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საერთაშორისო არბიტრი ჭადრაკში თენგიზ გიორგაძე ბოლო ოცდაათი წელია მსოფლიო პირველობის პერიპეტიებს აშუქებს. ბუნებრივია, რომ წიგნში არის მისი უშუალო შთაბეჭდილებები, რაც ნაშრომს დამაჯერებლობას მატებს.

წიგნში მოყვანილია მსოფლიო ჩემპიონების ნათამაშები პარტიები მათივე შენიშვნებით სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთიდან.

რედაქტორი ეკ. მაისურაძე, მხატვარი ა. დუმბაძე, მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინჯილია, ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი, კორექტორი ზ. მსხილაძე, გამომშვები ნ. მანაგაძე.

სბ. № 2222

გადაეცა წარმოებას 19/III-81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VII-81. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,44. ჩაკვრა 0,23. სააღრ.-საგამომც. თაბახი 4,11. პირ. საღ. გატ. 8,76. უე 00403. ტირაჟი 5000. შეკვ. № 1165.

ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი. მარჯანიშვილის 5.

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1981

## სათავეები

ჭადრაკის ძლიერად მოთამაშე ქალები უთუოდ შორეულ წარსულშიც იქნებოდნენ. XII საუკუნეში ამბობდნენ თურმე: „ჭკვიანი არ ეთქმის ქალს, თუ ჭადრაკს ვერ დაეუფლა". მაგრამ ჩვენამდე იმ დროიდან მხოლოდ ერთი-ორი მოჭადრაკე ქალის სახელმა მოაღწია. ასეთია, მაგალითად, ბიზანტიელი მწერალი ქალი ანა კომნენი (XII ს.), რომელიც წიგნში „ალექსიადა" გვიამბობს თავისი მამის — იმპერატორ ალექსი კომნენის ჭადრაკით გატაცების შესახებ.

XVI საუკუნეში, როცა თამაშის წესები საბოლოოდ დადგინდა, ჭადრაკი მთელ ცივილიზებულ სამყაროს მოედო. XVII—XVIII საუკუნეებში მან ფეხი მოიკიდა ოჯახებში, სალონებში და საზეიმო შეხვედრებიც გაალამაზა. სწორედ ამ დროს ჭადრაკი ქალებმაც დაამშვენეს. მათგან კარგ მოთამაშეებს საზოგადოება გამორჩეულად სცემდა პატივს.

ჟამთაალმწერლები გვაუწყებენ, რომ XVIII საუკუნეში გერმანიაში ძლიერ მოჭადრაკედ იყო აღიარებული დიდი პოეტის — ვოლფგანგ გოეთეს — დედა, რუსეთში — იმპერატორი ეკატერინე II და საიმპერატორო აკადემიის პრეზიდენტი გ. დაშკოვა, საფრანგეთში, ცოტა მოგვიანებით — მწერალი რემიუზა, რომელსაც თვით ნაპოლეონ ბონაპარტი დაუკლაშქრავს.

საქართველოში ქალი მუდამ კრძალვისა და თაყვანისცემის საგანი იყო. ამავე დროს, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ცხოვრებაში და ოჯახს დედაბოძად ედგა. ქალი ავრცელებდა განათლებასაც. ამიტომ, გასაკვირი და სამწუხაროა, რომ ისტორიამ არც ერთი მოჭადრაკე ქალის სახელი არ შემოგვინახა. ეს მით უფრო საოცარია, რომ XVII—XVIII საუკუნეებში ქართველებს წესად ჰქონდათ მზითევში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან" ერთად ძვირფასად ნაკეთები ჭადრაკის გატანება. ასე მოიქცა, მაგალითად, მეფე-პოეტი ვახტანგ VI, რასაც ადასტურებს მისი ასულის თამარის 1712 წლით დათარიღებული

მზითევის სია. მსგავს ფაქტს ვერც ერთი სხვა ხალხის წარსულში ვერ შეხვდებით. იქნებ ამ ტრადიციაშიც უნდა ვეძიოთ ჩვენი დიდოსტატი ქალების დღევანდელი საქვეყნოდ გახმაურებული წარმატებების საიდუმლოება.

XVIII საუკუნიდან ხალხმა გაიცნო ჭადრაკის ქალღმერთის — კაისას — სახელი. კაისა ინგლისელი პოეტისა და მეცნიერის — უ. ჯონსის — ფანტაზიის ნაყოფია. მკვლევარი საგანგებოდ სწავლობდა თამაშის წარმოშობის ისტორიას და ბოლოს ამ საკითხს ვრცელი პოემა უძღვნა. პოემაში ნაამბობია, თუ როგორ მოხიბლა ფერია კაისას სილამაზემ ომის ღმერთი მარსი. კაისას გული რომ ვერაფრით მოინადირა, მარსმა ჭადრაკი გამოიგონა. გონებაგახსნილ კაისას ახალი თამაში ისე მოეწონა, რომ ომის ღმერთიც შეიყვარა. პირმშვენიერი კაისა დღესაც ჭადრაკის მფარველ ქალღმერთად ითვლება.

ფართოდ გავრცელდა ჭადრაკი XIX საუკუნეში, რასაც ხელი შეუწყო ევროპასა და ამერიკაში საჭადრაკო ცხოვრების მძლავრმა მაჯისცემამ. 1851 წელს ლონდონში მოეწყო ვაჟთა პირველი საერთაშორისო ტურნირი, გახშირდა სახელგანთქმულ მოჭადრაკეთა შეხვედრები, დაისტამბა პირველი საჭადრაკო წიგნები, ჟურნალები. გაზეთებში გაჩნდა საჭადრაკო განყოფილებები. ყოველივე ამან გაამძაფრა ჭადრაკისადმი ქალების ინტერესი. ამ პერიოდიდან მოყოლებული თითქმის ყველა ქვეყანაში არიან ძლიერი მოჭადრაკე ქალები. მაგალითად, გერმანიაში ჭადრაკის საუცხოო თამაშით ცნობილი იყო რკინის კანცლერის — ო. ბისმარკის დედა (როგორც გადმოგვცემენ, ბერლინში მას ვაჟებშიც არ ჰყავდა ტოლი).

დიდ სარბიელზე მოჭადრაკე ქალები მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ. პირველი მერცხლები იყვნენ გერმანელი მოჭადრაკეები ანა შალოპი და ამალია პაულსენი. უფროსი ძმები ანასაც და ამალიასაც ცნობილი მოჭადრაკეები ჰყავდათ: ემილ შალოპი გენიალური ა. ანდერსენის მოწაფე და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი იყო, ლუი პაულსენი კი — გამოჩენილი ოსტატი და საჭადრაკო მოღვაწე. ამალიას მამა და ძმები ჩინებულად თამაშობდნენ ჭადრაკს.

პაულსენების ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა. 1857 წელს ამალია სწორედ ნიუ-იორკში შეხვდა მამამისს ოფიციალურ მატჩში და საპატიო ანგარიშით (5:6) დამარცხდა. მერე იგი თავის

ისტატ ძმას ვილფრიდს ეპაექრა და ყაიმს (2:2) მიაღწია. თანამედროვეთა ცნობით, ამალია ისტატის ძალით თამაშობდა.

70-იანი წლებიდან ქალები თამამად და წარმატებით მონაწილეობენ ვაჟთა ტურნირებში. ეს იყო მათი შემოქმედებითი წინსვლის ყველაზე უტყუარი გზა. მაგრამ მათ ყველგან როდი უშვებდნენ საასპარეზოდ. მაგალითად, ინგლისელმა ლუიზა ფაგანმა, შემდგომ ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორმა, 1881 წელს ბომბეიში (იმხანად იქ ცხოვრობდა) ვაჟთა ტურნირში თამაში რომ მოინდომა, სასტიკი უარი მიიღო. მიზეზად ის მოუდეს, რომ კლუბში ქალის შესვლა არ შეიძლებაო. მაშინ ფაგანმა კლუბის მესვეურებს შესთავაზა შეხვედრა „ნეიტრალურ სარბიელზე" და ყველა (12) მეტოქე დაამარცხა.

1895 წლის აგვისტოში ინგლისის ზღვისპირა სააგარაკო ქალაქ ჰასტინგსში გაიმართა XIX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ იმდროინდელი გამოჩენილი მოჭადრაკეები — მსოფლიო ჩემპიონი ე. ლასკერი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სტეინიცი, მ. ჩიგორინი, ზ. ტარაში, გ. პილსბერი, ჯ. ბლეკბერნი, კ. შლეხტერი, დ. იანოვსკი და სხვები. კორიფეთა ასპარეზობას დიდძალი მაყურებელი ჰყავდა. ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ ორგანიზატორებმა პარალელურად ქალთა ორი ტურნირიც მოაწყვეს. ამ თაოსნობამ ხელი შეუწყო ლონდონში ქალთა საჭადრაკო კლუბის დაარსებას. კლუბის მესვეურთა ენერგიული მეცადინეობით გაიმართა ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი და დასაბამი მიეცა (1904 წლიდან) ინგლისის ქალთა ჩემპიონატებს.

ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი 1897 წლის 23 ივნისს გაიხსნა ლონდონის სასტუმრო „ცეცილში". მონაწილეობის მსურველი 32 მოჭადრაკე იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა სათამაშოდ მათგან მხოლოდ 20 მიიწვიეს. გერმანული საჭადრაკო ჟურნალი „დოიჩე შახცაიტუნგი" წერდა, რომ „შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, გარდა ავსტრიისა და რუსეთისა".

ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია. „ცეცილში" და ლონდონის ქალთა საჭადრაკო კლუბში, სადაც შეჯიბრების მეორე ნახევარი ჩატარდა, ნემსი არ ჩავარდებოდა. მოჭადრაკეები დღეში ორ პარტიას თამაშობდნენ. ამ დაძაბულობას ბევრმა ვერ გაუძლო, რაც შეეტყო კიდეც პარტიების ხარისხს.

თავიდანვე დაწინაურდნენ ინგლისელები მ. რაჯი და ლ. ფაგანი, რომელიც იტალიის სახელით გამოდიოდა. მათ პირად შეხვედრაში გაიმარჯვა მ. რაჯმა და 18,5 ქულით I ადგილი დაიკავა. მეორე — ლ. ფაგანმა — 15,5 ქულით და მესამე — კ. ტოროლდმა (ინგლისი) — 14 ქულით.

მერი რაჯი (1847—1919 წწ.) თავისი დროის უძლიერესი მოჭადრაკე იყო მსოფლიოში. იგი ვაჟთა ტურნირებშიც ხშირად მონაწილეობდა. მაგალითად, 1877—1880 წლებში მან სამი მატჩი მოუგო ინგლისელ ოსტატ ა. ტოროლდს, რომელიც წინდაწინ მხედარს აძლევდა. ამიტომ მ. რაჯის გამარჯვება არავის გაჰკვირვებია. გამოცდილი მებრძოლი იყო ლუიზა ფაგანიც (1850—1931 წწ.). 80-იან წლებში მის პარტიებს თავის ჟურნალში აქვეყნებდა ცნობილი დიდოსტატი და ჟურნალისტი ი. ცუკერტორტი.

ტურნირის საზეიმო დახურვაზე (5 ივლისს) მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ინგლისელმა დიდოსტატმა ჯ. ბლეკბერნმა. მან თქვა: „თავიდან შეცდომად მიმაჩნდა ქალთა ტურნირის ჩატარება, მაგრამ მერე ყოველდღე რომ ვესწრებოდი თამაშს, იძულებული გავხდი აზრი შემეცვალა. ახლა კმაყოფილებით ვაღიარებ: ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი კარგი გამოვიდა და დიდი წარმატებაც ხვდა წილად". ინგლისური საჭადრაკო ჟურნალი „ბრიტიშ ჩესს მეგეზინ" წერდა, რომ ეს ტურნირი ეპოქალური მნიშვნელობისა იყო. მან დასაბამი მისცა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირების ისტორიას.

პირველმა წარმატებამ მოჭადრაკე ქალებს ფრთები შეასხა, მაგრამ მეორე მსგავსი ტურნირი მხოლოდ 1906 წელს მოეწყო ოსტენდში (ბელგია). ამ შეჯიბრებაში ინგლისელებმა გაიმარჯვეს (I. ა. ელისი — 11,5 ქულა 12-დან, II. ო. ანდერსონი — 11, III. ი. გერინგი — 10). ბელგიელებს ისე მოეწონათ ქალთა ასპარეზობა, რომ საერთაშორისო ტურნირს 1907 წელსაც უმასპინძლეს. პირველნი ამჯერადაც ინგლისელები იყვნენ ა. ელისი, კ. ფინი — 9—9 ქულა 10-დან. საინტერესოა, რომ კეტ ფინს, ისევე როგორც გამოჩენილ ამერიკელ მოჭადრაკეს ნელი შოვალტერს, მატჩში დამარცხებული ჰყავდა მსოფლიო ჩემპიონი ე. ლასკერი, რომელიც უმხედროდ თამაშობდა.

ამ ტურნირებმა და, პირველ ყოვლისა, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ჩემპიონატებმა ხელი შეუწყო ქალთა საჭადრაკო მოძრაობის წინსვლა-განვითარებას.

XX საუკუნის დამდეგს ევროპაში უკვე მძლავრად ჩქეფდა საჭადრაკო ცხოვრება, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა მისი განვითარება ხანგრძლივი დროით შეაჩერა. მხოლოდ 20-იან წლებში განახლდა დიდი ტურნირები, დიდოსტატთა შეხვედრები.

1920 წელს ჰასტინგსის უძველესმა საჭადრაკო კლუბმა (იგი 1882 წელს დაარსდა) საახალწლოდ საშობაო საჭადრაკო კონგრესი შემოიღო, რომლის დროსაც ბევრი სხვადასხვა რანგის ტურნირი გაიმართა. კონგრესი შესანიშნავ ტრადიციად იქცა. დღემდე 56 კონგრესი ჩატარდა და საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ დარჩენილა არც ერთი სახელგანთქმული დიდოსტატი, რომ ჰასტინგსში არ ეთამაშა. სწორედ ამ ტურნირებში (ვაჟებთან პაექრობაში) დაწინაურდა ბევრი მოჭადრაკე ქალი, რომლებიც შემდგომ აქტიურად მონაწილეობდნენ ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში.

ცხოვრებამ ჭადრაკის მესვეურებს დაანახვა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა. ამ ორგანიზაციას უნდა ეხელმძღვანელა ეროვნული ფედერაციების მუშაობისათვის, ჭადრაკის პროპაგანდისთვის, მოჭადრაკეთა მოღვაწეობისათვის. და აი, 1924 წლის 20 ივლისს პარიზში შეიქმნა ასეთი ორგანიზაცია — საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია (ფიდე), რომელმაც თავის დევიზად გამოაცხადა — „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ". ფიდე-ს დამფუძნებელმა კონგრესმა, რომელსაც თხუთმეტი საჭადრაკო მოღვაწე ესწრებოდა, პრეზიდენტად ჰოლანდიელი ა. რიუბი (1882—1959 წწ.) აირჩია.

ფიდე-ს დაარსების პერიოდში და მას შემდეგაც ევროპაში ხშირად ეწყობოდა მოჭადრაკე ქალთა შეხვედრები, ეროვნული პირველობები. მაგალითად, ინგლისში გოგონათა ჩემპიონატიც კი შემოიღეს. ჟურნალებში გამოჩნდა ქალთა პარტიებიც.

ფიდე-ს III კონგრესმა (ბუდაპეშტი, 1926 წ.) შემოიღო ქალთა შორის მსოფლიო პირველობის გათამაშება, რომელიც „ერთა ტურნირის" (მსოფლიოს გუნდური პირველობის ანუ, როგორც დღეს ვუწოდებთ, საჭადრაკო ოლიმპიადის) პარალელურად გაიმართებოდა. ეს იყო საერთაშორისო საჭადრაკო მოძრაობის ისტორიაში პირველი დიდმნიშვნელოვანი აქცია, რომელმაც ფიდე-ს ავტორიტეტი და აღიარება მოუტანა.

## ვერა მენჩიკის ტრიუმფი

1927 წლის ივლისში ლონდონში ფიდე-ს IV კონგრესის პარალელურად პირველად გაიმართა საჭადრაკო ოლიმპიადა და ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი.

18—29 ივლისს ინგლისის პარლამენტის შენობის ცენტრალური დარბაზი I საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე 16 გუნდს მასპინძლობდა. შეჯიბრებისადმი ინტერესი დიდი იყო, რადგან მოჭადრაკეთა მსგავსი ფორუმი ისტორიას არ ახსოვდა. გაიმარჯვეს უნგრელებმა. გუნდისთავს დიდოსტატ გ. მაროცის გადაეცა ჰასტინგსის საჭადრაკო კლუბის დამაარსებლის — ლორდ გამილტონ-რასელის მიერ დაწესებული პრიზი — მოოქრული თასი.

გამოჩენილ დიდოსტატთა და ოსტატთა დაძაბულმა ბრძოლამ ვერ დაჩრდილა მოჭადრაკე ქალთა ასპარეზობა.

ქალთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში ფიდე-მ ევროპის 12 ცნობილი მოჭადრაკე მიიწვია. ავსტრიიდან ჩამოვიდნენ პ. ვოლფ-კალმარი და გ. გარუმი. პირველი გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატის რ. რეტის მოწაფე იყო, მეორე — ქალთა სხვადასხვა ტურნირის პრიზიორი. პარიზელი მ. ფრიგერი საფრანგეთის სამგზის ჩემპიონი გახლდათ. შვეციამ გამოგზავნა გამოცდილი მოჭადრაკე კ. ბესკოვა, გერმანიამ — მ. დაუნკე, ნორვეგიამ — ს. სინევააგი. ინგლისმა შეარჩია საუკეთესო მოჭადრაკეები — ქვეყნის სამგზის ჩემპიონი ა. პრაისი, ექსჩემპიონები ე. ჰოლოვეი და ა. სტივენსონი, ახალგაზრდა მოთამაშეები ე. მიჩელი და ფ. ხიტჩისონ-სტირლინგი. მიწვეული იყო აგრეთვე ინგლისის ორგზის ჩემპიონი გოგონებს შორის ვერა მენჩიკი.

აი, რას წერდა ლონდონის გაზეთი „ივნინგ ნიუსი" 1927 წლის 22 ივლისის ნომერში: „ვესტმინისტერის ცენტრალური დარბაზი... მაგიდებს ცალკე უზის თორმეტი ქალი, რომლებიც ყურადღების ცენტრში არიან. თქვენ ჩაცმულობისა და სახის მიხედვით გამოიცნობთ მათ ეროვნებას. შვედი კატერინა ბესკოვი სერიოზული ქალი ჩანს, მაგრამ

მხიარული ფერის შალის პალტო აცვია, ავსტრიელი ჩემპიონი პაოლა ვოლფ-კალმარი, სკამის ზურგს მიყრდნობილი, რუსი მეტოქის ვერა მენჩიკის მორიგ სვლას ელოდება. მენჩიკი ხან დგება, ხან ჯდება სკამის ენერგიული გაწევით ან ჩაფიქრებული ბოლთას სცემს. გერმანელ მოჭადრაკეს დაუნკეს სახის გამოკვეთილი ნაკვთები აქვს, აცვია ხელით ნაქსოვი ბლუზა, მის მოძრაობაში მტკიცე ხასიათი იკითხება. კიხტა ფრიგერი, ფრანგების ჩემპიონი, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს-ესაა დაუტოვებია ჩოგბურთი და ზაფხულის სპორტი, რათა თავი ჭადრაკის სამყაროში ამოყოს: თითქმის წარმოუდგენელია, რომ ამ ქალებს, რომლებიც 5—6 ანდა 8 საათს უსხედან ჭადრაკს და სხვა რამეზე არ ფიქრობენ, შეუძლიათ ჩვეულებრივად იცხოვრონ. ტურნირის დამთავრებისას ისინი თავიანთ სახლებსა და ოჯახებს დაუბრუნდებიან. ის ოჯახები კი, რომელთაც ასეთი ღრმად მოაზროვნე და მიზნისთვის მებრძოლი ქალები ჰყავთ, იამაყებენ!“

სარბიელზე უძლიერესი მოჭადრაკეები იყვნენ, მაგრამ მიმომხილველები გამარჯვებას მაინც ახალგაზრდა მენჩიკს უწინასწარმეტყველებდნენ. ეს არ იყო მათი ახირება. უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ვერამ რამდენიმე საგულისხმო წარმატებას მიაღწია. მაგალითად, 1925 წლის გაზაფხულზე ორი მატჩი მოუგო ინგლისის ჩემპიონს ა. პრაისს, არცთუ ცუდათ გამოვიდა ჰასტინგსის საახალწლო ტურნირის შესარჩევ შეჯიბრებაში. მოჭადრაკე ვაჟები მას ანგარიშგასაწევ მეტოქედ მიიჩნევდნენ.

მართლაც, ვერა მენჩიკმა უდიდესი ძალითა და შესაშური მონდომებით ითამაშა. სტარტზე მან ზედიზედ დაამარცხა მთავარი კონკურენტები კ. ბესკოვი და პ. ვოლფ-კალმარი, მერე კი მ. დაუნკესა და ფ. ხიტჩისონ-სტირლინგს დააყრევინა ფარ-ხმალი. V ტურში მან დიდი შეუპოვრობა გამოიჩინა ა. სტივენსონის თავგამოდებული წინააღმდეგობის დასაძლევად.

მენჩიკმა ხელთ იგდო ლიდერობა. მისმა უახლოესმა მდევარმა ბესკოვმა მეორე პარტია წააგო ავსტრიელ მოჭადრაკესთან და მხოლოდ სამი ქულა დააგროვა, ერთით ნაკლები ახალგაზრდა მიჩელზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ბესკოვ-მიჩელის შეხვედრამ. მძაფრ თამაშში გაიმარჯვა ბესკოვმა, რომელიც ენერგიულად მიიწევდა წინ. ინგლისელმა გოგონამ კი თამაშის ნირი დაკარგა და მომდევნო ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ქულა მიიღო.

მენჩიკი კვლავ ლიდერობდა. მან ზედიზედ სძლია სინევაავს, პრაისს, გარუმს, ჰოლოვეისა და ფრიგერს. დასკვნითი, XI ტურის წინ ბესკოვს იგი 2 ქულით უსწრებდა და ტურნირში გამარჯვებაც განაღდებული ჰქონდა. მაგრამ მიჩელთან პარტიაში მაინც მონდომებით თამაშობდა. მერე, რაკი ვერაფერს გახდა, ყაიმს დასჯერდა.

ჩემპიონატი ასე დამთავრდა: I. ვ. მენჩიკი — 10,5, II. კ. ბესკოვი — 9, III. ჰ. ვოლფ-კალმარი — 7, IV—V. ე. მიჩელი, ე. ჰოლოვეი — 6—6, VI. ა. პრაისი — 5,5, VII. გ. გარუმი — 4,5, VIII. ფ. ხიტჩისონ-სტირლინგი — 4, IX—XI. მ. ფრიგერი, ა. სტივენსონი, ს. სინევაავი — 3,5—3,5, XII. მ. დაუნკე — 3.

შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე ფიდე-ს პრეზიდენტმა ა. რიუპმა ვერა მენჩიკი ქალთა შორის მსოფლიოს პირველ ჩემპიონად გამოაცხადა და სახელობითი ოქროს მედალი გადასცა.

ჭადრაკის სამყარო მოწონებით შეხვდა ქალთა საჭადრაკო მოძრაობის ასეთ განვითარებას. აინტერესებდათ, ვინ იყო ვერა მენჩიკი, როგორი იყო გარეგნობით, როგორ ვითარდებოდა მისი საჭადრაკო კარიერა. ჟურნალ-გაზეთებმა დასტამბეს ახალგაზრდა ჩემპიონის პორტრეტები, ბიოგრაფიული ცნობები, მაგრამ საკუთარ თავზე გულშემატკივრებს ყველაზე კარგად თვით ჩემპიონმა უამბო. აი, რას წერდა იგი:

„ჭადრაკში ჩემი წარმატებები 1923 წლის გაზაფხულიდან იწყება, როცა ჰასტინგსის საჭადრაკო კლუბში შევედი. თუმცა თამაში მამამ მასწავლა, ჯერ კიდევ რუსეთში, ცხრა წლისა რომ ვიყავი, მაგრამ ინგლისში ჩამოსვლამდე არ მქონდა შესაძლებლობა სერიოზულად მოვკიდა მისთვის ხელი.

დავიბადე რუსეთში, მოსკოვში, 1906 წლის 16 თებერვალს. წარმოშობით ჩეხი ვარ, თუმცა ინგლისურ გაზეთებში აქამდე რუსად მიხსენიებენ. მამაჩემი ჩეხია, დედა — ნახევრად ინგლისელი. ვინაიდან ჩეხურად ვერ ვლაპარაკობ (იქ მხოლოდ გავლით ვიყავი რამდენიმე კვირა) და ინგლისში ჩამოსვლამდე მხოლოდ რუსული ვიცოდი, არცაა გასაკვირი, რომ რუსად მლებულობდნენ. განათლებაც მოსკოვში მივიღე: ჯერ ქალთა კერძო გიმნაზიაში, შემდეგ კი — საბჭოთა სკოლაში. ამას იმიტომ ვახსენებ, რომ მოსკოვში ყოფნის ბოლო წელს მოსწავლეთა კლუბში გაიხსნა მოჭადრაკეთა წრე, რომელშიც მეც ჩავეწერე...

სამწუხაროდ, რუსეთში ყოფნისას არც სკოლაში და არც ჩემს კერძო

ცხოვრებაში მოჭადრაკე ქალს არ შევხვედრივარ. 1921 წლის შემოდგომაზე მთელი ოჯახით საზღვარგარეთ გავემგზავრეთ.

ხშირად მეკითხებიან, რამ მაიძულა ჭადრაკით სერიოზულად დავინტერესებულიყავი? თითქოს ღრმა დუმილი და თამბაქოს კვამლის ატმოსფერო არ შეეფერებოდა ახალგაზრდა ქალს. ცხოვრების სხვა პირობებში იქნებ არც მეფიქრა დროის ასე გატარება, მაგრამ ჭადრაკი ჩუმი თამაშია და ამიტომ იგი საუკეთესო გართობაა ადამიანისთვის, რომელმაც ენა არ იცის.

მდგომარეობა ხელს მიწყობდა. ჰასტინგსის საჭადრაკო კლუბში ბევრი კარგი მოთამაშე იყო. ზოგიერთი მათგანი ჩემი თამაშით დაინტერესდა და დამეხმარა კიდეც... თანდათან ჩავწვდი დახურული დებიუტების საიდუმლოებას. შემდეგ ჩამოვიდა მაროცი. რას წარმოვიდგენდი, რომ ინგლისში, კერძოდ ჰასტინგსში, ბედნიერება მექნებოდა უნგრელ მაესტროს შევხვდებოდი და მისი მოწაფე გავხდებოდი... მისმა გაკვეთილებმა არათუ განამტკიცა ჩემი თამაში თეორიის მხრივ, არამედ საჭირო სტიმულიც მომცა. საკლუბო ტურნირებში სამთვიანი პრაქტიკის შემდეგ გადავწყვიტე, ბედი მეცადა 1923—24 წლების საშობაო კონგრესის პირველთანრიგოსანთა შეჯიბრებაში. კარგი შედეგი არ მქონდა, ცხრა პარტიაში 3,5 ქულა მოვაგროვე. სამაგიეროდ, შავებით ყაიმით დავამთავრე შეხვედრა მისის პრაისთან, ინგლისის ჩემპიონთან. ტურნირის დამთავრების შემდეგ მაროცი ამერიკაში გაემგზავრა, ჩემი საჭადრაკო განათლება კი დრიუიტის მოთმინებასა და გამოცდილებას გადააბარა. კლუბში კვირაში ოთხჯერ ან ხუთჯერ დავდიოდი და ყველა დიდ და პატარა ტურნირში ვმონაწილეობდი. ამის შედეგად მომდევნო საშობაო ტურნირში უკეთესად გამოვედი. პირველთანრიგოსანთა ტურნირში 7-დან 5 ქულით II ადგილი დავიკავე. პრაისს ისევ შავებით შევხვდი და ყაიმს მივაღწიე. მისის პრაისმა აღიარა, რომ მასზე სუსტი აღარ ვიყავი და რადგან იცოდა, რომ უცხოელს ბრიტანეთის საჭადრაკო ფედერაციის ქალთა ტურნირებში მონაწილეობის უფლება არ მქონდა, დიდსულოვნად შემომთავაზა მატჩის თამაში. პირველი მატჩი 1925 წლის აპრილში შედგა და დამთავრდა ასეთი შედეგით: +2—1=2. ორი თვის შემდეგ მატჩ-რევანში ვითამაშეთ ასეთი შედეგით: +3—2. აი, ჩემი ზოგიერთი სხვა შედეგიც: 1925—26 წლებში პირველად მივიღე მონაწილეობა ჰასტინგსის მთავარ ღია ტურნირში, სადაც საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ინგლისელების გარდა ერთი

უცხოელიც თამაშობდა. მე 9-დან 3 ქულით VII—X ადგილები გავიყა-ვი, 1926—27 წლებში უკვე მთავარ სარეზერვო ტურნირში ცნობილ ოს-ტატ პ. მილნერ-ბერისთან I—II ადგილები გავინაწილე".

სხვათა შორის, ეს იყო ვერა მენჩიკის პირველი თვალსაჩინო წარ-მატება ვაჟებთან პაექრობაში.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულმა ნიჭიერი მოჭადრაკე ქალი დიდ სარბიელზე გაიყვანა. იგი ვაჟთა ტურნირების სასურველი მონაწილე გახდა.

## კვლავ უძლეველი

იმ ხანად ევროპის ქვეყნების ეროვნულ საჭადრაკო ფედერაციებს ქალთა ჭადრაკი დიდი ყურადღების ღირსად ჯერ კიდევ არ მიაჩნ-დათ. ამბობდნენ, ქალები სუსტად თამაშობენ და მათი შეჯიბრებისთვის თანხები არ გვაქვსო. ამიტომ არც ტარდებოდა საერთაშორისო ტურნი-რები. მაგრამ დიდმა აღიარებამ ვერა მენჩიკს ფართოდ გაუღო ვაჟთა ტურნირების კარი. ისიც დიდი გზნებით ჩაება მათთან პაექრობაში. თავისი მოღვაწეობის მანძილზე ვერა მენჩიკმა ითამაშა ვაჟთა 50 და ქალთა მხოლოდ 9 ტურნირში.

მსოფლიოს II პირველობამდე, 1928—1930 წლებში, მენჩიკი ვაჟ-თა რამდენიმე თვალსაჩინო ტურნირში გამოვიდა. აქედან ზოგიერთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. ყმაწვილმა ქალმა სწორედ ამ შეჯიბრებებში განიმტკიცა დიდად ნიჭიერი მოჭადრაკის სახელი.

1928 წლის მაისში სკარბოროში (ინგლისი) ვერა მენჩიკმა პირ-ველად იბრძოლა ოსტატ ვაჟთა ტურნირში. დებიუტი მოკრძალებული აღმოჩნდა, მაგრამ ვერამ იქ პირველად მოუგო ინგლისის მრავალგზის ჩემპიონს სახელგანთქმულ ფ. ეიტსს.

1929 წლის გაზაფხულზე რამსგეთის (ინგლისი) ჭადრაკის მე-ხვეურებმა საინტერესო მატჩ-ტურნირი მოაწყვეს: შვიდი უძლიერესი ინგლისელი ოსტატი შეახვედრეს ამდენივე უცხოელ მოჭადრაკეს, მათ შორის ხ. კაპაბლანკას (კუბა), ა. რუბინშტეინსა (პოლონეთი) და გ. მაროცის. უცხოელთა კოჰორტაში ინგლისელებმა მენჩიკიც შეიყვა-ნეს (ამ დროს იგი უკვე ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეა). ჩემპიონმა ქალ-მა ბრწყინვალედ ითამაშა: რუბინშტეინთან ისე გაიყო II—III ადგი-ლები, რომ პარტია არ წააგია. პირველი კაპაბლანკა იყო.

დიდი რეზონანსი მოჰყვა ვერა მენჩიკის მონაწილეობას კარლსბადის (ამჟამად — კარლოვი ვარი) 1929 წლის საერთაშორისო ტურნირში. იგი პირველად გამოდიოდა მშობლიურ ჩეხოსლოვაკიაში, სადაც უნდა შეხვედროდა გამოჩენილ დიდოსტატებს ხ. კაპაბლანკას, გ. მაროცის, მ. ეივეს (ჰოლანდია), ე. გრიუნფელდს, რ. შპილმანს (ორივე — ავსტრია), ფ. მარშალს (აშშ), ს. ტარტაკოვერს (საფრანგეთი), ფ. ზემიშს (გერმანია), ა. ნიმცოვიჩს (დანია), ე. კოლეს (ბელგია) და სხვებს.

ყველას აინტერესებდა ჩემპიონი ქალის გაცნობა, რომელიც დიდ ნიჭიერებასთან ერთად გარეგნულადაც მიმზიდველი იყო. თვით ვერას მანამდე არასოდეს უთამაშია ესოდენ გახმიანებულ ვაჟთა ტურნირში. ოსტატი ვაჟები ირონიულად უყურებდნენ მის შესაძლებლობას, თუმცა კარგად ახსოვდათ კაპაბლანკას ნათქვამი რამსგეთის შეჯიბრების შემდეგ: მენჩიკი ერთადერთი ქალია, რომელიც მამაკაცივით თამაშობსო.

აი, რას იხსენებს დიდოსტატი ს. ფლორი:

„კარლსბადის ტურნირზე კორესპონდენტად ვიყავი. ვერა მენჩიკის მიწვევას ბევრი მონაწილე ღიმილით შეხვდა. განსაკუთრებით ირონიულად მიიღო იგი ავსტრიელმა ოსტატმა ბეკერმა. მახსოვს რამდენიმე ოსტატის თანდასწრებით ბეკერმა იხუმრა: „მოდით, შევთანხმდეთ — ვინც წააგებს ჩემპიონ ქალთან, იგი მივიღოთ „ვერა მენჩიკის სახელობის კლუბში", რომლის ჩამოყალიბებასაც გთავაზობთ". ვერ გეტყვით, იცოდა თუ არა ვერა მენჩიკმა ამ საუბრის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ძალიან სასიამოვნო იყო, როდესაც ვენელმა პროფესორმა თავად წააგო მენჩიკთან პარტია. საღამოს ოსტატები ისევ შეიკრიბნენ და ხუმრობა დაიწყეს: „თქვენ, პროფესორო ბეკერ, დიდი შრომა არ დაგჭირდათ კლუბში შესასვლელად. როგორ გაგიღიმათ ბედმა! მაგრად გაგწურათ ვერა მენჩიკმა! მაშ, იყავით ახალი კლუბის თავმჯდომარე". და იქვე, საერთო სიცილ-ხარხარში, ბეკერი აირჩიეს თავმჯდომარედ სამი წლით. ყველამ უსურვა ახალგაზრდა კლუბს ახალი წევრების შეძენა". მომდევნო წლებში მენჩიკმა ამ იმპროვიზებულ კლუბში ასამდე დიდოსტატი და ოსტატი „გააერთიანა".

კარლსბადში ახალგაზრდა ქალის თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი ა. ალიოხინი ტურნირის შედეგების განხილვისას წერდა: „ვერა მენჩიკი უდავოდ განსაკუთრებული მოვლენაა ქალთა შორის. მას ჭადრაკის დიდი ნიჭი აქვს. შემ-

დგომში მუშაობითა და ვარჯიშით საშუალო ოსტატიდან საერთაშორისო ოსტატამდე გაიზრდება. ყურადღებას იქცევს მისი სამა ქულა, რაც ოსტატებთან შეხვედრებში დააგროვა. ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ მენჩიკს კარგი პოზიციები ჰქონდა ეიევესთან, ტრეიბალთან, კოლესთან, ვიდმართან, შპილმანთან, მაგრამ გამოუცდელობის გამო ვერ შეძლო უპირატესობის რეალიზება".

1929—30 წლის ზამთარში მენჩიკმა პირველად ითამაშა ჰასტინგსის მთავარ საშობაო საერთაშორისო ტურნირში. მან დაამარცხა ინგლისელ მოჭადრაკეთა ლიდერი ფ. ეიტსი, ჯ. თომასი, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები თავის მასწავლებელ გ. მაროცისთან და დიდოსტატ მ. ვიდმართან (იუგოსლავია). 9-დან 3,5 ქულით ვერამ ბოლოსწინა ადგილი დაიკავა.

ამ ტურნირის დროს ვერა მენჩიკს გადაეცა მსოფლიო ჩემპიონის გარდამავალი თასი, რომელზეც მისი სახელი იყო ამოტვიფრული. ეს პრიზი ახლაც არსებობს, როგორც ფიდე-ს ჯილდო ქალთა მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულისთვის. 1950 წლიდან თასს საბჭოთა მოჭადრაკეები ფლობენ. პრიზი მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ინახება. მასზე ამოკვეთილია ყველა მსოფლიო ჩემპიონის გვარი და ტახტის მოპოვების წელი ვერა მენჩიკიდან მაია ჩიბურდანიძემდე.

მოახლოვდა მსოფლიოს II პირველობის სტარტიც. შეჯიბრება მოეწყო ჰამბურგში III საჭადრაკო ოლიმპიადის პარალელურად 1930 წლის 13—27 ივლისს.

ფიდე-ს გადაწყვეტილი ჰქონდა პირველობაში სათამაშოდ დაეშვა 8 მოჭადრაკე (თითო მონაწილე სხვადასხვა ქვეყნიდან), მაგრამ საასპარეზოდ მხოლოდ ხუთნი ჩამოვიდნენ ვ. მენჩიკი, პ. ვოლფ-კალმარი (ავსტრია), გ. გარუმი (გერმანია), კ. ბესკოვი (შვეცია) და ინგლისის ჩემპიონი ა. სტივენსონი. მეტოქენი ორწრიან ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს.

თქმა არ უნდა, ყველა ფიქრობდა, რომ მენჩიკი ადვილად შეინარჩუნებდა ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ ბრძოლა ძალზე მძაფრად წარიმართა.

პირველი წრის ოთხ შეხვედრაში ვერამ მხოლოდ 2,5 ქულა მოაგროვა. მან ყაიმით დაამთავრა პარტია ვოლფ-კალმართან, მოულოდნელად დამარცხდა ახალგაზრდა ვალი გენჩელთან (ეს არის მენჩიკის

ერთადერთი წაგება მსოფლიო პირველობებში ნათამაშები 83 პარტიიდან) და ვოლფ-კალმარმა ქულით გაუსწრო.

ჩემპიონობის ბედი უნდა გადაეწყვიტა მეორე წრეს, კერძოდ მენჩიკის შეხვედრას ვოლფ-კალმართან. მაგრამ ამ პარტიაში ბრძოლა არ გამოვიდა. ავსტრიელმა მოჭადრაკემ უხეიროდ გაითამაშა დებიუტი და ინიციატივას დაუფლებულმა მენჩიკმა პირდაპირ გაანადგურა იგი. მერე ვერამ ზედიზედ მოუგო გენჩელს, ბესკოვსა და სტივენსონს. 6,5 ქულით იგი პირველი იყო ფინიშთან. II ადგილი ხვდა პ. ვოლფ-კალმარს — 5,5, III ადგილზე დარჩა ვ. გენჩელი — 4. კ. ბესკოვმა 2 ქულა მოაგროვა, ა. სტივენსონმა — 1,5.

ფიდე-მ მეორედ გამოაცხადა ვერა მენჩიკი მსოფლიო ჩემპიონად და ოქროს მედლით დააჯილდოვა.

## მშობლიურ პრაღაში

1931 წელს ჩეხოსლოვაკიის საჭადრაკო კავშირს 50 წელი უსრულდებოდა. ფიდე-მ მხედველობაში მიიღო ჩეხოსლოვაკელთა თხოვნა და IV საჭადრაკო ოლიმპიადა პრაღაში ჩაატარა. ცხადია, აქვე მოეწყო ქალთა III მსოფლიო პირველობაც.

ჩეხოსლოვაკიის საჭადრაკო კავშირი დიდი გულისყურით მოემზადა სტუმრების მისაღებად. შეჯიბრების ადგილად შეარჩიეს პრაღის პოპულარული კაფე „უ ნოთავკი", რომლის დიდი დარბაზი 800-მდე მაყურებელს იტევდა. მაგრამ მოჭადრაკე ქალები მომცრო ოთახში ათამაშეს. ეს, სხვათა შორის, არ იყო შემთხვევითი, რადგან ქალთა ჭადრაკს ჯერ კიდევ ალმაცერად უყურებდნენ. მათი პირველობის შედეგებს მხოლოდ სპეციალურ საჭადრაკო პრესაში მიმოიხილავდნენ ხოლმე.

ამ დროს ფინანსების მხრივ ფიდე-საც უჭირდა, რადგან კაპიტალისტურ სამყაროში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებდა. ამიტომ ქალთა ტურნირში, ისევე როგორც ჰამბურგში, ახლაც მხოლოდ ხუთი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ორწრიან მატჩ-ტურნირში (11—26 ივლისი) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს იგივე მოჭადრაკეები ეცილებოდნენ: ვ. მენჩიკი, ა. სტივენსონი, პ. ვოლფ-კალმარი, კ. ბესკოვი და ვ. გენჩელი.

ვერა მენჩიკი პირველად თამაშობდა პრაღაში და, ცხადია, დიდად იყო მონდომებული გაეხარებინა თანამემამულენი. მიმომხილველები

'წერდნენ, რომ მენჩიკი ჭადრაკის დედოფლის ტახტს ამჯერადაც არავის დაუთმობდა. ამ აზრს თავისი გამართლება ჰქონდა.

ჰამბურგის შემდეგ, ერთი წლის მანძილზე, ვერა მენჩიკმა ვაჟთა ორ ტურნირში იზეიმა შთამბეჭდავი გამარჯვება.

1930—31 წლების ჰასტინგსის XI საშობაო მთავარ ტურნირში, სადაც მეტოქეებად ჰყავდა ხ. კაპაბლანკა, მ. ეივე, ინდოელი სულთანხანი, ა. კოლე, ფ. ეიტსი, ჯ. თომასი და სხვები, მან VIII—IX ადგილები გაიყო. სენსაცია მოახდინა მენჩიკის გამარჯვებამ ეივესთან შეხვედრაში. ჰოლანდიელმა დიდოსტატმა I ადგილი დაიკავა და მეტი არავისთან წაუგია.

1931 წლის ზაფხულში მენჩიკი ბრიტანეთის საჭადრაკო ფედერაციის ღია საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. აქ იგი მეტოქეობას უწევდა ძლიერ ოსტატებს ინგლისელებს გ. გოლომბეკს, ამჟამად ცნობილ საერთაშორისო არბიტრსა და საჭადრაკო მოღვაწეს, ა. ჯეკსონს, საფრანგეთში მცხოვრებ რუს ვ. ზნოვსკო-ბოროვსკისა და სხვებს. ვერა მენჩიკმა შვიდი შეხვედრა მოიგო, ოთხი ყაიმით დაამთავრა და I ადგილი დაიკავა.

ამიტომაც იყო, რომ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებას ჟურნალისტები ვერა მენჩიკს უწინასწარმეტყველებდნენ.

პირველ წრეში მენჩიკმა ოთხივე მეტოქეს მოუგო, მეორეშიც არავინ დაინდო და 8 ქულით გაიმარჯვა. II ადგილზე გასული პ. ვოლფკალმარი მას 4 ქულით ჩამორჩა.

პირველ წრეში კარგად თამაშობდა სტივენსონი, რომელიც მხოლოდ მენჩიკთან დამარცხდა, მაგრამ განმეორებით შეხვედრებში სამი პარტია წააგო და 3,5 ქულით III ადგილზე დარჩა. ვოლფ-კალმარმა კი პირიქით, პირველ წრეში მხოლოდ ქულა აიღო, სამაგიეროდ, მეორეში მენჩიკის გარდა ყველას მოუგო. ბესკოვმა 2,5 ქულა მოაგროვა, გენჩელმა — 2.

ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ ცხადყო ვერა მენჩიკის გაზრდილი ოსტატობა, დახვეწილი გემოვნება და ენდშპილის თამაშის მაღალი ტექნიკა. იგი ამართლებდა 1929 წელს ჟურნალისტისთვის ნათქვამ სიტყვებს: „უწინ მხოლოდ გასართობად ვთამაშობდი, შემდეგ — იმისთვის, რომ მესწავლა. ახლა ვთამაშობ, რათა შევქმნა“. შემდგომ ახალგაზრდა ჩემპიონი უფრო ხშირად ვაჟთა ტურნირებში გამოდიოდა, რადგან ქალთა შორის ღირსეული მეტოქე არ ჰყავდა.

პრაღიდან ვერა მენჩიკი გაემგზავრა ანტვერპენს, სადაც ინგლისის ვაჟთა გუნდის შემადგენლობაში ბელგიელ მოჭადრაკეებთან გამართულ ამხანაგურ მატჩ-ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

## მეტი დაბეჯითებით

პრაღაში გამართულმა ფიდე-ს კონგრესმა დააკმაყოფილა ესპანეთის ჭადრაკის მესვეურთა თხოვნა და V საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობა მათ მიანდო. ესპანელებმა სტუმრები 1933 წლის ზაფხულისთვის მიიწვიეს. ამ დიდ ფორუმამდე, სადაც ქალთა მსოფლიო პირველობაც უნდა ჩატარებულიყო, საკმაო დრო იყო. ვერა მენჩიკი, როგორც ყველა გამოჩენილი მოჭადრაკე, „არდადეგების“ პერიოდში ხვადასხვა ტურნირში მონაწილეობს.

აქტიურ საჭადრაკო მოღვაწეობაში ვერა მენჩიკი მხოლოდ 1931 წლის მიწურულს ჩაება. იგი ჰასტინგსის XII კონგრესის ოსტატთა მთავარ ტურნირზე მიიწვიეს. ტრადიციულ შეჯიბრებაზე ცნობილი მოჭადრაკეები შეიკრიბნენ — ჰოლანდიელი მ. ეივე, ჩეხოსლოვაკიელი ს. ფლორი, შვედი გ. შტოლცი, ამერიკელი ი. კაჟდენი, ინდოელი სულთან-ხანი და ოთხი ინგლისელი: ჯ. თომასი, ფ. ეიტსი, ი. მიტჩელი, კ. ჯეკსონი.

ჩემპიონი ქალი ჭადრაკს დანატრებული თამაშობდა. ფართოდ გახმიანდა მისი გამარჯვება მ. ეივესთან შეხვედრაში. ამ ამბავმა დიდოსტატის მეუღლის ყურამდეც მიაღწია. ეს იყო ეივეს მეორე წაგება ახალგაზრდა მოჭადრაკესთან. ქალბატონმა ეივემ შინ დატოვა სამი მცირეწლოვანი გოგონა და ინგლისს მიაშურა. ჰასტინგსში ახალი ამბავი დახვდა: თურმე მენჩიკმა სულთან-ხანსაც დააყრევინა ფარ-ხმალი. ქალბატონი ეივე მიხვდა, ეჭვის მიზეზი არ ჰქონდა და ამსტერდამს გულდამშვიდებული დაბრუნდა.

1968 წელს მაქს ეივე საქართველოში გვეწვია. მაშინ მან გვითხრა, მენჩიკთან სამი პარტია მაქვს წაგებულიო, მაგრამ არ დაუზუსტებია, მესამე როდის და სად წააგო. სხვათა შორის, ისიც დასძინა, რომ ასეთი „საუკეთესო ანგარიშისთვის“ ვერას კლუბის მუდმივ პრეზიდენტად ამირჩიესო.

ამ ტურნირში მენჩიკმა კიდევ ერთი პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაამთავრა და V—VIII ადგილები გაიყო, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით VI ადგილი ხვდა.

1932 წელს მსოფლიო ჩემპიონმა რამდენიმე ძლიერ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია ლონდონში გამართული ორი შეჯიბრება — ერთი გახლდათ საერთაშორისო ტურნირი დიდოსტატთა მონაწილეობით. აქ მენჩიკი შეხვდა ძველ ნაცნობებს: ს. ფლორს, ი. კეჟდენს, გ. მაროცის, სულთან-ხანს, ს. ტარტაკოვერს და პირველად მოუხდა თამაში მსოფლიო ჩემპიონ ა. ალიოხინთან. ჩემპიონმა ქალმა 4,5 ქულით VIII ადგილი დაიკავა. მეორე შეჯიბრება იყო ბრიტანეთის საჭადრაკო ფედერაციის მთავარი ღია ტურნირი, სადაც მენჩიკს დიდი წარმატება — II ადგილი ხვდა წილად.

1932—1933 წლების გასაყარზე ვერა მენჩიკი უკვე მეათედ მონაწილეობდა ჰასტინგსის საშობაო კონგრესის ოსტატთა მთავარ ტურნირში, სადაც შეხვდა ა. ალიოხინს, ს. ფლორს, სულთან-ხანს, ინგლისელ ოსტატებს, ახლადგაცნობილებს უნგრელ ლ. შტეინერსა და იუგოსლაველ ვ. პირცს. იქ ვერამ VI—VIII ადგილები გაინაწილა.

ახლოვდებოდა ქალთა მსოფლიო პირველობა. ესპანელებმა ვერ უზრუნველყვეს საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარება. ამერიკელებიც ამაოდ დაშვრნენ: საჭირო თანხა ვერ შეაგროვეს. ფიდე-ს მესვეურნი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ. გამოსავალი ისევ ინგლისელებმა მონახეს. 1933 წლის ივლისში მოჭადრაკეები საასპარეზოდ მიიწვიეს სამხრეთ ინგლისის ზღვისპირა აგარაკ ფოლკსტონში.

ქალთა პირველობაში სათამაშოდ ხუთი ქვეყნის შვიდი წარმომადგენელი ჩავიდა. ძველებიდან მხოლოდ სამნი იყვნენ — ვ. მენჩიკი, ა. პრაისი და ე. მიჩელი. პ. ვოლფ-კალმარი ცოცხალი აღარ იყო. ავსტრიელმა გ. გარუმმა ბოლო მომენტში უარი განაცხადა თამაშზე და მას ყველასთან წაგება ჩაეთვალა. ახალბედები იყვნენ შოტლანდიის ჩემპიონი მ. გილხრისტი, საფრანგეთის ჩემპიონი დე ოტრემანი, პ. შვარცმანი (საფრანგეთი) და ა. ტონინი (იტალია).

მოჭადრაკეები ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ვერა მენჩიკს ვერავინ გაუმკლავდა. იგი პარტიას პარტიაზე იგებდა და ფაქტიურად ბრძოლა მხოლოდ II ადგილისთვის მიმდინარეობდა.

ტურნირი ასე დამთავრდა: I. ვ. მენჩიკი — 14, II. ა. პრაისი —9, III. მ. გილხრისტი — 8,5, IV. ე. მიჩელი — 8, V. ა. ტონინი — 6, VI. პ. შვარცმანი — 5,5, VII. დე ოტრემანი — 5, VIII. გ. გარუმი — 0.

ეს იყო ბოლო პირველობა, რომელიც ორ წრედ მოეწყო. საზეიმო დახურვაზე, სადაც ვერა მენჩიკს ჩემპიონის მეოთხე ოქროს მედალი

გადასცეს, ითქვა, რომ მისმა მაგალითმა ბევრ ქვეყანაში გამოაცოცხლა ქალთა საჭადრაკო ცხოვრება, ახალგაზრდობა დააინტერესა ამ ბრძნული თამაშით.

ფიდე-ს XI კონგრესმა (ციურიხი, 1934 წ.) გამოაცხადა, რომ მოჭადრაკეთა შემდგომი დიდი ფორუმი ვარშავაში გაიმართებოდა.

## შეხვედრები მოსკოვსა და ვარშავაში

ვერა მენჩიკი ყველა ტურნირის სასურველი მონაწილე იყო, თუმცა ზოგ შეჯიბრებაში წარმატების არავითარი შანსი არ გააჩნდა, მაგრამ ორგანიზატორები შორს იხედებოდნენ. დიდოსტატთა შორის სარბიელზე მოჭადრაკე ქალის გამოჩენა (ზოგჯერ სასახელო მოგებაც) ხელს უწყობდა ჭადრაკის პოპულარიზაციას. ამიტომ არის, რომ 30-იანი წლების ბევრი ძლიერი შემადგენლობის ტურნირის მონაწილეთა შორის ვერა მენჩიკის გვარსაც ვხვდებით.

ჭადრაკის დედოფალი ჰასტინგსის ყველა საშობაო კონგრესში მონაწილეობს. 1933—34 წლების ტურნირში მან VII—VIII ადგილები გაიყო. ეს არცაა გასაკვირი, თუ ვიტყვით, რომ იქ ვერას მეტოქეები იყვნენ ა. ალიოხინი, ს. ფლორი, ა. ლილიენტალი, ე. ელისკაზესი და ცნობილი ინგლისელი ოსტატები. 1934—35 წლების ტურნირში ვერას პაექრობა მოუხდა ხ. კაპაბლანკასთან, მ. ბოტვინიკთან, მ. ეივესთან, ა. ლილიენტალთან... და VIII ადგილი დაიკავა. მოგვიანებით მ. ბოტვინიკი თავის მოგონებათა წიგნში ასე იხსენებს ჭადრაკის დედოფალს: „იგი არის ჩეხი ინგლისური პასპორტით, თავისი არსებით ყველაზე მეტად ახლოა რუსი ქალის ტიპთან. მე შევხვედრივარ მას სატურნირო დარბაზში და ვყოფილვარ მისი სტუმარიც: 1935 წელს ჰასტინგსში, მისი ბებიის სახლში, და 1936 წელს — ლონდონში (კუინზ როდის ახლოს). მუდამ მშვიდი და გულითადი ვერა ფრანცის ასული შესანიშნავად ფლობდა რუსულ ენას. ყველგან საერთო სიმპათიით სარგებლობდა".

1934 წლის გაზაფხულზე გერმანელმა მოჭადრაკემ სონია გრაფმა მატჩში გამოიწვია ვერა მენჩიკი. ახალგაზრდა პრეტენდენტს წარმატების იმედს აძლევდა ვაჟებთან პაექრობის გამოცდილება. ჩემპიონმა გამოწვევა მიიღო და ორთაბრძოლა (ოთხი პარტია) როტერდამში (ჰოლანდია) გაიმართა იმავე წელს. მენჩიკმა პირველი პარტია წააგო, მაგ-

რამ მერე ზედიზედ სამი მოიგო. ეს შეხვედრა ფიდე-მ მსოფლიო პირველობად არ ჩათვალა. ამიტომ სონია გრაფი ახალ მატჩზე ოცნებობდა და მისთვის სამზადისსაც შეუდგა.

ზაფხულში ვერა მენჩიკმა III ადგილი დაიკავა იუგოსლავიის ქალაქ მარიბოროს საჭადრაკო კლუბის მე-15 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში.

დიდად გაიხარა მენჩიკმა, როდესაც მიწვევა მიიღო მოსკოვის 1935 წლის დიდ საერთაშორისო ტურნირზე. მას ახარებდა ე. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, ს. ფლორის, მ. ბოტვინიკის, გ. შტალბერგის, რ. შპილმანის, ა. ლილიენტალის, ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატების ნ. რიუმინის, ვ. გოგლიძის, ა. ალატორცევისა და სხვების მეტოქეობა, აღელვებდა მომავალი შეხვედრა მოსკოვთან, ქალაქთან, სადაც დაიბადა, ეზიარა ჭადრაკს და უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა.

ტურნირის გახსნაზე ვერა ხუმრობდა: მოჭადრაკე ვაჟების სისხლი უნდა დავლიოო. მაგრამ თამაში სრულებით ვერ აეწყო. ეს თავადაც უკვირდა, თუმცა ზოგი მეტოქე მაინც „გაამწარა“.

საჭადრაკო მოღვაწე ი. მაიზელისი იხსენებს: „ერთხელ, თავისუფალ დროს, მონაწილეთა შორის გაიმართა საუბარი ალიოხინ-ეივეს მომავალ მატჩზე და იმაზე, თუ ვის აქვს შანსი გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. ფლორმა თქვა: „სავსებით ნათელია, რომ მსოფლიო ჩემპიონი... მე გავხდები“. ყველამ გაკვირვებით შევხედეთ მას. „ძალიან უბრალოდ, — განაგრძო ფლორმა. — ეივე მოუგებს ალიოხინს, მენჩიკი — ეივეს. მე კი როგორმე ვაჯობებ მენჩიკს“. ამ ხუმრობამ გაგვამხიარულა, მაგრამ მეორე დღეს გულიანად ვიცინეთ, როდესაც ფლორმა, დიდი მონდომების მიუხედავად, ვერ მოუგო ვერა მენჩიკს“.

ამ პარტიის მოგება ფლორს ტურნირში გამარჯვების სერიოზულ შანსს აძლევდა. “ქულა ჰაერივით მჭირდებოდა პირველი ადგილისთვის, — იხსენებდა მერე ლვაწლმოსილი დიდოსტატი, — მაგრამ ვერა „გაჯიუტდა“ და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, რითაც მასპინძლებს კარგი პატივი სცა“. ფლორმა I—II ადგილები გაიყო მ. ბოტვინიკთან.

ვერა მენჩიკმა ამ ტურნირში ბევრი პარტია წააგო და მხოლოდ სამი შეხვედრა დაამთავრა ყაიმით.

ხუმრობის მოყვარულმა სალო ფლორმა მიამბო ერთხელ: „ეივე არ მღებულობდა „ვერა მანჩიკის სახელობის კლუბში“, რადგან ვერას-

თან არ წამიგია, ბოლოს კი მაინც მიმიღო: სამი შეხვედრა ყაიმით მქონდა დამთავრებული".

მოსკოვში მენჩიკის გამოსვლამ საბჭოთა ქალებში ჭადრაკისადმი დიდი ინტერესი აღძრა. იმ პერიოდში ჩვენი ქალთა ჭადრაკი ძალიან სუსტი იყო. ვერა მენჩიკმა ერთდროული თამაშის სეანსში ათ საუკეთესო საბჭოთა მოჭადრაკესთან ცხრა პარტია მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა.

ჩემპიონი ქალი მოიხიბლა საბჭოთა მოჭადრაკეთა ენთუზიაზმით, ჭადრაკისადმი ხალხის სიყვარულით, მთავრობის მხრიდან ზრუნვითა და ხელის შეწყობით. იგი წერდა: „დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს წლებში, პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირში გამოჩნდება რამდენიმე დიდი მოჭადრაკე. საბჭოთა კავშირში იმიტომ, რომ აქ შექმნილია ქალთა განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები".

წარუმატებლობამ ვერ გაუტეხა გული ვერა მენჩიკს. უკვე აპრილში იგი მონაწილეობს მარგეტის I საერთაშორისო ტურნირში ხ. კაპაბლანკასთან, ს. რეშევსკისთან და სხვა დიდოსტატებთან ერთად. მენჩიკმა ორი შეხვედრა მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და IX ადგილი დაიკავა.

ივლისში ვერა მენჩიკი თამაშობს აგარაკ იარმუტში (ინგლისი), ბრიტანეთის საჭადრაკო ფედერაციის მთავარ ღია ტურნირში ინგლისის, გერმანიის, აშშ-ისა და ავსტრიის მოჭადრაკეებთან ერთად. მონაწილეთა შორის იყო სონია გრაფიც. მენჩიკმა III ადგილი დაიკავა (+6—3=2). მას გაუსწრეს მხოლოდ ს. რეშევსკიმ და ა. ზეიცმა (გერმანია). გრაფმა 5.5 ქულით VII—VIII ადგილები გაიყო. ვერამ მოუგო მას. მენჩიკმა რეშევსკისაგანაც მიიღო ქულა. ამერიკელმა დროის გადააცილა და წაგება ჩაეთვალა.

1935 წლის 16 აგვისტოს ვარშავაში გაიხსნა VI საჭადრაკო ოლიმპიადა და ქალთა V მსოფლიო პირველობა (დამთავრდა 31 აგვისტოს).

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში 10 ქალი ჩაება. ძველი მონაწილეებიდან მენჩიკის გარდა აქ უნდა ყოფილიყვნენ ავსტრიელი გ. გარუმი და ინგლისის ჩემპიონი ა. სტივენსონი. მაგრამ ინგლისელი მოჭადრაკე პოზნანში ტრაგიკულად დაიღუპა.

კვლავ ჩინებულად გამოვიდა ვერა მენჩიკი: ყველა მეტოქე დაამარცხა და მეხუთედ მოიპოვა ჩემპიონის სახელი. შეჯიბრებაში პირვე-

ლად მონაწილეობდა ვერას უმცროსი და ოლგა, რომელიც მხოლოდ მასთან დამარცხდა.

პირველობის შედეგები ასეთი იყო: I. ვ. მენჩიკი — 9, II. მ. გერ-ლეცკაია (პოლონეთი) — 6,5, III. გ. გარუმი — 6, IV. ო. მენჩიკი (ჩე-ხოსლოვაკია) — 5,5, V. ე. ტერი (დანია) — 5, VI—VII. რ. გერმანოვა (პოლონეთი), ე. ჰოლოვეი (ინგლისი) — 3,5—3,5, VIII. კ. შენსბერგი (ნორვეგია) — 3, IX—X. ნ. კოვალსკაია (პოლონეთი), მ. შანონი (ირ-ლანდია) — 1,5—1,5.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

30-იან წლებში ევროპაში საჭადრაკო ცხოვრება დუღდა. ცნობილი მოჭადრაკეები ხალისით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტურნირში, რომ-ლებიც მაშინ უხვად ტარდებოდა. ვერა მენჩიკიც დღენიადაგ ბრძოლაში იყო.

ინგლისის საზღვაო ქალაქმა მარგეტმა 1935 წელს ტრადიციად შემოიღო ჰასტინგსის მსგავსი კონგრესი და მას სააღდგომო უწოდა, რაკი აპრილ-მაისში ატარებდა. ამ კონგრესებსაც ბევრი მონაწილე ჰყავდა, ამიტომ მასპინძლები რამდენიმე ტურნირს აწყობდნენ, მათ შორის საერთაშორისოს. ვერა მენჩიკმა სამჯერ მიიღო მონაწილეობა „მარგეტის დღეებში" და, რა თქმა უნდა, ყოველთვის საერთაშორისო ტურნირში გამოდიოდა. აქაც, ისევე როგორც ჰასტინგსში, შეჯიბრებაში მხოლოდ 10 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

მენჩიკმა შესანიშნავად აიღო სტარტი 1936 წლის ტურნირში, რომელშიც უძლიერესთაგან ხ. კაპაბლანკა, ს. ფლორი, გ. შტალბერგი და ა. ლუნდინი მონაწილეობდნენ. პირველ სამ ტურში მან 2,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ შემდეგ წარუმატებლად თამაშობდა, თუმცა ფლორ-თან ეტლების ენდშპილში ისეთი ცოდნა და შემართება გამოავლინა, რომ დიდოსტატმა ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია. მენჩიკმა 3,5 ქუ-ლით VII ადგილი დაიკავა.

იმავე, 1936 წელს ჩემპიონმა ქალმა მონაწილეობა მიიღო ბრიტა-ნეთის საჭადრაკო ფედერაციის ნოტინგემის კონგრესში და პოდებრა-დის (ჩეხოსლოვაკია) საერთაშორისო ტურნირში. ნოტინგემში იგი ფინიშთან მერვე მივიდა, პოდებრადში კი მეცამეტე იყო, ჩეხოსლოვა-კიაში მენჩიკს უძლიერესი მეტოქენი ჰყავდა (ა. ალიოხინი, ს. ფლო-

რი, ე. ელისკაზესი, კ. ოპოჩენსკი, ლ. შტეინერი და სხვები), მაგრამ მან მაინც შეძლო 15 შეხვედრაში 7 ქულის მოგროვება. ეს არ იყო ცუდი შედეგი, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იქ მან სძლია ლ. შტეინერს, ჯ. თომასს, კ. ოპოჩენსკის, პ. ფრიდმანს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ს. ფლორთან, ე. ელისკაზესთან.

ვერა მენჩიკი თეორიულ მუშაობასაც ეწეოდა. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ინგლისის საჭადრაკო ჟურნალ „ჩესში“, სადაც 1936 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევები „ბერდის დებიუტი“ და „ფრანგული დაცვა“. მენჩიკმა ღრმად იცოდა ფრანგული დაცვა და წარმატებით იყენებდა მას პრაქტიკაში.

ჩემპიონი ქალი ცნობილი იყო პედაგოგიური მოღვაწეობითაც — მოწაფეები ჰყავდა. კვლევით მუშაობასა და გაკვეთილების მომზადებას იგი ტურნირებს შორის თავისუფალ დროს უთმობდა.

ახალ, 1937 წელს ვერა მენჩიკი მშობლიურ ჰასტინგსში შეხვდა, როგორც ოსტატთა ტრადიციული საშობაო მთავარი ტურნირის მონაწილე. ეს მისთვის უკანასკნელი კონგრესი აღმოჩნდა, რადგან მას შემდეგ ჰასტინგსში აღარ უთამაშია. გაზაფხულზე ვერამ მონაწილეობა მიიღო მარგეტის სააღდგომო ტურნირშიც. აქ გაიცნო მან შემდგომ უძლიერესი დიდოსტატები პ. კერესი და რ. ფაინი. მენჩიკმა VI—VII ადგილები გაიყო.

იმხანად ს. გრაფმა კვლავ გამოიწვია მენჩიკი მატჩში. ფიდე არ იყო მათი შეხვედრის წინააღმდეგი, ოღონდ პრეზიდენტმა ა. რიუბმა ორივე მოჭადრაკე გააფრთხილა: ვინც უნდა გაიმარჯვოს, მსოფლიო ჩემპიონობის ბედი გადაწყდება სტოკჰოლმში 1937 წლის აგვისტოში, VII მსოფლიო პირველობაზეო. ამიტომ ეს არ იყო მატჩი ჭადრაკის დედოფლის ტახტისთვის.

მენჩიკ-გრაფის მატჩი გაიმართა ზემერინგენში (ავსტრია) ივლისის დამლევს და მოჭადრაკეებმა 16 პარტია გაითამაშეს.

მატჩს დიდი ინტერესით შეხვდა საზოგადოებრიობა. გრაფი დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდა სათამაშოდ. იგი წინასწარ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გამოვიდა, ბოლო ერთი წელი კი გ. კოლტანოვსკის დახმარებით მეცადინეობდა. საპასუხისმგებლო მატჩს მენჩიკიც სერიოზულად მოეკიდა. მან წვრთნის მიზნით ლონდონის სავარჯიშო ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

ჟურნალისტები ბევრს წერდნენ მომავალ ორთაბრძოლაზე, ახასია-

თებდნენ ჩემპიონსა და პრეტენდენტს. ინგლისური ჟურნალი „ჩემსს" წერდა: „გრაფი მხიარული და სიცოცხლით სავსეა, მენჩიკი — მდუმარე და უბრალო. სონია გრაფი გაუთავებლად ეწევა თამბაქოს, შესვენების დროს კი კანფეტებს მიირთმევს. სვლებს შორის შუალედებში ოთახში ბოლთას სცემს და მაყურებლებს რეპლიკებს ესვრის. ტანადი, დარბაისელი მენჩიკი სულ წინ ხელებდაწყობილი უზის მაგიდას და სახეზე ნაკვთიც არ ერხევა".

მატჩი საზეიმოდ გაიხსნა 26 ივნისს (დაიხურა 17 ივლისს). თავიდან ინიციატივას დაეუფლა ვერა მენჩიკი. მისი უპირატესობა უდავო იყო. გრაფმა პირველად მხოლოდ VII პარტია მოიგო, როცა ანგარიშში (5:1) წინ მსოფლიო ჩემპიონი იყო. მენჩიკმა მომდევნო პარტიაშივე აიღო რევანში. შეხვედრის მეორე ნახევარში მენჩიკმა კიდევ ოთხი პარტია მოიგო, სამი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო. მისი გამარჯვება დამაჯერებელი იყო — 11,5:4,5 (+9—2=5).

ორი კვირის შემდეგ, 31 ივლისს, სტოკჰოლმში სასტუმრო „გრანდ ოტელ როიალმა" გულთბილად გაუღო კარი VII საჭადრაკო ოლიმპიადასა და ქალთა მსოფლიო პირველობის მონაწილეებს. პირველ სართულზე ოლიმპიელები პაექრობდნენ, მეორეზე — მოჭადრაკე ქალები.

საასპარეზოდ 26 ქალი ჩამოვიდა, მანამდე მონაწილეთა უჩვეულო რაოდენობა, ამიტომ ორგანიზატორებმა პირველად მიმართეს შვეიცარიულ სისტემას და 14 ტური გამართეს.

ვერა მენჩიკს ამჯერადაც ვერავინ გაუწია კონკურენცია. მან ყველას მოუგო და 14 აგვისტოს, როდესაც საჭადრაკო ოლიმპიადასთან ერთად ქალთა პირველობაც შეჯამდა, იგი მეექვსედ აკურთხეს ჭადრაკის დედოფლის ტახტზე.

— ლამაზი და ბედნიერი იყო ვერა იმ საღამოს. მისი ტალანტის აღიარებაში ყველანი ერთსულოვანი ვიყავით, — იხსენებს ამ ჩემპიონატის მონაწილე, ლატვიელი მოჭადრაკე მ. ლაუბერტე, რომელმაც III—IV ადგილები გაიყო ს. გრაფთან, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით აჯობა მას.

ტურნირის შედეგები ასეთი იყო: ვ. მენჩიკი—14, კ. ბენინი (იტალია) — 10, მ. ლაუბერტე — 9, ს. გრაფი — 9, მ. ბეინი (აშშ) — 8,5, მ. კარფი (პალესტინა), ნ. ფიშეროვა (ჩეხოსლოვაკია) — 8—8, ა. ანდერსონი (შვეცია), მ. გილხრისტი (შოტლანდია) — 7,5—7,5, რ. გერ-

მანიუა (პოლონეთი), გ. როდზანტი (ჰოლანდია), კ. ფარაგო (უნგრეთი), ე. ჰოლოვეი (ინგლისი) — 7—7, ბ. ფლეროვ-ბულგაკი (პოლონეთი), გ. გარუმი, ს. რეიშერი (ორივე — ავსტრია), ო. მენჩიკი (ჩეხოსლოვაკია) — 6,5—6,5, ფ. ტომსონი (შოტლანდია), ი. ლარსენი (დანია) — 6—6, კ. ბესკოვი (შვეცია) — 5,5, მ. შანონი (ირლანდია) — 5, რ. ნაკერუდი — 2, ე. მელბი (ორივე — ნორვეგია) — 1.

მალე 31 წლის ვერა მენჩიკი ცოლად გაჰყვა გამოჩენილ ინგლისელ საჭადრაკო მოღვაწეს რ. სტივენსონს. ჩემპიონმა ქალმა დაიტოვა გამარჯვების დიდებით მოსილი ქალიშვილობის გვარი. მენჩიკი საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა.

## მასპინძელი — არგენტინა

ქალთა ჭადრაკს მაინც ნაკლებად უწყობდნენ ხელს ევროპასა და ამერიკაში, თუმცა ზოგ ქვეყანაში ეროვნულ ჩემპიონატებსაც კი ატარებდნენ. ჯერ კიდევ დაბალი იყო მოჭადრაკე ქალთა თამაშის დონე. ამიტომ ვერა მენჩიკი უწინდებურად მხოლოდ ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობდა.

1938 წელს მენჩიკმა მონაწილეობა მიიღო ვაჟთა რამდენიმე ტრადიციულ ტურნირში. მას ჰასტინგსის საახალწლო ტურნირზე კი უარის თქმა მოუხდა მეუღლის ავადმყოფობის გამო. მაგრამ გაზაფხულზე იგი ლოძში (პოლონეთი) ჩავიდა საასპარეზოდ. მართალია, იქ მენჩიკმა თავი ვერ გამოიჩინა, მაგრამ ხელმოცარული მაინც არ დარჩა: დაამარცხა ლ. შტეინერი, ხოლო ქულა გაუყო ს. ტარტაკოვერს, ე. ელისკაზესს, მ. ნაიდორფს და კიდევ რამდენიმე ოსტატს. არც მარგეტის სააღდგომო ტურნირში ჰქონდა წარმატება, მაგრამ თავის „კლუბს“ შემატა ფინელი ოსტატი ე. ბეკი, ხოლო ინგლისელ ჯ. თომასს (მას მესამედ მოუგო) წევრობა „განუმტკიცა“. სამაგიეროდ, იგი ჩინებულად გამოვიდა ინგლისის ჩემპიონატში და პლიმუტის (ინგლისი) საჭადრაკო კლუბის ოსტატთა საიუბილეო ტურნირში. ჩემპიონატში მენჩიკი 12 მონაწილეს შორის VII ადგილზე გავიდა. პლიმუტში მას სულ 8 მეტოქე ჰყავდა, მაგრამ ამ რვაში ერთი მსოფლიო ჩემპიონი ა. ალიოხინი იყო. ვერამ ალიოხინთან წააგო, მაგრამ ორ მეტოქეს მაინც დააყრევინა ფარ-ხმალი და V ადგილი დაიკავა.

1939 წლის პირველ ნახევარში ევროპაში პოლიტიკური ვითარება

სავრძნობლად დაიმუხტა, მაგრამ ვიდრე ჰიტლერული გერმანია ომის ცეცხლს დაანთებდა, მოჭადრაკეთა შეხვედრები ჯერ კიდევ ეწყობოდა. 1938—1939 წლების ჰასტინგსის საშობაო ტურნირი უკანასკნელი იყო ომის წინ. 1939—1944 წლებში ეს ტურნირი არ ჩატარებულა.

1939 წლის აგვისტოში ბუენოს-აირესმა უმასპინძლა VIII საჭადრაკო ოლიმპიადას, ქალთა VII მსოფლიო პირველობასა და ფიდე-ს XVI კონგრესს.

— ევროპელმა მოჭადრაკეებმა ანტვერპენში მოვიყარეთ თავი, რომ ერთად გადაგველახა ატლანტის ოკეანე, — მიამბობდა ქალთა მსოფლიო პირველობის მონაწილე ლატვიელი მ. ლაუბერტე. — ორ კვირას გაგრძელდა ჩვენი მგზავრობა არგენტინაში. ყველანი თითქოს ერთი ოჯახი ვიყავით. უმრავლესობა გულდასმით ემზადებოდა საპაექროდ, მაგრამ თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით. ზოგი კარტს თამაშობდა, ზოგი — ჩოგბურთს. ვერა მენჩიკი ბრიჯის ვირტუოზი იყო.

არგენტინელები გულთბილად შეხვდნენ გამოჩენილ მოჭადრაკეებს. უკანასკნელად მათ დიდ შეჯიბრებას უმასპინძლეს 1927 წელს. ეს იყო კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ბევრი მაყურებელი ჰყავდა მოჭადრაკე ქალთა ბრძოლასაც.

ჩემპიონის ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდა 18 ქვეყნის 20 მოჭადრაკე. მიმომხილველები წერდნენ, ვერა მენჩიკს ღირსეულ მეტოქეობას მხოლოდ ს. გრაფი გაუწევსო. მართლაც, სტარტიდან მენჩიკი და გრაფი დაწინაურდნენ. ერთმანეთს ისინი XII ტურში შეხვდნენ. ამ დროს მენჩიკს 10,5 ქულა ჰქონდა, გრაფს — ნახევარი ქულით ნაკლები. პარტია მძაფრად მიმდინარეობდა. გრაფმა თავიდან უპირატესობა მიიღო, მაგრამ მენჩიკმა თავგამოდებული წინააღმდეგობით დაღალა იგი. კრიტიკულ მომენტში გრაფმა არაზუსტად ითამაშა და ყაიმსაც ვერ მიაღწია. მენჩიკი კვლავ ლიდერობდა. დანარჩენი შეხვედრებიდან მან მხოლოდ ერთი დაამთავრა ყაიმით და ფინიშთან პირველი მივიდა. გრაფს II ადგილის მოპოვებაც გაუჭირდა: ზედ ფინიშთან დამარცხდა ჩილელ ბ. კარასკოსთან, მაგრამ იღბლად დასკვნითს ტურში კარასკოს ფ. რინდერმა მოუგო, თავად გრაფმა კი ურუგვაიელ მ. ვიხილს სძლია.

პირველობის შედეგები ასეთი იყო: I. ვ. მენჩიკი — 18, II. ს. გრაფი — 16, III. ბ. კარასკო — 15,5, IV. ფ. რინდერი (გერმანია) — 15, V. მ. კარფი (აშშ) — 14, VI. მ. ლაუბერტე (ლატვია) — 12, VII—VIII. მ. მორა (კუბა), გ. როოდზანტი (ჰოლანდია) — 11—11, IX—X. ბ. იანიჩ-

კოვა (ჩეხოსლოვაკია), პ. შვარცმანი (საფრანგეთი) — 9—9, XI. ი. ლარსენი (დანია) — 8,5, XII—XIII. დ. ტრეპატი (არგენტინა), ი. ანდერსონი (შვეცია) — 7,5—7,5, XIV—XV. ს. რეიშერი (ავსტრია), მ. ბერეა (არგენტინა) — 7—7, XVI. მ. შტოფელსი (ბელგია) — 6,5, XVII. მ. ვიხილი — 6, XVIII. ლუკაუსკენე (ლიტვა) — 3,5, XIX. რ. ნაკერუდი (ნორვეგია) — 3, XX. ა. ლაუკხიდი (კანადა) — 2.

ვერა მენჩიკი მეშვიდედ გამოაცხადეს მსოფლიო ჩემპიონად და მისი გვარი მეშვიდედ ამოტვიფრეს გარდამავალ თასზე.

— ბედნიერი ვიყავი, როცა მენჩიკთან პარტია ყაიმით დავამთავრე. რელიკვიესავით ვინახავ ამ პარტიის ბლანკს ვერას ხელმოწერით, — მიამბობდა მილდა ლაუბერტე 1972 წლის შემოდგომაზე რიგაში, სადაც იგი გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩზე ექიმად იყო მიწვეული. — მაოცებდა მენჩიკის უბრალოება, თავშეკავება. მენჩიკი გარეგნობითაც მიმზიდველი იყო. ოდნავ სიმსუქნე შეეპარა, მაგრამ თითქოს ეს უხდებოდა. ღიმილიც შვენოდა. ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მისადმი ყველა სიმპათიით იყო განწყობილი.

აქვე დავძენთ, რომ მილდა ლაუბერტეს, ლატვიის მრავალგზის ჩემპიონს, ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატსა და გუნდურ პირველობაში. ომის შემდეგ მან რიგის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და დღემდე მუშაობს ერთ-ერთ გამომცემლობაში სამედიცინო ლიტერატურის რედაქტორად.

ოლიმპიადის დღეებში (24 აგვისტო — 19 სექტემბერი, 1939 წ.) ევროპაში მეორე მსოფლიო ომმა იფეთქა. 1 სექტემბერს, ფინალური შეხვედრების პირველი ტურის დროს, მოვიდა ცნობა, რომ გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, ხოლო ინგლისმა ომი გამოუცხადა აგრესორს. ინგლისელმა მოჭადრაკეებმა მყისვე შეწყვიტეს თამაში და შინ გაემგზავრნენ. მერე პოლონეთისა და საფრანგეთის გუნდებმა უარი თქვეს გერმანელებთან შეხვედრაზე...

ორგანიზატორებმა მაინც როგორღაც დაამთავრეს ოლიმპიადა.

ბევრმა ევროპელმა მოჭადრაკემ აბობოქრებულ ევროპაში დაბრუნებას არგენტინაში დარჩენა ამჯობინა. მათ შორის იყვნენ დიდოსტატები მ. ნაიდორფი (პოლონეთი), გ. შტალბერგი (შვეცია), ე. ელისკაზესი (ავსტრია) და სხვები. მოჭადრაკე ქალთაგან არგენტინას თავი შეაფარა ს. გრაფმა.

სამშობლოში მომავალმა ვერა მენჩიკმა ცოტა ხანს დაჰყო ურუ-

ვაიში, სადაც მონტევიდეოს საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. მან საუცხოოდ ითამაშა (III ადგილი, 5 ქულა 7-დან), თუმცა მეტოქეებად ჰყავდა ა. ალიოხინი, გ. გოლომბეკი, რ. ვეიდი (ორივე — ინგლისი) და ურუგვაის ოლიმპიური ნაკრების ოთხივე წევრი. მენჩიკმა მხოლოდ ალიოხინთან წააგო.

1939 წლის ოქტომბერში ვერა მენჩიკი ლონდონში იყო.

იმდროინდელი მსოფლიოს მეორე მოჭადრაკე სონია გრაფი აქტიურად ჩაება არგენტინის საჭადრაკო ცხოვრებაში, რომელსაც სული შთაბერეს უცხოელმა დიდოსტატებმა. საინტერესოა, რომ ფაშისტური გერმანიის განადგურებამდე, ესე იგი ექვსი წლის მანძილზე, არგენტინაში 25 საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა.

აი, რას იხსენებს სონია გრაფი:

— 1939-დან 1947 წლამდე არგენტინაში ვცხოვრობდი. იმ პერიოდში ბევრს ვთამაშობდი და ხშირად ვხვდებოდი ოსტატ ვაჟებს. ორჯერ მოვუგე დიდოსტატ შტალბერგს, დამიმარცხებია ოსტატები გრაუ, როსეტო და ჩერნიაკი. ბუენოს-აირესში ესპანურ ენაზე გამოვეცი წიგნი— „ასე თამაშობენ ქალები“. ამ წიგნში მომყავს ჩემი 50 პარტია, რომელთაგან ზოგი ალიოხინის, შპილმანისა და ჩემი პირველი მასწავლებლის დოქტორ ტარაშის მიერაა გაანალიზებული.

ომის წლებში საჭადრაკო ცხოვრება ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ ინგლისში, კერძოდ ლონდონში სულდგმულობდა. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი ვერა მენჩიკი იყო. შეჯიბრებებს აწყობდნენ ეროვნული საჭადრაკო ცენტრი და „დასავლეთ ლონდონის“ კლუბი. ცენტრმა, სადაც მდივნად მენჩიკი მუშაობდა, ცოტა ხანს იარსება. ფაშისტების ყუმბარამ იმსხვერპლა შენობა, რომელშიც იგი იყო განლაგებული. „დასავლეთ ლონდონის“ კლუბი 1893 წლიდან არსებობდა. მის ხშირ სტუმართა შორის ვერა მენჩიკიც იყო. მას აქ მუდამ განსაკუთრებული პატივით ხვდებოდნენ. ჩემპიონმა ქალმა კლუბს ლაზიერის ვერცხლის ფიგურა უსახსოვრა. მერე კლუბის მესვეურებმა ეს ლაზიერი გარდამავალ ჯილდოდ დააწესეს ვერა მენჩიკის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირებში.

1941 წელს ვერა მენჩიკი მიიწვიეს ინგლისურ საჭადრაკო ჟურნალ „ჩესს“-ში პარტიების განყოფილების რედაქტორად.

ჩემპიონი ქალი ბევრს თამაშობდა. დიდი ინტერესი გამოიწვია მისმა მატჩმა ხანდაზმულ დიდოსტატ ჟ. მიზესთან, რომელიც 1942 წლის

მაისში მოეწყო. ეს იყო პირველი ოფიციალური მატჩი მოჭადრაკე ქალსა და დიდოსტატ ვაჟს შორის ჭადრაკის ისტორიაში. მეტოქეებმა 10 პარტია ითამაშეს. მენჩიკმა ხუთი მოიგო, ოთხი ყაიმით დაამთავრა და ერთი წააგო.

1943 წლის თებერვალში მენჩიკს მეუღლე გარდაეცვალა. მას შემდეგ იგი, თითქოს დარდის მოსაკლავად კიდევ უფრო მეტ დროს უთმობდა ჭადრაკს. მისი შედეგებიდან აღსანიშნავია III ადგილი „დასავლეთ ლონდონის" ოსტატთა ტურნირში და VI ადგილი ამ კლუბის ჩემპიონატში, სადაც რამდენიმე დიდოსტატიც თამაშობდა.

ვერა მენჩიკი სამხრეთ საგრაფოების კავშირის ჩემპიონატში ლიდერობდა, როდესაც ტრაგედია დატრიალდა: 1944 წლის 27 ივნისს, ღამით, ლონდონის დაბომბვისას ყუმბარა მოხვდა მენჩიკის სახლს და მიწასთან გაასწორა. ამ დროს შინ იყვნენ ვერა, მისი და, ისიც ცნობილი მოჭადრაკე ოლგა მენჩიკი და მათი დედა.

„ეს ტრაგედია უნდა ახსოვდეს ჭადრაკის სამყაროს, რომ კეთილი ნების ადამიანებთან ერთად არ დაუშვას ახალი, უფრო საშინელი, გამანადგურებელი ომის გაჩაღება", — წერდა მ. ბოტვინიკი.

მსოფლიოს ქალთა ჭადრაკი უჩემპიონოდ დარჩა.

## პირველი საბჭოთა ჩემპიონი

ვერა მენჩიკის ტრაგიკულმა სიკვდილმა დიდად დაამწუხრა ჭადრაკის სამყარო. ვერა მხოლოდ 38 წლისა იყო და კიდევ კარგა ხანს შეეძლო ქალთა საჭადრაკო მოძრაობის გაძღოლა. 1946 წლის მარტში პორტუგალიაში მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიო ჩემპიონი ვაჟთა შორის ა. ალიოხინიც. ვერა მენჩიკი და ა. ალიოხინი იყვნენ პირველი და უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონები, რომლებიც ამ წუთისოფლიდან დაუმარცხებლად წავიდნენ.

ისტორიულმა გამარჯვებამ ჰიტლერელებზე მსოფლიო ხალხებს მშვიდობიანი ცხოვრება დაუბრუნა. განახლდა ქვეყნებს შორის სამეცნიერო, კულტურული და სპორტული კავშირები. მოჭადრაკეებმა განაახლეს მეგობრობა, შეხვედრები. დიდი რეზონანსი ჰქონდა სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატებისა (1945 წ., სექტემბერი) და სსრ კავშირ-ინგლისის (1946 წ., ივნისი) მოჭადრაკეთა გუნდების საერთაშორისო რადიომატჩებს, რომლებიც საბჭოთა დიდოსტატებმა მოიგეს, აგრეთვე გრონინგენში (ჰოლანდია) გამართულ ომის შემდგომ (1946 წ.) პირველ დიდ საერთაშორისო ტურნირს, სადაც ისევ საბჭოთა მოჭადრაკეებმა (მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი) ისახელეს თავი.

ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში წამოიჭრა მსოფლიო პირველობის (ვაჟთა, ქალთა) გათამაშების აღდგენის საკითხი. მას მიეძღვნა ფიდე-ს XVIII კონგრესი (ჰააგა, 1947 წ.). კონგრესის მუშაობაში პირველად მონაწილეობდა საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაცია, რომელიც მანამდე ფიდე-ს წევრი არ იყო. ფიდე-მ პრაქტიკული მსვლელობა მისცა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის აღდგენის საკითხს. ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების პროექტის მომზადება საბჭოთა დელეგაციას დაევალა.

1948 წლის აგვისტოს, სტოკჰოლმში ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიდოსტატმა ვ. რაგოზინმა XIX კონგრესს წარუდგინა საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციის წინადადებები ქალთა VIII მსოფლიო პირ-

ველობის გამართვის შესახებ. მან კონგრესს შესთავაზა ტურნირის ჩატარება მოსკოვში 1949 წელს ევროპისა და ამერიკის 16 უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობით, თითოეული ქვეყნიდან მხოლოდ ჩემპიონი უნდა მოეწვიათ და, როგორც გამონაკლისი, ითხოვდა საბჭოთა კავშირიდან ოთხი აღიარებული მოჭადრაკის დაშვებას. პროექტი მადლობით მიიღეს და XX კონგრესზე (პარიზი, 1949 წ.) დაამტკიცეს კიდეც.

1949 წლის 19 დეკემბერს მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ქალთა VIII მსოფლიო პირველობა. ბრძოლაში ჩაებნენ: წინა პირველობათა მონაწილენი — რ. გერმანოვა (პოლონეთი), მ. მირა (კუბა), ი. ლარსენი (დანია), კ. ბენინი (იტალია), თავიანთი ქვეყნების ჩემპიონები — შ. შოდე დე სილანი (საფრანგეთი), ე. ტრენმერი (ინგლისი), ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია), ე. კელერ-გერმანი. (გდრ), ნ. გრუშკოვა-ბელსკა (ჩეხოსლოვაკია), გ. გრესერი (აშშ), ი. ლანგოში (უნგრეთი) და საბჭოთა მოჭადრაკეები — ქვეყნის 1949 წლის ჩემპიონი ო. რუბცოვა, ვ. ბორისენკო (მაშინ იგი ბელოვას გვარით გამოდიოდა), ე. ბიკოვა და ლ. რუდენკო.

ტურნირი უმალ მოექცა ფართო საზოგადოებრიობის თვალსაწიერში. შეჯიბრების ბევრი მონაწილე საერთო ინტერესს იწვევდა. მაგალითად, პარიზელი შანტალ შოდე დე სილანი, სამი შვილის დედა, 14 წლისა უკვე საფრანგეთის ჩემპიონი იყო და წარმატებით მონაწილეობდა ვაჟებთან პაექრობაში. ყურადღებას იქცევდა ფანი ჰეემსკერკის ბიოგრაფიის ასეთი ფაქტი: ჭადრაკის თამაში 16 წლისამ ისწავლა და ერთ თვეში ქალთა ძლიერი შემადგენლობის ტურნირში II ადგილი დაიკავა. დრეზდენელ ედიტ კელერ-გერმანს კი შთამბეჭდავი „ნამსახურობის სია“ ჰქონდა: საქსონიის ვაჟთა ტურნირებში იმდენჯერ იმარჯვა, რომ ბოლოს საქსონიის ოსტატის წოდება მიანიჭეს.

ცხადია, პირველობაში უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა. მაყურებელთა დარბაზი, რომელიც რვაასამდე კაცს იტევდა, მუდამ სავსე იყო.

სტარტზე რუბცოვა და კარფი (2,5—2,5 ქულა 3-დან) დაწინაურდნენ. VI ტურში მარტოდ დარჩენილ რუბცოვას შოდე დე სილანი დაეწია (4,5—4,5), მაგრამ VII ტურში საფრანგეთის ჩემპიონი დამარცხდა და რუბცოვას რუდენკო და ბორისენკო გაუტოლდნენ (5—5). VIII ტურიდან რუბცოვა კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. X ტურში მას ისევ

ამოუდგა მხარში შოდე დე სილანი (7,5—7,5). რუდენკომ მოუგო რუბცოვას და ლიდერები გახდნენ რუდენკო და შოდე დე სილანი. მერე ფრანგმა მოჭადრაკემ ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და რუდენკომ ერთპიროვნული ლიდერობა აღარავის დაუთმო. მან ერთმანეთის მიყოლებით ხუთი პარტია მოიგო, ბოლოს, XV ტურში, შოდე დე სილანს დაუზავდა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

საბოლოო შედეგები ასეთი იყო: I. ლ. რუდენკო — 11,5, II. ო. რუბცოვა — 10,5, III—IV. ვ. ბორისენკო, ე. ბიკოვა — 10—10, V—VII. ე. კელერ-გერმანი, ე. ტრენმერი. შ. შოდე დე სილანი — 9,5 — 9,5, VII. ფ. ჰეემსკერკი — 8, IX. კ. ბენინი — 7, X—XI. ი. ლანგოში, მ. მორა — 6—6, XII—XIV. ნ. გრუშკოვა-ბელსკა, გ. გრესერი, მ. კარფი — 5—5, XV. ი. ლარსენი — 4,5, XVI. რ. გერმანოვა — 3,5.

1950 წლის 19 იანვარს კიდევ ერთხელ გაივსო საკონცერტო დარბაზი. ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა მ. ბერმანმა (საფრანგეთი) ლუდმილა რუდენკო მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადა და დაფნის გვირგვინით შეამკო. ახალ ჩემპიონსა და მოჭადრაკე ქალებს მიესალმა მსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, რომელიც 1948 წელს „გამეფდა".

პრესაში ფართოდ გაშუქდა პირველობის შედეგები. ბევრი დაიწერა ახალი ჩემპიონის შესახებაც. საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ რუდენკომ წაგებით დაიწყო ტურნირი, მაგრამ გული არ გასტეხია, ყველასთან დიდი პათოსით თამაშობდა, ცხრა პარტია მოიგო და ხუთი ყაიმით დაამთავრა.

ლუდმილა ვლადიმერის ასული რუდენკო, მაღალი, წარმოსადეგი მანდილოსანი, გამოცდილი მოჭადრაკე იყო. ვიდრე ჩემპიონი გახდებოდა, თითქმის საუკუნის მეოთხედი აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდა საბჭოთა საჭადრაკო მოძრაობაში.

ლუდმილა რუდენკო დაიბადა 1904 წლის 27 ივლისს უკრაინის ქალაქ ლუბნში, მასწავლებლის ოჯახში. ჭადრაკი მამამ გააცნო 10 წლისას. თამაშს სერიოზულად მოჰკიდა ხელი 1926 წელს, მას შემდეგ, რაც გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" მიერ ორგანიზებულ ქალთა საკავშირო ტურნირში წარუმატებლად გამოვიდა. ამ დროს (1925 წლიდან) იგი უკვე მოსკოვში იყო. გულმოდგინე მუშაობით რუდენკომ უკვე 1927 წელს გააუმჯობესა შედეგები, როცა მოსკოველ მოჭადრაკე ქალთა სავარჯიშო ტურნირში დაუმარცხებლად 1 ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის ქალთა I ჩემპიონატში (მოსკოვი, 1927 წ.) რუდენ-

კომ V ადგილი დაიკავა (ჩემპიონი ო. რუბცოვა გახდა), მაგრამ იგრძნო, რომ ჭადრაკი ნამდვილად მისი მოწოდება იყო. იგი ჩაუჯდა თეორიის შესწავლას და მალე სასურველი შედეგებიც მიიღო. 1928 წელს მოსკოვის ჩემპიონი გახდა. სიხარული ორმაგი იყო; რადგან მან ყველა — თერთმეტივე მეტოქე დაამარცხა.

1928 წლის ბოლოდან (დღემდე) რუდენკო ლენინგრადში ცხოვრობს და ყველა დიდი საჭადრაკო წამოწყების მონაწილეა. 1932 წელს იგი პირველად ეუფლება ლენინგრადის ჩემპიონის ტიტულს. მერე კიდევ სამჯერ (1936, 1947, 1962 წწ.) ხდება ნევისპირა ქალაქის პირველი მოჭადრაკე.

დიდ სამამულო ომამდე საბჭოთა მოჭადრაკეთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება საკავშირო ჩემპიონატი იყო. მაშინ ჩვენი ქალები ჯერ კიდევ სუსტად თამაშობდნენ. პირველთანრიგოსნებიც კი თითებზე ჩამოსათვლელი გვყავდა, მაგრამ ბევრი რამ კეთდებოდა მათი წინსვლისათვის. სსრ კავშირის ჩემპიონატი მათი ზრდისა და ოსტატობის საჩვენებელი სარბიელი იყო.

1935 წელს ლუდმილა რუდენკომ გაიცნო ვერა მენჩიკი, რომელიც მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ვერას მოეწონა რუდენკოს თამაში და უთხრა: „თქვენ ნიჭიერი ხართ, ამიტომ ბევრი ითამაშეთ". და, რუდენკომ ყურადღო მსოფლიო ჩემპიონის რჩევა.

რუდენკო მუდამ მონაწილეობდა სსრ კავშირის ჩემპიონატში, ვიდრე ძალა და ჯანი შესწევდა. მან თხუთმეტ ჩემპიონატში ითამაშა, მაგრამ ომამდე I ადგილი ერთხელაც ვერ აიღო. აი, მისი შედეგები: II ჩემპიონატი (1931 წ., მოსკოვი) — IV—VI, III (1934—35 წწ., ლენინგრადი) — VI—VIII, IV (1936 წ., ლენინგრადი) — II, V (1937 წ., დონის როსტოვი) — VII—VIII.

ომის წლებში რუდენკო მგეგმავ-ეკონომისტად მუშაობდა ბაშკირეთის ქალაქ ჩერნიახოვსკში. მხოლოდ ომის მიწურულს დაუბრუნდა იგი ჭადრაკს, როდესაც ბაშკირეთის ვაჟთა ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა (VI ადგილი). 1946 წელს ჩერნიახოვსკის პირველობაში I—II ადგილები გაიყო.

1945 წლის დეკემბერში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის VI ჩემპიონატი, სადაც რუდენკომ ვერცხლის მედალი და პირველი თანრიგი მოიპოვა. ამ წარმატებისთვის 1946 წელს იგი მიიწვიეს სსრ კავ-

შირ-ინგლისის მოჭადრაკეთა რადიომატჩში სსრ კავშირის ჩემპიონ ვ. ბორისენკოსთან ერთად. ეს გახლდათ საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა პირველი საერთაშორისო შეხვედრა. მათი მეტოქეები იყვნენ ინგლისის მრავალგზის ჩემპიონი ე. ტრენმერი და რ. ბრიუსი. პირველს ბორისენკომ მოუგო (2:0), მეორეს — რუდენკომ (2:0).

მსოფლიო პირველობამდე ლუდმილა რუდენკო სამ ჩემპიონატში გამოდიოდა. VII ჩემპიონატში (1946—47 წწ., მოსკოვი) მან წარუმატებლად (VI—VIII) ითამაშა, სამაგიეროდ, VIII ჩემპიონატში (1947—48 წწ., მოსკოვი) II ადგილი დაიკავა. შეიძლება ჩემპიონიც გამხდარიყო, დასკვნითს ტურში რომ არ წაეგო ე. ბიკოვასთან. IX ჩემპიონატში (1948—49 წწ., მოსკოვი) მან III—IV ადგილები გაიყო. ეს არ იყო ცუდი შედეგი და რუდენკო, ასაკის (46 წელი) მიუხედავად, მსოფლიო პირველობაში სათამაშოდ მიიწვიეს.

მსოფლიომ ღირსეული ჩემპიონი მიიღო. ლუდმილა რუდენკოს, აგრეთვე, ო. რუბცოვას, ვ. ბორისენკოსა და ე. ბიკოვას სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ.

ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ ქალთა ჭადრაკის ეპიცენტრმა საბჭოთა კავშირში გადმოინაცვლა.

# პირველი მატჩი

მოჭადრაკე ქალები თამამად გამოვიდნენ დიდ სარბიელზე. მათი სპორტულ-შემოქმედებითი წინსვლისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფიდე-ს XXI კონგრესის (ბელვინო, 1950 წ.) გადაწყვეტილებებს.

კონგრესმენებმა კმაყოფილებით მოისმინეს ქალთა VIII მსოფლიო პირველობის მთავარი მსაჯის, საბჭოთა მოჭადრაკის ვერა ჩუდოვას მოხსენება-ანგარიში. მემატიანენი ამას საგანგებოდ აღნიშნავენ, როგორც ქალის პირველ გამოსვლას ფიდე-ს კონგრესების ისტორიაში. კონგრესმა შექმნა ფიდე-ს ქალთა კომისია და მის პირველ თავმჯდომარედ ვერა ჩუდოვა დაამტკიცა. შემდგომ ამ კომისიამ უდიდესი სამსახური გაუწია ქალთა საჭადრაკო მოძრაობის განვითარებას. ამჟამად მას ნონა გაფრინდაშვილი თავმჯდომარეობს.

კონგრესმა შემოიღო ქალთა შორის საერთაშორისო ოსტატის წოდება და პირველად მიანიჭეს იგი VIII პირველობის მონაწილეებსა და ს. გრაფს. ლუდმილა რუდენკოს დამატებით ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატის ტიტულიც ებოძა და დაწესდა, რომ ამ წოდებას მიიღებს ყველა, ვინც მსოფლიო ჩემპიონი გახდება.

ფიდე-მ გულდასმით მოისმინა და გააანალიზა ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი სისტემა, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარმოადგინა განსახილველად. ეს სისტემა გულისხმობდა გათამაშების სამწლიან ციკლს: პირველ წელს ჩატარდებოდა ზონალური ტურნირები, რისთვისაც მსოფლიო პირობითად ზონებად დაიყოფოდა, მეორეში — პრეტენდენტთა ტურნირი, მესამეში კი პრეტენდენტი მატჩში შეხვდებოდა მსოფლიო ჩემპიონს. კონგრესმა სისტემა სამართლიანად, ობიექტურად მიიჩნია და მიიღო იგი. ეს სისტემა ახლაც ძალაშია, ოღონდ ოდნავ შეცვლილი სახით. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახალმა სისტემამ მოაწესრიგა საჭადრაკო ცხოვრება. მოჭადრაკეები მეტი გატაცებით ჩაებნენ ბრძოლაში ჩემპიონის ტიტულისთვის. ეროვნული ფედერაციების მესვეურნი დაინტერესდნენ ქალთა ჭადრაკით, რაც ამაღლებდა მათს პრესტიჟს. შესამჩნევად იმატა ქალთა ტურნირების რიცხვმა, დაისახა საერთაშორისო შეხვედრათა პერსპექტივებიც.

მსოფლიო პირველობა ახალი დამთავრებული იყო, სსრ კავშირის X ჩემპიონატი (1950 წ., რიგა) რომ დაიწყო. პრეტენდენტებიდან მხოლოდ ე. ბიკოვა და ვ. ბორისენკო მონაწილეობდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ოქროს მედლისთვის ბრძოლა მათ შორის გაჩაღდა. ბიკოვა უფრო მარჯვე აღმოჩნდა და I ადგილიც (12,5 ქულა 17-დან) დაიკავა. ბორისენკო მას ქულა-ნახევრით ჩამორჩა. III ადგილი ხვდა კ. ზვორიკინას — 9,5.

1950 წლის ნოემბერში მოსკოვში მოეწყო ოთხწრიანი მატჩ-ტურნირი ლ. რუდენკოს, ო. რუბცოვას, ე. ბიკოვასა და ვ. ბორისენკოს მონაწილეობით. მსოფლიო ჩემპიონმა მხოლოდ II ადგილი დაიკავა. მან მატჩი მოუგო რუბცოვას (3,5:0,5), წააგო ბორისენკოსთან (1:3) და ყაიმით (2:2) დაამთავრა ბიკოვასთან. პირველი იყო ბორისენკო, რომელმაც სძლია რუბცოვას (3,5:0,5) და დაუზავდა ბიკოვას (2:2). ბიკოვამ წააგო რუბცოვასთან (1,5:2,5), მაგრამ III ადგილისთვის ეყო 5,5 ქულა. ამ შეჯიბრებამ ცხადყო, რომ მსოფლიო ჩემპიონს სერიოზული კონკურენტები ჰყავს.

სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდურ პირველობაში (1951 წ.) რუდენკომ, რომელიც „ისკრის" შემადგენლობაში გამოდიოდა, უკეთესად ითამაშა (6,5 ქულა 7-დან), ხოლო მანამდე ლენინგრადელებს თასი მოაპოვებინა რუსეთის ფედერაციის ექვსი ქალაქის მატჩ-ტურნირში.

დრომ სწრაფად გაირბინა და მოახლოვდა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირების სტარტები. საბჭოთა მოჭადრაკეთათვის ასეთი იყო სსრ კავშირის XI ჩემპიონატი (1951 წ., კიევი). მონაწილეთა შორის იყვნენ ლ. რუდენკო და მისი უპირველესი „მტრები" — ბიკოვა, ბორისენკო და რუბცოვა, რომლებიც უკონკურსოდ თამაშობდნენ. მაგრამ მათი მონაწილეობა სხვებს გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა.

უშეღავათო ჭიდილში ჩემპიონის ოქროს მედალს კ. ზვორიკინა დაეუფლა (11,5 ქულა 17-დან), ვერცხლისას — ო. იგნატიევა (10) და ორივე პრეტენდენტი გახდა. ოსტატებიდან პრიზიორებში მოხვდა მხო-

ლოდ ბორისენკო (III—IV. 10 ქულა). რუდენკომ 8,5 ქულით X—XII ადგილები გაიყო, რუბცოვამ 9,5 ქულით — V—VII, ბიკოვამ 9 ქულით— VIII—IX. მსოფლიო ჩემპიონს ნუგეშად ის დარჩა, რომ მოუგო ბიკოვას და სამივე პირველ პრიზიორს. შეხვედრა რუბცოვასთან ყაიმით დაამთავრა.

ამბობდნენ, რუდენკო შეუძლოდ იყო. შეიძლება, მაგრამ იგრძნო, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკეთა შეტევის მოსაგერიებლად სერიოზულად უნდა მომზადებულიყო. ისიც განერიდა სარბიელს ცოტა ხნით. არ მიიღო მონაწილეობა, მაგალითად, სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში (1951 წ., თბილისი). ამ შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდნენ ბიკოვა და ზვორიკინა — 4,5—4,5 ქულა 5-დან.

1952 წლის გაზაფხულზე თბილისში გაიმართა სსრ კავშირის XII ჩემპიონატი. საასპარეზოდ ყველა ცნობილი მოჭადრაკე ჩამოვიდა, თვით მსოფლიო ჩემპიონიც. ჩანს, რუდენკო მოემზადა დიდი ბრძოლისთვის, რადგან გამარჯვებისკენ შეუნელებელ ლტოლვას ამჟღავნებდა. მართალია, იგი დამარცხდა ბიკოვასთან და ბორისენკოსთან, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რუბცოვასთან, მაგრამ უმრავლესობას ფარ-ხმალი დააყრევინა და ფინიშთან პირველი მიიჭრა (13 ქულა 17-დან).

ლუდმილა რუდენკო პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. საინტერესოა, რომ ნონა გაფრინდაშვილიც ჯერ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა, მერე კი სსრ კავშირში უძლიერესის სახელი მოიპოვა.

შთამბეჭდავად თამაშობდნენ ბიკოვა (II ადგილი, 12,5), რუბცოვა (III. 12) და ბორისენკო (IV—V. 10,5 ). იგნატიევამ 9 ქულით VI ადგილი დაიკავა.

ზაფხულში ოდესამ უმასპინძლა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდურ პირველობას, სადაც „ისკრის" კოლექტივის ინტერესებს რუდენკო და ბიკოვა იცავდნენ. ორივემ გაიმარჯვა თავის დაფაზე.

1952 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში, გაიმართა პრეტენდენტთა I ტურნირი. თამაშობდა 10 ქვეყნის წარმომადგენელი 16 მოჭადრაკე. მათგან ხუთი — სსრ კავშირიდან, ორი — ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

პრეტენდენტის საგზურს ძირითადად საბჭოთა მოჭადრაკეები ეცი-

ლებოდნენ ერთმანეთს. მათ მეტოქეობას უწევდნენ მხოლოდ ფ. ჰეემსკერკი, ე. კელერ-გერმანი და ი. ლანგოში. შ. შოდე დე სილანმა ვერ ააწყო თამაში. შეჯიბრების მეორე ნახევარში ლიდერობა ხელთ იგდო ბიკოვამ და ისეთი ტემპი განავითარა, რომ ბოლო ტურის წინ ორი ქულით უსწრებდა უახლოეს მეტოქეს.

ტურნირის ფინიში ასეთი იყო: 1. ე. ბიკოვა — 11,5, II—III. ო. იგნატიევა, ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია) — 10,5—10,5, IV—VI. ვ. ბორისენკო, კ. ზვორიკინა, ე. კელერ-გერმანი (გდრ) — 10—10, VII. ე. ტრენმერი (ინგლისი) — 9, VIII—X. ი. ლანგოში (უნგრეთი), ო. რუბცოვა, შ. შოდე დე სილანი (საფრანგეთი) — 8—8, XI. მ. კარფი (აშშ) — 7, XII. რ. ბრიუსი (ინგლისი) — 5, XIII. ნ. გრუშკოვა-ბელსკა (ჩეხოსლოვაკია) — 4,5, XIV. მ. ბეინი (აშშ) — 3,5. XV. მ. ბერეა დე მონტერო (არგენტინა) — 3, XVI. ს. რეიშერი (ავსტრია) — 1,5.

მიმომხილველებმა და სპეციალისტებმა ლოგიკურად მიიჩნიეს ელისაბედ ბიკოვას გამარჯვება, რადგან ბოლო ხანს იგი შესაშური მონდომებით იპყრობდა საჭადრაკო მწვერვალებს.

ელისაბედ ბიკოვა ვლადიმირის ოლქის სოფელ ბოგოლიუბოვოში დაიბადა 1913 წლის 4 ნოემბერს იქაური გლეხის ივანე ბიკოვის ოჯახში. ჭადრაკი 12 წლისამ გაიცნო. თამაში ასწავლა უფროსმა ძმამ, რომელთანაც მოსკოვში ჩამოვიდა 1925 წელს სწავლის გასაგრძელებლად. ბუნებით დინჯ და აუჩქარებელ ლიზას ძალიან მოეწონა ახალი თამაში და მთელი გულით შეიყვარა.

სარბიელზე ბიკოვა მხოლოდ 1935 წლის ზაფხულში გამოჩნდა. მაშინ ჭადრაკს დიდი პოპულარობა მოუტანა მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც სხვა კორიფეებთან ერთად ვერა მენჩიკიც მონაწილეობდა. ბიკოვამ ბოლო ადგილი დაიკავა მოსკოვის მცირე ჩემპიონატში, გული ეტკინა და გაწბილება არ აპატია საკუთარ თავს: სერიოზულად მოჰკიდა ხელი თეორიის შესწავლას, ქალთა საჭადრაკო სკოლის მსმენელი გახდა.

მალე წარმატებებიც მოვიდა. მოსკოვის 1937 წლის ჩემპიონატში ბიკოვამ III ადგილი დაიკავა, მერე ზედიზედ, 1938 და 1939 წლებში, ჩემპიონი იყო. ერთხელ, 1939 წელს, ბიკოვა ოსტატ და ოსტატობის კანდიდატ ვაჟებსაც ეპაექრა. ეს იყო სპორტსაზოგადოება „ბოლშევიკის“ საკავშირო პირველობა, სადაც ელისაბედ ბიკოვა შესარჩევი ტურნირიდან მოხვდა.

ომმა შეაფერხა ნიჭიერი მოჭადრაკის წინსვლა, მაგრამ იგი არ ჩამოშორებია საყვარელ თამაშს. დღისით რომ მგეგმავ-ეკონომისტად მუშაობდა ერთ-ერთ ქარხანაში, საღამოობით ჰოსპიტლებში დაჭრილ მეომრებს ერთდროული თამაშის სეანსებს უტარებდა, ესაუბრებოდა ჭადრაკსა და მოჭადრაკეებზე.

აქტიურ საჭადრაკო მოღვაწეობას ბიკოვა 1944 წელს დაუბრუნდა. მან მოსკოვის ვაჟთა ჩემპიონატის მეოთხედფინალში პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა და აქედან მოყოლებული თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს.

1945 წელს ბიკოვამ გაიმარჯვა სსრ კავშირის VI ჩემპიონატის ნახევარფინალში, ფინალში III—IV ადგილები გაიყო. 1946 წელს იგი მოსკოვის ჩემპიონი გახდა, 1947 და 1948 წლებში კი — სსრ კავშირის ჩემპიონი. ქალთა VIII მსოფლიო პირველობაში მან III—IV ადგილები გაიყო და თითქმის ერთდროულად მოიპოვა საბჭოთა და საერთაშორისო ოსტატის წოდებებიც. 1950 წელს ბიკოვა ისევ სსრ კავშირის ჩემპიონია, 1951 და 1952 წლებში კი — მოსკოვის ჩემპიონი.

ამ წარმატებათა ლოგიკური ფინალი იყო მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის უფლების მოპოვება.

მატჩი დიდ მზადებასა და მოთმინებას მოითხოვდა. ეს კარგად ესმოდა ბიკოვას. ისიც დაუღალავად შრომობდა. რუდენკო კარგად იცნობდა ბიკოვას და არც ის იყო გულხელდაკრეფილი.

ჭადრაკის სამყარო მოუთმენლად ელოდა პირველ მატჩს ქალთა მსოფლიო პირველობაზე. მანამდე, როგორც იცით, ჩემპიონი მხოლოდ ტურნირებში ვლინდებოდა..

სანატრელი დღეც დადგა: 1953 წლის 15 აგვისტოს ლენინგრადში, ფიზკულტურის მუშაკთა სახლში, დაიწყო რუდენკო-ბიკოვას მატჩი. მეტოქეებს 14 პარტია უნდა ეთამაშათ. გამარჯვებისთვის საკმარისი იყო 7,5 ან 8 ქულა. ყაიმის (7:7) შემთხვევაში რუდენკო ჩემპიონად რჩებოდა. თუ მატჩს წააგებდა, მატჩ-რევანშის უფლება ჰქონდა. წილისყრით I და ყველა კენტ პარტიას თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა.

მიმომხილველები პროგნოზებს გვერდს უვლიდნენ, მაგრამ მეტოქეთა შემოქმედებით პორტრეტებს დაწვრილებით აღწერდნენ. აღნიშნავდნენ, რომ რუდენკო მოიერიშეა, კომბინაციის ტრფიალი, ბიკოვა, პირიქით, ფუნდამენტური, აკადემიური თამაშის მოყვარულია, თავს არ

არიდებს გართულებებს, რადგან ღრმად სწამს საკუთარი შესაძლებლობებისა. ორივე ხშირადაა ცაიტნოტში.

თავიდანვე მძაფრი ბრძოლა დაიწყო. I პარტიაში რუდენკომ იერიშის შესაძლებლობა მიიღო, მაგრამ სადღაც წაიფორხილა და ბიკოვამ თავი დააღწია სიძნელეებს. ვინ იცის, რა მოხდებოდა შემდეგ, ბიკოვა რომ ცაიტნოტში არ მოხვედრილიყო. აჩქარებულ თამაშში იგი შეცდა და წააგო.

II პარტიაში რუდენკო ინიციატივისთვის იბრძოდა და უარი თქვა ყაიმზე, რომელიც სვლების გამეორებით გამოდიოდა. მაგრამ როდესაც არაზუსტად ითამაშა, ინიციატივას ბიკოვა დაეუფლა. პარტიის ბედი ისევ ცაიტნოტში გადაწყდა: ტაქტიკურ შეხლა-შემოხლაში ბიკოვამ პაიკი დაკარგა და პარტია, გადადების მიუხედავად, წააგო.

2:0. ასეთ დასაწყისს არავინ მოელოდა. ურყევი ნებისყოფა უნდა ჰქონდეს მოჭადრაკეს, რომ ამ სიტუაციაში სასოწარკვეთილებას არ მიეცეს. ბიკოვამ გაუძლო გამოცდას.

III პარტიაში დებიუტიდან გამოსვლისთანავე რუდენკომ დაძრა ლაშქარი პრეტენდენტის მეფის ფრთის წინააღმდეგ. ბიკოვამ არ დააყოვნა კონტრიერიში. დატრიალდა კომბინაციური ქარიშხალი. ბოლოს ბიკოვამ იმარჯვა და პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო. მეორე დღეს თამაშის განუახლებლად რუდენკომ გამარჯვება მიულოცა.

IV პარტიის შესავალში ბიკოვამ ხარისხი დაკარგა, მაგრამ სულით არ დაეცა: შეუპოვარ თამაშს განაგრძობდა. საკმარისი იყო რუდენკოს ერთი უზუსტობა, რომ ბიკოვამ მძაფრი კონტრთამაში გააჩაღა და გაიმარჯვა.

ანგარიში გათანაბრდა — 2:2. V პარტიას არ დაურღვევია თანაფარდობა, თუმცა მსოფლიო ჩემპიონს უპირატესობა ჰქონდა.

VI პარტიაში რუდენკო დიდი გატაცებით თამაშობდა, მაგრამ იმდენად სურდა პარტია სწრაფად მოეგო, რომ სიჩქარეში შეცდა. მერე ცაიტნოტშიც ჩავარდა და დამარცხდა. VII პარტიაში ბიკოვამ ძველინდური დაცვა გაითამაშა. რთულ დებიუტს მძაფრი თამაში მოჰყვა. რუდენკოს უფრო პერსპექტიული პოზიცია ჰქონდა, როდესაც კუს ნაჩქარევი მანევრით ბიკოვას უკეთესი ენდშპილის მიღების შესაძლებლობა მისცა. მოსკოველ მოჭადრაკეს მუდამ ეხერხებოდა მცირე უპირატესობის რეალიზაცია. გულდაგული თამაშით მან ამჯერადაც გაიმარჯვა.

ახლა განსაცდელში რუდენკო აღმოჩნდა, მაგრამ ბედს არც ის შე-

ურიგდა. VIII პარტიაში უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთ მომენტში რუდენკოს შამათის გამოცხადება შეეძლო, მერეც ივებდა, მაგრამ ეს ტანჯული პარტია ყაიმით დასრულდა. რუდენკო IX პარტიაშიც იმედიანად იბრძოდა. საუცხოოდ ისარგებლა ბიკოვას მხრიდან ეტლების არასწორი გაცვლით და გაიმარჯვა. მერე X პარტიაც მოიგო ენდშპილში ბიკოვას სუსტი თამაშის წყალობით.

5:5. ორთაბრძოლა უკიდურესობამდე დაიძაბა. ჩემპიონის ვინაობა დარჩენილ ოთხ პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ამ დროს ლენინგრადში გახლდით და საერთო ატმოსფერო მეც ამიყოლია. ფიზკულტურის სახლი, სადაც მატჩი ტარდებოდა, ალყაში მოქცეულ ციხე-კოშკს ჰგავდა.

მღელვარედ განვლეს XI და XII პარტიებმა. XI პარტიაში რუდენკომ, როგორც ხშირად ხდებოდა ამ მატჩში, კარგად აწყობილი თამაში ვერ დააგვირგვინა. ინიციატივას ბიკოვა დაეუფლა და გაიმარჯვა. XII პარტიაშიც რუდენკო ღელავს, ჩქარობს და შეცდომებს უშვებს. ბიკოვა მოთმინებით ახდენს უპირატესობის რეალიზებას.

7:5. ლიდერობს ბიკოვა. მას ყაიმიც ჰყოფნის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. მაგრამ XIII პარტიაში ფრანგული დაცვა გაითამაშა და გამანადგურებელი იერიშის ქვეშ მოჰყვა. ამ გამარჯვებამ რუდენკოს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა. XIV პარტიაში მხოლოდ მოგება სჭირდებოდა. ამიტომ შეგნებულად გაურბოდა პოზიციის გამარტივებას. ძნელია მთელი პარტია ისე ითამაშო, რომ ფიგურა არ გაცვალო. ამ ტაქტიკამ რუდენკოც დააზარალა. იგი საბედისწეროდ შეცდა საყაიმო პოზიციაში (ყაიმი მას ხელს არ აძლევდა) და დამარცხდა.

გაიმარჯვა ელისაბედ ბიკოვამ — 8:6 (+7−5=2). მსოფლიომ გაიცნო ახალი, მესამე ჩემპიონი.

## დედოფალი შეიცვალა

ტიტული დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მსოფლიო ჩემპიონს. მისი ყოველი გამოსვლა და სიტყვა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღებას იქცევს. ეს კარგად ესმოდა ელისაბედ ბიკოვას და ინტენსიურად, მთელი გატაცებით მონაწილეობდა საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში.

1953 წლის მიწურულს ბიკოვა სარბიელს დაუბრუნდა. ითამაშა სსრ კავშირის XIII ჩემპიონატში (დონის როსტოვი), რომელშიც ყველა უძლიერესი მოჭადრაკე გამოდიოდა. მან მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა, და რაც ყველაზე გულდასაწყვეტი იყო, ვერ გამოავლინა თავისი უპირატესობა, ვერ გაუმკლავდა მთავარ მეტოქეებს — დამარცხდა რუდენკოსთან, ზვორიკინასთან, იგნატიევასთან. იქ მან მხოლოდ ბორისენკოსა და რუბცოვას მოუგო. ჩემპიონი ზვორიკინა გახდა, რუდენკომ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ მსოფლიო ჩემპიონს თანაბარი ძალის, სერიოზული მოწინააღმდეგენი ჰყავს.

1954 წელს ელისაბედ ბიკოვამ ხელი მოჰკიდა ქალთა ჭადრაკის წარსულის შესწავლას. ეს იყო უმძიმესი საქმე, ნამდვილი ყამირის გატეხვა. მანამდე ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა, არავის უცდია მისი გამომზეურება. თითქმის სამი წელი მოანდომა ბიკოვამ ვერა მენჩიკის ცხოვრება-მოღვაწეობის ისტორიის აღდგენას, რაც 1957 წელს წიგნად გამოსცა. ჩვენც ამ შესანიშნავი წიგნით ვხელმძღვანელობდით, როდესაც ომამდელ მსოფლიო პირველობებზე მოგითხრობდით.

ლიტერატურული მუშაობა დიდ დროსა და სულიერ ენერგიას მოითხოვდა. ამიტომ ბიკოვა მხოლოდ 1954 წლის გაზაფხულზე გამოჩნდა სარბიელზე და ტაშკენტში გაემგზავრა უზბეკეთის ქალთა ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. რა თქმა უნდა, იქ მან ადვილად გაიმარჯვა (+12=3), მაგრამ ეს არ იყო მისი მთავარი მიზანი. ჩემპიონმა დიდი დახმარება გაუწია უზბეკ კოლეგებს თამაშის სრულყოფაში.

ივლისში ბიკოვა და ზვორიკინა ლონდონში ჩავიდნენ სსრ კავშირ-ინგლისის გუნდების ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის მისაღებად.

ისინი შეუერთდნენ ჩვენს ვაჟთა გუნდს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეებთან გამარჯვების შემდეგ ინგლისელებს უნდა შეხვედროდა. საბჭოთა ნაკრებმა დამაჯერებლად გაიმარჯვა ორწრიან მატჩში — 18,5:1,5. ბიკოვამ მოუგო ე. ტრენმერს (2:0), ზვორიკინამ — სანოქსს (1,5:0,5).

აგვისტოს დამლევს ამსტერდამში ბიკოვა ფიდე-ს XXV კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა. სწორედ ამ კონგრესზე გამოცხადდა, რომ 1955 წელს პრეტენდენტთა II ტურნირს მოსკოვი უმასპინძლებდა, ტურნირზე პერსონალურად მიიწვიეს პრეტენდენტთა 1952 წლის შეჯიბრების პრიზიორები ბორისენკო, ზვორიკინა, კელერ-გერმანი, აგრეთვე შოდე დე სილანი და გრაფი. კონგრესმა შემოიღო ეგრეთ წოდებული „ოქროს წიგნი“, რომელიც ფიდე-ს ნამდვილ მატიანეს წარმოადგენს.

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკე ქალთა პირველმა სამატჩო შეხვედრამ (მოსკოვი, 8—18 ოქტომბერი, 1954 წ.). თითოეულ გუნდში ექვსი მოჭადრაკე იყო. ერთი გუნდის ყველა წევრი შეხვდა მეორე გუნდის ყველა წევრს, როგორც ეს სხევენინგენის სისტემით ხდება. გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა — 29:7. ჩინებულად ითამაშეს ზვორიკინამ (6 ქულა 6-დან), ბიკოვამ (5,5), რუდენკომ (4,5 ქულა 5-დან) და რუბცოვამ (3,5 ქულა 5-დან).

ახალი, 1955 წლის მიჯნაზე, კრასნოდარში დაიწყო სსრ კავშირის XIV ჩემპიონატი, რომელიც ერთდროულად მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირიც გახლდათ. ბრძოლაში ბიკოვაც ჩაება, მაგრამ მხოლოდ IV—VI ადგილები გაიყო (ზვორიკინასთან, ტ. ზატულოვსკაიასთან). მას გაასწრეს ვოლპერტმა (I ადგილი), ი. გურფინკელმა (II) და რუბცოვამ (III). მსოფლიო ჩემპიონმა 8 პარტია მოიგო, 5 წააგო, მათ შორის — ე. კაკაბაძესთან. ფავორიტებიდან მან მხოლოდ ზვორიკინა დაამარცხა.

1955 წელიც აღსავსე იყო მნიშვნელოვანი ტურნირებით, მაგრამ ბიკოვამ მხოლოდ ორ შეჯიბრებაში ითამაშა. ზაფხულში მონაწილეობდა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში (ვოროშილოვგრადი), ზამთრის პირას კი სოხუმში სსრ კავშირის XVI ჩემპიონატში ჩაება. დანარჩენ დროს იგი ლიტერატურული მუშაობით იყო დაკავებული. ვორო-

შილოვგრადში, სადაც მოსკოვის გუნდში გამოდიოდა, მხოლოდ 4 ქულა დააგროვა 9 შეხვედრაში: სამი პარტია მოიგო, ოთხი წააგო (ერთი ისევ ე. კაკაბაძესთან) და ორი ყაიმით დასრულა. სოხუმში თავიდან მძიმედ თამაშობდა, მაგრამ ფინიშზე ძალიან ენერგიული იყო (4,5 ქულა 5-დან). საბოლოოდ 13 ქულით II—IV ადგილები გაიყო ლ. ვოლპერტთან და ს. როოტარესთან (ტალინი). მართალია, ჩამოიტოვა რუდენკო, რუბცოვა და ზვორიკინა, მაგრამ სამიევესთან დამარცხდა.

ფიდე-ს XXVI კონგრესმა (გეტებორგი, 1955 წ.) ქალთა საჭადრაკო მოძრაობისთვის ყურადსაღები გადაწყვეტილებები მიიღო. პირველი; 1956 წლისთვის დანიშნა სამთა მატჩ-ტურნირი ბიკოვას, რუდენკოსა და ახალ გამოვლენილ პრეტენდენტის მონაწილეობით; მეორე: შემოიღო ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა, რომლის პირველი შეხვედრები 1957 წლისთვის დაამტკიცა.

1955 წლის ოქტომბერში მოსკოვის საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზი ისევ პრეტენდენტთა ასპარეზობის მასპინძელი გახდა. ბრძოლაში 20 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ბოლო დღემდე გაურკვეველი იყო, ვინ იქნებოდა პრეტენდენტი.

სტარტზე ზვორიკინამ სამი პარტია მოიგო და ერთპიროვნულად დაწინაურდა, მაგრამ მომდევნო ორი შეხვედრა წააგო, რის გამოც ვოლპერტი და ლაზარევიჩი დაეწივნენ. V—XII ტურებში ლიდერები ხშირად იცვლებოდნენ. XIII ტურში დაწინაურდა ვოლპერტი, რომელმაც ზედიზედ 6 პარტია მოიგო, მაგრამ მას ფეხდაფეხ მისდევდა რუბცოვა. XVIII ტურში იგი დაეწია ვოლპერტს. შეიქმნა უმწვავესი სიტუაცია: პრეტენდენტი უნდა დაესახელებინა დასკვნითს, XIX ტურს. ორივეს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. გამოცდილმა რუბცოვამ მეტი სიმტკიცე გამოავლინა და მოუგო ბულგარელ ა. ივანოვას, ვოლპერტი შესამჩნევად ღელავდა, თუმცა მისი მეტოქე აუტსაიდერი ბ. კარასკო დე ბუდინიჩი იყო. მან უპირატესობაც მიიღო, მაგრამ იჩქარა და საბოლოოდ ყაიმს დასჯერდა. პრეტენდენტის საგზური რუბცოვას დარჩა.

ტურნირის შედეგები ასეთი იყო: I. ო. რუბცოვა — 15, II. ლ. ვოლპერტი — 14,5, III. ე. კელერ-გერმანი — 14, IV. კ. ზვორიკინა — 13,5, V. ვ. ბორისენკო — 13, VI. ვ. ნედელკოვიჩი — 12,5, VII. მ. ლაზარევიჩი (ორივე — იუგოსლავია) — 12, VIII. ა. ივანოვა — 11,5, IX. ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია) — 10, X—XIII. ს. გრაფი-სტივენსონი, გ. გრესერი (ორივე — აშშ), ო. იგნატიევა, შ. შოდე დე სილანი (საფ-

რანგეთი) — 9,5—9,5, XIV. ბ. კერტესი (უნგრეთი) — 7, XV—XVI. კ. გოლუი (პოლონეთი), ი. გურფინკელი — 6,5—6,5, XVII. მ. კარფი (აშშ) — 5,5, XVIII. ს. მოსჩინი (არგენტინა) — 4,5, XIX. რ. სუხა (ჩეხოსლოვაკია) — 4, XX. ბ. კარასკო დე ბუდინიჩი (ჩილი) —2.

ოლგა რუბცოვას გამარჯვება მოულოდნელი არ იყო. მისი საჭადრაკო გზა აღსავსეა შთამბეჭდავი მიღწევებით, საინტერესო პარტიებით.

ჭადრაკი ოლგამ ბავშვობაში შეიყვარა. მამამისი — ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორი ნიკოლოზ რუბცოვი თავის დროზე ძლიერი მოჭადრაკე იყო. ახალგაზრდობაში იგი ა. ალიოხინსაც შეხვედრია. ნიჭიერი გოგონა (დაიბადა მოსკოვში 1909 წლის 20 აგვისტოს) თამაშით სერიოზულად დაინტერესდა მოსკოვის 1925 წლის საერთაშორისო ტურნირის დროს.

სასკოლო ტურნირებში პირველმა წარმატებებმა ოლგა რუბცოვას კარგი მოჭადრაკის სახელი მოუპოვა. 17 წლისამ გაიმარჯვა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ქალთა საკავშირო ტურნირში, მერე კი მოსკოვისა და ლენინგრადის მოჭადრაკეთა ამხანაგურ მატჩში ისახელა თავი.

ახალგაზრდა ქალს დიდი წარმატება ხვდა წილად სსრ კავშირის ქალთა I ჩემპიონატში, რომელიც 1927 წლის ოქტომბერში ჩატარდა მოსკოვში, კავშირების სვეტებიან დარბაზში. 18 წლის ოლგა რუბცოვა ჩემპიონი გახდა. მას პარტია არ წაუგია, თერთმეტ შეხვედრაში 8,5 ქულა მოაგროვა. მომდევნო წელს გაიმარჯვა პროფკავშირების საკავშირო პირველობაში.

სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული ოლგა რუბცოვამ კიდევ ოთხჯერ დაისაკუთრა — 1931, 1934, 1937 და 1949 წლებში. იყო მოსკოვის ჩემპიონიც 1947 და 1950 წლებში. სასიქადულო მოჭადრაკე პროფესიით ინჟინერ-მეტალურგია. იგი ხუთი შვილის დედაა. მისი ერთ-ერთი ქალიშვილი ელენა ფატალიბეკოვა გამოჩენილი დიდოსტატია. ო. რუბცოვას მეუღლეც მოჭადრაკეა — ოსტატი ა. პოლიაკი.

1950 წელს ოლგა რუბცოვა დიდი აღმაფრენით იბრძოდა ქალთა VIII მსოფლიო პირველობაში, თითქმის ბოლომდე ლიდერობდა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ II ადგილზე დარჩა. ესეც, რა თქმა უნდა, დიდი წარმატება გახლდათ. მაგრამ საწადელს ოლგა რუბცოვამ მაინც მიაღწია.

პრეტენდენტთა ტურნირის დამთავრებისთანავე რუბცოვა სსრ კავშირის XVI ჩემპიონატში (სოხუმი, 1955 წ.) ჩაება. ისიც, ისევე როგორც ე. ბიკოვა და ლ. რუდენკო, ამ შეჯიბრებაში წვრთნის მიზნით მონაწილეობდა.

— მონაწილენიცა და მაყურებლებიც დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს ბიკოვას, რუდენკოსა და რუბცოვას თამაშს, რადგან ვიცოდით, რომ ისინი მალე მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. რუდენკომ ორივე მეტოქე დაამარცხა, ბიკოვამ — რუბცოვას მოუგო, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონობა ვერც ერთმა ვერ მოიპოვა, რადგან მთელი ძალა ერთმანეთთან „ქიშპობას" შეალიეს, — მიამბობდა ამ ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქსენია გოგიავა.

ჩემპიონი გახდა ვ. ბორისენკო. ბიკოვამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, II—III ადგილები გაიყო, რუდენკომ VII ადგილი დაიკავა, რუბცოვამ კი — VIII ადგილი.

1956 წლის აგვისტო-სექტემბერში მოსკოვი ჭადრაკის სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ დროს სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მუშაობდა ფიდე-ს XXVII კონგრესი, მიმდინარეობდა XII საჭადრაკო ოლიმპიადა და სამთა მატჩ-ტურნირი (მისი პირველი ნახევარი მასწავლებელთა სახლში ჩატარდა), ქალთა მსოფლიო პირველობა.

მოჭადრაკე ქალთა მსგავსი შეჯიბრება პირველად ტარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში. მეტოქეებს რვა-რვა პარტია უნდა ეთამაშათ. გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდებოდა, მაგრამ თუ იგი ელისაბედ ბიკოვა არ იქნებოდა, მაშინ ახალი ჩემპიონი მზად უნდა ყოფილიყო მასთან რევანშის სათამაშოდ.

თავიდანვე ნათელი შეიქნა, რომ რუდენკო ამჟამად სასურველ ფორმაში ვერ იყო და მთელი ძალით ვერ იბრძოლებდა. ამიტომ ჭიდილი ჩემპიონის ტიტულისთვის ბიკოვასა და რუბცოვას შორის გაჩაღდა. კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა მეექვსე წრის შემდეგ, როდესაც ბიკოვამ რუბცოვას ამ წრის შეხვედრა მოუგო და ქულა-ნახევრით გაუსწრო. რუბცოვა ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მას მეშვიდე ტურის წინ 6,5 ქულა ჰქონდა (ბიკოვას 8) და მატჩ-ტურნირში დარჩენილ ორ წრეში (ოთხ პარტიაში) საბოლოო გამარჯვებისთვის ბიკოვაზე ორი ქულით მეტი უნდა მოეგროვებინა. ეს თითქოს შეუძლებელი ჩანდა, მაგ-

რამ მეშვიდე წრეში რუბცოვამ ორივე შეხვედრა მოიგო, ბიკოვა კი რუდენკოსთანაც დამარცხდა. მერვე წრეში ბიკოვამ სძლია რუდენკოს და 9 ქულა ჰქონდა (რუბცოვას 8,5) რუბცოვასთან შეხვედრის წინ. რუბცოვას ყაიმიც ხელს აძლევდა ამ შეხვედრაში, რადგან რუდენკოსთან ჰქონდა მარაგში დასკვნითი ტურის პარტია. ამიტომ ბიკოვას აუცილებლად უნდა გაემარჯვა რუბცოვასთან პარტიაში, მაგრამ, დიდი ცდისა და გარჯის მიუხედავად, ვერ დაძლია მეტოქის წინააღმდეგობა და 68-ე სვლაზე ყაიმს შეურიგდა. რუბცოვამ ადვილად დაამარცხა ნირწამხდარი რუდენკო და ფინიშთან პირველი მივიდა.

გაიმარჯვა ოლგა რუბცოვამ — 10 ქულით. მან მოუგო მატჩები ბიკოვას ანგარიშით 4,5:3,5 (+2—1=5) და რუდენკოს — 5,5:2,5 (+5—2=1). ელისაბედ ბიკოვა II ადგილზე დარჩა — 9,5. რუდენკოს მან სძლია ანგარიშით 6:2 (+5—1=2). ლუდმილა რუდენკომ მხოლოდ 4,5 ქულა მოაგროვა.

1956 წლის 23 სექტემბერს სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ოლგა რუბცოვა საზეიმოდ შეამკეს დაფნის გვირგვინით და მეოთხე მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადეს.

ეს იყო საბჭოთა საჭადრაკო სკოლის კიდევ ერთი დიდი წარმატება.

## ტიტული დაიბრუნა

— ვიცოდი, რომ რუბცოვასთან მატჩ-რევანშის დაწყებამდე ერთი წელი მქონდა და გავაგრძელე მუშაობა წიგნზე ვერა მენჩიკის შესახებ. ამ პერიოდში თითქმის არსად მითამაშია, სამაგიეროდ, წიგნი დავამთავრე და გამოვეცი, — მიამბობდა ელისაბედ ბიკოვა 1959 წლის ივლისში, კიევში სსრ კავშირ-იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ამხანაგურ მატჩზე შეხვედრისას.

ოლგა რუბცოვა, რომელმაც იმხანად სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიიღო, დიდი გატაცებით მონაწილეობდა ტურნირებსა და მატჩებში, მაგრამ წარმატებამ მას ზურგი შეაქცია.

1956 წლის ოქტომბერში მოსკოვში გამართულ ქალთა მასობრივ ტურნირში მსოფლიო ჩემპიონმა მხოლოდ V—VI ადგილები გაიყო. ახალ, 1957 წელს, მოსკოვის ჩემპიონატში, სადაც ღირსეულ მეტოქეებს ეპაექრებოდა, იგი V—VI ადგილებზე აღმოჩნდა.

1957 წლის აგვისტოში ვენაში მოეწყო ფიდე-ს XXVIII კონგრესი, რომელმაც ქალთა მსოფლიო პირველობის საკითხიც განიხილა. გამოცხადდა, რომ რუბცოვა-ბიკოვას მატჩ-რევანში მოეწყობოდა მოსკოვში 1958 წლის თებერვალ-მარტში.

დაამთავრა თუ არა მუშაობა კონგრესმა, 1 სექტემბერს ჰოლანდიის ქალაქ ემენში დაიწყო ქალთა I საჭადრაკო ოლიმპიადა, ანუ მსოფლიოს გუნდური პირველობა. შეჯიბრების გახსნას დაესწრნენ ფიდე-სა და ქალთა საჭადრაკო მოძრაობის მესვეურნი. გამარჯვებულთათვის დაწესდა ვერა მენჩიკის სახელობის გარდამავალი თასი და ჩემპიონის ოქროს მედლები.

იბრძოდა 21 გუნდი. თითოეულ გუნდში ორი მოჭადრაკე იყო. საბჭოთა ქვეყნის ღირსებას იცავდნენ ოლგა რუბცოვა და სსრ კავშირის ჩემპიონი კირა ზვორიკინა, რომელმაც ეს ტიტული XVI ჩემპიონატში (დნეპროპეტროვსკი, 1956 წ.) მოიპოვა.

სამი ნახევარფინალური ტურნირიდან ფინალში სამ-სამი გუნდი გავიდა. დასკვნითს ეტაპზე თასისთვის ბრძოლა ძირითადად სსრ კავ-

შირისა და რუმინეთის გუნდებს შორის მიმდინარეობდა. ლიდერობდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები, მაგრამ ფინიშზე რუმინელებმა ზედიზედ სამი მატჩი მოიგეს „მშრალი“ ანგარიშით და დაეწივნენ მათ. თითოეულმა გუნდმა 10,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ თასი საბჭოთა ოსტატებს გადაეცათ, რადგან ფინალში მეტი მატჩი ჰქონდათ მოგებული.

შთამბეჭდავად ითამაშა კირა ზვორიკინამ: ნახევარფინალში ექვსივე შეხვედრა მოიგო, ფინალშიც 8 შეხვედრიდან 6 ქულა დააგროვა. პარტია არ წაუგია. ოლიმპიადის საუკეთესო შედეგისთვის მას ნიდერლანდების დედოფლის იულიანას სახელობის მედალი გადაეცა. რუბცოვამ ნახევარფინალში 5 ქულა მოიპოვა, ფინალში — 4,5.

მატჩ-რევანშამდე დარჩენილი დრო რუბცოვამ მზადებასა და მეცადინეობას დაუთმო, ბიკოვა კი ლ. ვოლპერტთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრა (ნოემბერში) ქალთა ჩემპიონატში მონაწილეობას მისაღებად. ეს მისთვის კარგი წვრთნა იყო.

I ადგილისთვის ჭიდილში ვოლპერტი უფრო მარჯვე აღმოჩნდა (12,5 ქულა 13-დან). ბიკოვა მას ნახევარი ქულით ჩამორჩა.

— მართალია, მეორე ადგილზე გავედი, მაგრამ კარგად ვივარჯიშე, ვცდილობდი რთული პრობლემები რაციონალურად გადამეჭრა. ერთი სიტყვით, თავს არ ვზოგავდი, რომ პრაქტიკის მიღების შესაძლებლობა მაქსიმალურად გამომეყენებინა და, ჩემი აზრით, გამოვიყენე კიდეც, — მიამბობდა ელისაბედ ბიკოვა.

რუბცოვამ და ბიკოვამ თავი შეიკავეს სსრ კავშირის XVII ჩემპიონატში (ვილნიუსი, 1957 წ.) მონაწილეობისაგან, მითუმეტეს, რომ ამ შეჯიბრებას ზონალური ტურნირის მნიშვნელობაც ჰქონდა. I—II ადგილები გაიყვეს ვ. ბორისენკომ და კ. ზვორიკინამ, მაგრამ დამატებით მატჩში გაიმარჯვა ბორისენკომ (+2=1). III ადგილზე გავიდა ს. როოტარე.

მატჩ-რევანში დროულად დაიწყო — 1958 წლის 2 თებერვალს (დასრულდა 14 მარტს). ჟურნალისტები ფიქრობდნენ, რომ იგი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ გამოიწვევდა, რადგან ამ დროის ჭადრაკის სამყარო მ. ბოტვინიკ-ვ. სმისლოვის მესამე მატჩის მოლოდინში იყო. მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. მეტოქეებს 16 პარტია უნდა ეთამაშათ. ორთაბრძოლა ისე მძაფრი გამოვიდა, რომ თოთხმეტ პარტიაში დამთავრდა. ელისაბედ ბიკოვამ ტიტული დაიბრუნა.

როგორ მიმდინარეობდა შეხვედრები? სიტუაცია თავიდანვე დაი-

ძაბა. რუბცოვამ ენერგიულად შეუტია პრეტენდენტს: 1:0, 1:1, 2:1, 2,5:1,5, 3,5:1,5, 4:1. იგი ლაღად, მაგრამ მწვავედ თამაშობდა. სტრატეგიული ბრძოლის მოყვარულ ბიკოვას გაუჭირდა მუქარის უვნებელყოფა, მაგრამ მერე და მერე ნერვები დაიმორჩილა, შექმნილი მდგომარეობა გააანალიზა და მტკიცე თამაშით მატჩში გარდატეხა შეიტანა. ეს ადვილი როდი იყო. ბიკოვამ ჯერ ანგარიში გაათანაბრა — 4:4, მერე ზედიზედ კიდევ ოთხი პარტია მოიგო და საბოლოო გამარჯვებასაც მიუახლოვდა — 8:4. საკმარისი იყო, XIII პარტია ყაიმით დაემთავრებინა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ასეთ დროს, მან პარტია წააგო. ბიკოვას XIV პარტიაშიც გაუჭირდა ნახევარი ქულის აღება. ენდშპილში კი პოზიციის სამჯერ გამეორებით მიაღწია მიზანს.

ელისაბედ ბიკოვამ დამაჯერებლად გაიმარჯვა — 8,5:5,5 (+7—4=3).

— რუბცოვა „ძნელი" მეტოქეა, მას მახვილი კომბინაციური თვალი აქვს და იერიშსაც დიდი ფანტაზიით, გამომგონებლობით წარმართავს. ვცდილობდი დამემუხრუჭებინა მისი შეტევა, გულდასმით ვამოწმებდი ყოველ შეწირვას, რადგან ვიცოდი, რომ კომბინაციას ბოლომდე არ ანგარიშობდა, ენდშპილისკენ მივისწრაფოდი. VII პარტიიდან სულ უფრო შეუპოვრად ვთამაშობდი და რუბცოვამ ვერ გაუძლო ამას, — იხსენებდა ელისაბედ ბიკოვა.

ბიკოვას გამარჯვება სენსაციად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამგვარი შედეგი მოსალოდნელი იყო, იგი მუდამ სტაბილურად, დარბაისლური სტილით თამაშობდა.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი მატჩ-რევანში ქალთა მსოფლიო პირველობის ისტორიაში, აგრეთვე პირველი შემთხვევა, როდესაც დამარცხებულმა ჩემპიონმა ტიტული დაიბრუნა.

ბარემ აქვე ვიტყვით: ოლგა რუბცოვა შემდგომშიც აქტიურად მონაწილეობდა საჭადრაკო ცხოვრებაში. თამაშს თავი რომ დაანება, მსაჯობა დაიწყო. ხანდაზმულობაში მიწერ-მოწერით თამაშს მოჰკიდა ხელი და ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

## კირა ზვორიკინას ამაო ბარჯა

1958 წლის მიწურულს ხარკოვში მოეწყო სსრ კავშირის XVIII ჩემპიონატის ფინალი. ამ შეჯიბრებამ ფართო საზოგადოებრიობის ყუ-

რადლება მიიქცია, რადგან მასში შეიკრიბნენ უძლიერესი მოჭადრაკეები (ლ. რუდენკოს გარდა) — მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა, პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის მონაწილენი ო. რუბცოვა, ვ. ბორისენკო, კ. ზვორიკინა, ს. როოტარე, ლ. ვოლპერტი, გამოცდილი ოსტატები ო. ივნატიევა, ი. გურფინკელი, მზარდი ახალგაზრდობა ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე, ტ. ზატულოვსკაია, ა. ჩაიკოვსკაია და სხვები. ცხადია, საჭადრაკო სპექტაკლი მიმზიდველი და მღელვარე გამოვიდა.

კარგად აიღეს სტარტი ბიკოვამ და 17 წლის ნონა გაფრინდაშვილმა (5,5 ქულა 6-დან). სიმძაფრე ყოველ ტურში მატულობდა. ბიკოვამ ვერ გაუძლო კონკურენციას. მას გვერდი აუქციეს ზვორიკინამ, ვოლპერტმა, გაფრინდაშვილმა... ნონამ ტოლი არავის დაუდო, მაგრამ გამოცდილება არ ეყო, რომ ჩემპიონი გამხდარიყო. ქართველმა გოგონამ III ადგილი დაიკავა (13,5), რისთვისაც ბრინჯაოს მედალი და სპორტის ოსტატის წოდება მიიღო.

I—II ადგილები გაიყვეს ზვორიკინამ და ვოლპერტმა, რომლებმაც ნონას მხოლოდ ნახევარი ქულით აჯობეს. დამატებით მატჩში ვოლპერტმა გაიმარჯვა — 2,5:1,5 (+2—1=1).

ბიკოვა VI ადგილზე გავიდა (11,5), რუბცოვამ XVIII—XIX ადგილები გაიყო (8).

საჭადრაკო პრესა იმ აზრისა იყო, რომ პრეტენდენტთა ტურნირში მოსალოდნელია ისევ საბჭოთა მოჭადრაკის გამარჯვება. წერდნენ იმასაც, რომ ჩემპიონატმა გამოავლინა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც უახლოეს ხანში მწვერვალებს დაიპყრობდა.

პრეტენდენტთა ტურნირის მასპინძელი არ ჩანდა. ფიდე-ს XXIX კონგრესმა (დუბროვნიკი, 1958 წ) ღიად დატოვა მისი ვინაობა, რადგან პრეტენდენტთა მასპინძლობის სურვილი არავის გამოუცხადებია. მხოლოდ 1959 წლის გაზაფხულზე მოჭადრაკე ქალები ბულგარეთმა მიიწვია.

ქალაქი პლოვდივი გულღიად შეეგება სსრ კავშირიდან, უნგრეთიდან, იუგოსლავიიდან, რუმინეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ჩამოსულ პრეტენდენტ ქალებს. მასპინძლის უფლებით მეთხუთმეტე მონაწილედ ბულგარეთის წარმომადგენელი მიიწვიეს.

იმედიანად აილო სტარტი ოლგა რუბცოვამ. მან რამდენიმე პარტია მოიგო, მაგრამ წინ ველარ წავიდა. ერთხანს მ. ლაზარევიჩი ლიდერობდა, მაგრამ ვერც მან შეინარჩუნა მოწინავე პოზიციები: გადადებული პარტიების დამთავრებისას მოსალოდნელი ორი ქულის მაგიერ მხოლოდ ნახევარი ქულა მოაგროვა და სხვებმა გაასწრეს. ემოციურმა იუგოსლაველმა მოჭადრაკემ პრეტენდენტის საგზურის მოპოვების შანსი დაკარგა.

ფინიშთან საგზურისთვის უმძაფრესი ჭიდილი გაჩაღდა კ. ზვორიკინასა და ვ. ნედელკოვიჩს შორის. ორივე მეტოქე პარტიას პარტიაზე იგებდა. იუგოსლაველ ოსტატს ბედიც სწყალობდა, მაგრამ XIII ტურში „კოკამ წყალი აღარ მოიტანა". ნედელკოვიჩი კ. ერეტოვასთან დამარცხდა და ზვორიკინა წინ გაიჭრა. მის თამაშში იგრძნობოდა სტრატეგიული აზრის სიცხადეც, ბრძოლის ჟინიც. ამიტომაც შეძლო მან ზედიზედ 8 შეხვედრის მოგება და, ცხადია, ფინიშიც პირველმა გადაკვეთა.

აი, როგორ განაწილდა ადგილები: I. კ. ზვორიკინა — 11,5, II. ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია) — 10,5, III. ლ. ვოლპერტი — 9,5, IV—V. ე. კელერ-გერმანი (გდრ), ს. როოტარე — 9—9, VI. მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) — 8, VII. ე. კარაკაში (უნგრეთი) — 7,5, VIII. ვ. ბორისენკო — 7, IX. ო. რუბცოვა — 6,5, X. კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 6, XI. გ. გრესერი (აშშ) — 5,5, XII—XIII. მ. პოგორევიჩი (რუმინეთი), ს. რინდერი (გფრ) — 4,5—4,5, XIV. ო. ტოდოროვა (ბულგარეთი) — 3,5, XV. ჰიუგეტი (არგენტინა) — 2,5.

ჭადრაკის სამყარო კარგად იცნობდა კირა ზვორიკინას. იგი თითქმის ათი წელი დაუღალავად მონაწილეობდა უმაღლესი რანგის ყველა დიდ ტურნირსა და მატჩში, ორჯერ კი პრეტენდენტთა ტურნირშიც ითამაშა.

კირა ალექსის ასული ზვორიკინა დაიბადა ქ. ნიკოლაევში 1920 წლის 29 ნოემბერს. ჭადრაკი ბავშვობაში ისწავლა. ოჯახში ყველა თამაშობდა. მერე, ლენინგრადში ცხოვრების პერიოდში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გამოჩენილ პედაგოგთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ პეტრე რომანოვსკისთან მეცადინეობდა. 1937 წელს კირა ლენინგრადის ჩემპიონი გახდა გოგონებს შორის.

პირველი დიდი წარმატება კირა ზვორიკინამ 1946 წელს მოიპოვა: სსრ კავშირის VI ჩემპიონატის ნახევარფინალში I ადგილი დაიკავა.

1947 წლიდან იგი სისტემატურად მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატებში. 1951, 1953 და 1956 წლებში ჩემპიონი იყო, 1957 და 1958 წლებში I—II ადგილები გაიყო, მაგრამ მერე წააგო დამატებითი მატჩი ოქროს მედლისთვის. 1948 წელს ლენინგრადის ჩემპიონი იყო. მის სპორტულ ბიოგრაფიას ამშვენებს აგრეთვე წარმატებები საერთაშორისო მატჩებში პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის მოჭადრაკეებთან. 1951 წელს ზვორიკინამ სპორტის ოსტატის წოდება მიიღო, 1952-ში საერთაშორისო ოსტატის, 1957-ში, ქალთა I საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ, სპორტის დამსახურებული ოსტატისა. საჭადრაკო მოღვაწეობის პარალელურად ზვორიკინამ კინოინჟინრის პროფესიაც შეიძინა.

ერთი სიტყვით, კირა ზვორიკინა მსოფლიო ჩემპიონისთვის სახიფათო მეტოქე იყო. მიმომხილველთა აზრით, ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იქნებოდა. მატჩამდე ბიკოვამ ზვორიკინას 8 პარტია მოუგო, 6 წააგო და 5 ყაიმით დაამთავრა. ბოლო დროს ბიკოვა ნაკლებად თამაშობდა, მაგრამ ამას ჟურნალისტები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ჩემპიონს მატჩების თამაშის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ზვორიკინა კი ორთაბრძოლებს ცუდად ატარებდა. მხედველობაში ჰქონდათ მისი წაგებული მატჩები სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის. ფიქრობდნენ, იქნებ „გრძელი“ მატჩი უკეთ ითამაშოსო.

ბიკოვა-ზვორიკინას მატჩი მსოფლიო პირველობაზე მიმდინარეობდა 1959 წლის 4 დეკემბრიდან 1960 წლის 4 იანვრამდე მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. მეტოქეებს ურთიერთობა 16 პარტიაში უნდა გაერკვიათ. ბიკოვას ყაიმიც (8:8) ხელს აძლევდა, ზვორიკინას კი აუცილებლად უნდა გაემარჯვა, რომ ჩემპიონი გამხდარიყო.

ბრძოლა თავიდან დაიძაბა. ბიკოვას უჭირდა პრეტენდენტის გამომწვევი თამაშის დათრგუნვა: 0:1, 1:1, 1,5:1,5. IV პარტიაში ზვორიკინამ პაიკი დაკარგა, ეს დანაკლისი ვერაფრით ველარ აინაზღაურა და დამარცხდა. იგი V პარტიაშიც უპაიკოდ დარჩა, მაგრამ შეუპოვარი ბრძოლით ყაიმის შანსი მიიღო. ეს არ ეჭაშნიკა ბიკოვას, რომელიც ჯიუტად განაგრძობდა მოგებაზე თამაშს. მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება ასეთ შემთხვევაში: პარტია წააგო. 2,5:1,5, 2,5:2,5. VI პარტიაში მეტოქენი ყაიმს დასჯერდნენ.

VII პარტიაში გამოჩნდა, რომ ზვორიკინა ზედმეტად ღელავს, ვერ

ზოკებს თავს. გრძნობას აყოლილი, ვერ სწვდება პოზიციის საიდუმ-ლოებას, ბევრს ფიქრობს და ხშირად ცაიტნოტში უხდება თამაში. სწორედ ამ პარტიაში მან ნაჩქარევად აიყვანა ცენტრალური პაიკი, რაც ფიგურისა და მთელი პარტიის ფასად დაუჯდა. მომდევნო ორ პარტიაში ამაოდ დაშვრა ზვორიკინა და ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია. ბიკოვამ ლიდერობა შეინარჩუნა: 3:3, 4:3, 4,5:3,5, 5:4.

გამარჯვებისთვის ზვორიკინას დარჩენილ შვიდ პარტიაში 4,5 ქულა უნდა აეღო. ეს ძნელი იყო, რადგან ბიკოვა უკვე დაჯერებულად თამაშობდა. ზვორიკინა იმედს არ კარგავდა. საუცხოოდ გაითამაშა X პარტია და პოზიციური უპირატესობაც მიიღო. მაგრამ ცაიტნოტში უხეშად შეცდა და ფიგურა დაკარგა. აღელვებულმა წააგო XI და XII პარტიებიც. მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. XIII პარტიაში ბიკოვამ ფხიზელი თამაშით სასურველ ყაიმს მიაღწია და მატჩიც მოიგო. 6:4, 7:4, 8:4, 8,5:4,5 (+6—2=5).

ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარე, საერთაშორისო არბიტრი ვერა ჩუდოვა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ის ფურცლებზე წერდა: „ბიკოვა სულ უფრო დამაჯერებელი ანგარიშით იგებს ყოველ მატჩს მსოფლიო პირველობაზე. ლ. რუდენკოს მოუგო ანგარიშით 8:6, ო. რუბცოვას მატჩ-რევანში — 8,5: 4,5-ზე. პოზიციის კარგი გაგება, მანევრული ბრძოლის წარმართვის, მიღწეული უპირატესობის ზუსტი გამოყენების უნარი, აუღელვებელი დაცვა, შეუპოვრობა და შრომისმოყვარეობა, — აი, ჩემი აზრით, რა არის დამახასიათებელი მსოფლიო ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვას შემოქმედებისთვის".

# ეპოქალური მატჩი

მატჩის დამთავრების შემდეგ ელისაბედ ბიკოვამ ლიტერატურული მუშაობა გააგრძელა: ამზადებდა დიდ შრომას „ჭადრაკი და ქალები" (სამწუხაროდ, ეს წიგნი დღემდე არ დასტამბულა). სარბიელზე იგი მხოლოდ 1960 წლის მიწურულს გამოჩნდა. ჰოლანდიურმა ფირმამ „დალონმა" ე. ბიკოვა ამსტერდამში მიიწვია საასპარეზოდ. ეს იყო მისი პირველი საზღვარგარეთული ქალთა საერთაშორისო ტურნირი.

მასპინძლებმა მიიპატიჟეს აგრეთვე თითო მოჭადრაკე იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან და ორ-ორი იუგოსლავიიდან და ჰოლანდიიდან.

ბიკოვას ჩინებული დებიუტი ჰქონდა: 5,5 ქულით I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდა მ. ლაზარევიჩი — 5, III — შ. შოდე დე სილანი — 4,5.

შინ დაბრუნებული მსოფლიო ჩემპიონი ისევ წიგნს ჩაუჯდა. ახალ მატჩამდე აღარსად უთამაშია.

60-იანი წლების დამდეგს დუღდა საჭადრაკო ცხოვრება. გაიმართა რამდენიმე ყურადსაღები ტურნირი, გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები.

ზემოთ ვახსენე, რომ 1959 წლის ივლისში კიევში შევხვდი ელისაბედ ბიკოვას და ხანგრძლივი საუბარი გვქონდა ქალთა საჭადრაკო მოძრაობის ავ-კარგზე. კიევში ნონას ჩავყევი. იგი სსრ კავშირ-იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ამხანაგურ მატჩზე მიიწვიეს სათამაშოდ. აქ მიიღო მან საერთაშორისო შეხვედრების ნათლობა. მართალია, ერთი პარტია ითამაშა (ვ. ნედელკოვიჩთან) და წააგო, მაგრამ მაინც დიდად პერსპექტიულ მოჭადრაკედ რჩებოდა. ჰოდა, ბიკოვამ მაშინ ნონა შესაძლებელ პრეტენდენტად დაასახელა. ეს არ იყო ჩემს საამებლად ნათქვამი. არა. „მე არ ვხუმრობ. ვერ ვიტყვი, როდის იქნება ეს. მანამდე კი შევინარჩუნებ მსოფლიო ჩემპიონობას, რათა მას შევხვდე. ჩვენი მატჩი უეჭველად ძალიან საინტერესო იქნება", ამბობდა ბიკოვა.

და სიტყვა არც გატეხა: გზიდან ჩამოიცილა კირა ზვორიკინა, რომელსაც იმხანად მატჩში უნდა შეხვედროდა.

ნონა გაფრინდაშვილმა ძალიან სწრაფად და ბევრისთვის მოულოდნელად მსოფლიო ჩემპიონის პროგნოზი სინამდვილედ აქცია.

სსრ კავშირის საიუბილეო, XXX ჩემპიონატის ფინალს (რიგა, 1960 წ.) მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის მნიშვნელობაც ჰქონდა. ამიტომ ამ შეჯიბრებაში უძლიერესი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ, ისინიც კი (კ. ზვორიკინა, ლ. ვოლპერტი), რომელთაც უკვე ჰქონდათ პრეტენდენტთა ტურნირის საგზურები.

ნონა არ შეუშინდა გაშმაგებულ ჭიდილს. ბოლომდე ლიდერთა კოჰორტაში იყო. ფინიშზე ოდნავ წაიფორხილა, მაგრამ სულიერი სიმხნევე არ დაუკარგავს. პრეტენდენტის საგზური თითქმის განაღდებული ჰქონდა, დასკვნით ტურში ო. რუბცოვასთან რომ წააგო. მაგრამ ქალღმერთმა კაისამ არ გაიმეტა. ვოლპერტი „დაეხმარა" მას, როდესაც ნონას მთავარ კონკურენტს (ვ. ტიხომიროვა) შეხვედრა ყაიმით დაუმთავრა. ნონამ 11,5 ქულით IV ადგილი დაიკავა. წინ იყვნენ ვ. ბორისენკო, ტ. ზატულოვსკაია — 13—13 ქულა და ლ. ვოლპერტი — 12. პრეტენდენტთა სამივე საგზური უმტკივნეულოდ განაწილდა.

იმდროინდელი მსოფლიო ჩემპიონი დიდოსტატი მ. ტალი წერდა: „...ნონა გაფრინდაშვილიც პირველად იბრძოლებს მსოფლიო პირველობისთვის. საინტერესო კომბინაციებთან ერთად მან პოზიციური თამაშის დიდი ოსტატობა გვიჩვენა. მე მგონია, რომ გაფრინდაშვილის თამაშზე გავლენა იქონია შერჩევითმა სისტემამ, რამაც მას ნაწილობრივ ფრთები შეუკვეცა. მაგრამ მიზანი მიღწეულია და პრეტენდენტთა ტურნირში უეჭველად I ადგილისთვის იბრძოლებს". მომავლის ჭვრეტაც ამას ჰქვია!

თითქმის მთელი 1961 წელი ნონამ პრეტენდენტებთან შეხვედრისთვის მზადებას მოანდომა. მან ბრწყინვალედ გაიმარჯვა საქართველოს ქალთა II საერთაშორისო ტურნირში, რომელიც თბილისსა და ბათუმში ჩატარდა. ეს ტურნირი შემოიღეს ქართული ჭადრაკის მესვეურებმა 1960 წელს. მასში ქართველ მოჭადრაკე ქალებს, პირველ ყოვლისა ნონა გაფრინდაშვილს, საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება უნდა მიეღოთ. I ტურნირში ნონამ II ადგილი დაიკავა, პირველი იყო ლ. ვოლპერტი. ახლა კი დაამარცხა ყველა საბჭოთა და უცხოელი მოჭადრაკე, მხოლოდ თანამემამულენი „დაინდო".

ზაფხულში ნონა მონაწილეობდა ბუქარესტში გამართულ საქართველოსა და რუმინეთის მოჭადრაკეთა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში. ქართველ მოჭადრაკეს აქაც წარმატება ჰქონდა. ორი პარტია მოუგო ე. პოლიქრონიადეს, ერთი — ა. ნიკოლაუს. გუნდიც ჩინებულად გამოვიდა.

ყველა ვხედავდით, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკე ზღაპრული სისწრაფით სრულყოფდა თამაშს. სწორედ ამ დროს (1961 წ. სექტემბერი) პირველად გვესტუმრა თბილისში მ. ბოტვინიკი. საუბარში იგა მაღალ შეფასებას აძლევდა ნონას შესაძლებლობებს, მაგალითად, ჩემთვის აქვს ნათქვამი, რომ ნონას დიდი წარმატებით შეუძლია იბრძოლის მსოფლიო პირველობისთვისო.

ოქტომბრის მიწურულს იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში შეიკრიბნენ პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენი. წილისყრაში 17-მა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. აქ იყვნენ ყველა კონტინენტის წარმომადგენლები, ზონალურ ტურნირებში გამარჯვებულნი.

ამ ტურნირის პერიპეტიები კარგად აქვს აღწერილი ნონას მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, ოსტატ მიხეილ შიშოვს წიგნში „დიდი ბრძოლა პატარა აგარაკზე“ (თბილისი, 1962 წ.), რომელიც ქართულ ენაზე გამოიცა.

სტარტზე ნონამ ზედიზედ მოუგო პოლონელ ჰ. კონარკოვსკას, ჰოლანდიელ ფ. ჰეემსკერკს, ლ. ვოლპერტს, ტ. ზატულოვსკაიასა და ლიდერი გახდა. VIII ტურში მას ლაზარევიჩი დაეწია და კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა. X ტურში ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. პარტიას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. IX ტურში ნონამ ლამაზად მოუგო რუმინელ ა. ნიკოლაუს, ლაზარევიჩმა კი ავადმყოფობა მოიმიზეზა და პარტია გამოტოვა. მაგრამ X ტურში გამოცხადდა ნონასთან სათამაშოდ. ყველასთვის ნათელი იყო, რომ მათ შეხვედრაში ერთპიროვნული ლიდერისა და ალბათ, თვით პრეტენდენტის ვინაობაც გაირკვეოდა.

ნონამ დიდი აღმაფრენით იბრძოლა ამ მეტად მნიშვნელოვან პარტიაში და უბრწყინვალესად მოიგო იგი. თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „არსი ჩემი ცხოვრებისა“ (თბილისი, 1976 წ.) ნონამ ამ პარტიას უწოდა „ცხოვრების პარტია“ და მას ცალკე თავი უძღვნა.

შემდგომ ნონამ განაგრძო შეუპოვარი ბრძოლა და დაუმარცხებლად გაიმარჯვა ტურნირში.

გთავაზობთ საბოლოო შედეგებს: I. ნ. გაფრინდაშვილი — 13, II. ვ. ბორისენკო — 11, III. კ. ზვორიკინა — 10, IV—VI. ვ. ნედელკოვიჩი, მ. ლაზარევიჩი (ორივე — იუგოსლავია), ტ. ზატულოვსკაია — 9,5 — 9,5, VII—IX. ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), ლ. ვოლპერტი, ე. კარაკაში (უნგრეთი) — 9—9, X. ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) — 8, XI. ჰ. კონარკოვსკა (პოლონეთი) — 7, XII—XIV. შ. შოდე დე სილანი (საფრანგეთი), გ. გრესერი, ლ. ლეინი (ორივე — აშშ) — 6—6, XV—XVI. ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია), ფ. რინდერი (გფრ) — 5,5—5,5, XVII. ს. ჰუნდსურენი (მონგოლეთი) — 2,5.

ჭადრაკის სამყარო დაინტერესდა ახალი პრეტენდენტით, რომელიც მანამდე ფავორიტი არ იყო. დიდმა ნიჭმა, მტკიცე ნებისყოფამ და გამარჯვებისკენ ლტოლვამ თავისი გაიტანა.

ნონა ტერენტის ასული გაფრინდაშვილი დაიბადა 1941 წლის 3 მაისს ზუგდიდში, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის ტ. გაფრინდაშვილის მრავალშვილიან ოჯახში. ნონა მეხუთე შვილი (ერთადერთი გოგონა) იყო. ჭადრაკს ხუთი წლისა ეზიარა. სარბიელზე პირველად გამოჩნდა 1953 წლის ზაფხულზე ბათუმში მოსწავლეთა რესპუბლიკურ გუნდურ პირველობაში, როგორც ზუგდიდის ნაკრების წევრი. აქ გაიცნო იგი გამოცდილმა მწვრთნელმა ვახტანგ ქარსელაძემ და ყველაფერი იღონა, რომ თვითმყოფადი ნიჭი არ დაკარგულიყო. 1954 წლიდან ნონა თბილისში ცხოვრობს და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში ეუფლება თამაშის საიდუმლოებას ამაგდარი აღმზრდელის ხელმძღვანელობით. მეცადინეობამ და სათანადო პრაქტიკულმა გამოსვლებმა კიდევ უფრო გააბრწყინა ნონას დიდი ტალანტი. მისმა მიღწევებმა ქვეყანა აალაპარაკა.

1956 წელს ნონამ საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა, მერე სსრ კავშირის XVI ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმარჯვა და 15 წლისამ ფინალშიც ითამაშა. აქ მაინცდამაინც დიდი წარმატება ვერ მოიპოვა, მაგრამ სპეციალისტებმა განჭვრიტეს მისი დიდი მომავალი. ამიტომ სსრ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს.

ნონა შემდგომშიც მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატებში. 1958 წელს XVIII ჩემპიონატში მან III ადგილი დაიკავა და, პირველმა ქართველ მოჭადრაკე ქალთაგან, სპორტის ოსტატის წოდება მიიღო. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა გამოსვლამ სსრ კავშირის ხალხ-

თა 1959 წლის სპარტაკიადაში, სადაც საქართველოს გუნდს 10 შეხვედრაში 9,5 ქულა შესძინა.

1959 წელს ნონამ პირველად მიიღო მონაწილეობა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში. მან დაამარცხა ა. ბლაგიძე, ყაიმით დაამთავრა პარტიები ბ. გურგენიძესთან, მ. შიშოვთან, ა. ბუსლაევთან და თ. გიორგაძესთან. ეს მრავლისმეტყველი დასაწყისი იყო. ვაჟებთან პაექრობა ნონას დაოსტატების ერთ-ერთ მძლავრ ბერკეტად მიაჩნდა. იგი ელვისებურ თამაშშიც შესანიშნავი იყო, მახსოვს 1959 წელს, რიგაში, ნონამ ვაჟებთან ელვისებური თამაშის ტურნირში II ადგილი დაიკავა, თუმცა პირველი უნდა ყოფილიყო, დიდოსტატ მ. ტალთან მოსაგები პარტია რომ არ წაეგო. მოულოდნელი გამარჯვებით გახარებული დიდოსტატი მიიჭრა თავის მწვრთნელთან ოსტატ ა. კობლენცთან და უთხრა: „მაესტრო, ეს რა ძლიერი გოგონა ყოფილა. ძალიან შორს წავა".

ახალგაზრდა პრეტენდენტთან შესახვედრად გაზეთმა „კომუნისტმა" მოსკოვს მიმავლინა. ვიდრე ნონა იუგოსლავიიდან ჩამოვიდოდა, დრო მქონდა და შინ ვეწვიე ელისაბედ ბიკოვას. ვისაუბრეთ, გავიხსენეთ ორიწლისწინანდელი ჩვენი შეხვედრა კიევში.

— გამეხარდა ნონას გამარჯვება, — თქვა ჩემპიონმა ქალმა. — თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ასე ადრე არ ველოდი ამას. მსოფლიო ჩემპიონთან თამაშის „რიგი" ვალენტინა ბორისენკოს ეკუთვნოდა. ხომ გახსოვთ, 1949—50 წლის მსოფლიო პირველობაში საბჭოთა კავშირიდან ოთხნი ვთამაშობდით, ჰოდა, მათგან სამნი — რუდენკო, რუბცოვა და მე ჩემპიონები გავხდით. ახლა ბორისენკოს ჯერი იყო.

ბიკოვამ ეშმაკურად გაიღიმა. მეც ხუმრობით ვუპასუხე:

— ქართველებს რიგში დგომა არ გვიყვარს და ნონაც ურიგოდ გაძვრა.

ბიკოვამ გაიცინა და დასძინა:

— კარგია ხუმრობა, მაგრამ ნონა ნამდვილად ღირსეული პრეტენდენტია, თუმცა „რიგი" დაარღვია.

მატჩამდე საკმაო დრო იყო. როგორც აღვნიშნეთ, ელისაბედ ბიკოვა მოგვიანებით შეუდგა შეხვედრისთვის მზადებას, ლიტერატურულ მუშაობას განაგრძობდა.

1957 წლიდან ნონას ოსტატი მიხეილ შიშოვი წვრთნიდა. ახლაც მისი ხელშეწყობით, ერთხანს დიდოსტატ დ. ბრონშტეინის დახმარებით, ნონა ღრმად სწავლობდა მსოფლიო ჩემპიონის პარტიებს, შემოქმედე-

ბასა და სპორტულ პორტრეტს. 1962 წლის გაზაფხულზე ნონამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში. ამჯერად მას „ემსხვერპლენ" ა. ბუსლაევი, თ. ლომაია, ა. იზვოზჩიკოვი და სხვები. ნონამ ვაჟთა შორის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, მაისში კი საქართველოს ქალთა III საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. მერე იგი კაბინეტურ მყუდროებაში ემზადებოდა ძნელი მატჩისთვის. რა თქმა უნდა, სავარჯიშო პარტიებსაც თამაშობდა, ოღონდ მისი შედეგები არსად ქვეყნდებოდა.

ბევრი რამ გაკეთდა ნონას საგულდაგულოდ მომზადებისთვის. ყველაფერი ეს და თვით მატჩის პერიპეტიები დაწვრილებით მაქვს აღწერილი წიგნში „გზა მწვერვალისაკენ" (თბილისი, 1963 წ.). აქვე უნდა შევნიშნო, რომ ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობით ყველა (6) მატჩს მსოფლიო პირველობაზე ცალკე წიგნი მივუძღვენი. მათი გაცნობა სრულ წარმოდგენას იძლევა ნონას თავდადებულ ბრძოლაზე, მის გათამაშებულ პარტიებზე, ეს წიგნებია: „დედოფალი არ შეცვლილა" (თბილისი, 1966 წ.), „ტახტზე მესამედ ავიდა" (თბილისი, 1970 წ.), „დედოფალი ტახტიდან არ ჩამოდის" (თბილისი, 1973 წ.), „ქართეხილი ჭადრაკის სადედოფლოში" (თბილისი, 1976 წ.), „დედოფალი ულოცავს დედოფალს" (თბილისი, 1979 წ.).

დადგა ბრძოლის ჟამიც. 1962 წლის 18 სექტემბერს მოსკოვის სამეცნიერო და ტექნიკური პროპაგანდის სახლის სააქტო დარბაზში ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩი დაიწყო. შეხვედრის რეგლამენტი უცვლელი იყო: 16 პარტია, ყაიმი (8:8) ჩემპიონს ტახტზე ტოვებდა.

I პარტია, რომელსაც ნონა შავებით თამაშობდა, ორდღიანი შეუპოვარი თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ნონამ ადვილად გაათანაბრა თამაში. II პარტიის დებიუტში მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნა და პარტია მოსაგებ მდგომარეობაში გადადო. მეორე დღეს დილით ბიკოვამ მას გამარჯვება მიულოცა. ნონა III პარტიაშიც დაეუფლა ინიციატივას, მერე კი პატარა კომბინაციით ბიკოვა რთული ამოცანების წინაშე დააყენა. ჩემპიონი დიდხანს ფიქრობდა და ცაიტნოტში მოხვდა, უიმედო პოზიციაში საათზე ალამი ჩამოუვარდა და წაგება ჩაეთვალა.

ბიკოვამ შეცვალა თამაშის სტრატეგია: ბრძოლის სიმძიმე ენდშპილში გადაიტანა იმის იმედით, რომ ნონას ახალგაზრდობის გამო არ ეყოფოდა გამოცდილება ამ სტადიის თამაშისთვის. ამიტომ IV პარტიაში თავიდანვე გაცვალა ლაზიერები, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა.

ნონამ დაკვირვებულად წარმართა თამაში და საუცხოოდ გამოიყენა ბიკოვას უზუსტობანი. ჩემპიონმა ქალმა ისღა შეძლო, რომ პარტია გადადო, მაგრამ დილით ტელეფონით აცნობა ნონას პარტიას ვთმობო.

ზედიზედ სამმა მოგებამ და ახალგაზრდა პრეტენდენტის დაწინაურებამ (3,5:0,5) გაამძაფრა ინტერესი მატჩისადმი. ასეთ დასაწყისს არავინ მოელოდა, — პირველ ყოვლისა არც თვით ჩემპიონი.

V პარტია ორ დღეს მიმდინარეობდა. პაიკის შეწირვით ნონამ ხელთ იგდო თამაშის სადავეები, მაგრამ თვალშესავლებ უპირატესობას ვერ მიაღწია. შეიქმნა საყაიმო პოზიცია, მაგრამ ბიკოვა განაგრძობდა თამაშს. ჩანს, ახალგაზრდა მეტოქის მოთმინებას ამოწმებდა. პარტია მეორედ გადაიდო, მაგრამ თამაში აღარ განახლებულა. მეტოქენი დაზავდნენ. ეს იყო მატჩის ყველაზე ხანგრძლივი (11 საათი) და მრავალსვლიანი (90 სვლა) პარტია.

ნონამ კიდევ ორი (VI, VII) პარტია მოიგო და მისი საბოლოო გამარჯვება აღარავის აეჭვებდა. ანგარიშიც — 6:1 შთამბეჭდავი იყო.

ნონა მიზანთან ახლოს იყო. ბიკოვამ ძალ-ღონე მოიკრიბა, მაგრამ უკვე ძნელი იყო ნონას მოზღვავებული ენერგიის დაოკება. VIII და IX პარტიები ბიკოვამ ყაიმით დაამთავრა, მაგრამ X და XI პარტიები ზედიზედ წააგო.

ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკემ ვადამდე დაასრულა დიდი პაექრობა — 9:2. მას პარტია არ წაუგია, მოიგო 7 შეხვედრა და 4 ყაიმით დაამთავრა.

ფართო საზოგადოებრიობა კმაყოფილი შეხვდა ჭადრაკის სადედოფლოში მომხდარ ცვლილებას. ახალი ჩემპიონი 21 წლისა იყო, როგორც პირველად გადედოფლებული ვერა მენჩიკი. ეს ქალთა ჭადრაკს ბევრს ჰპირდებოდა.

მატჩის საზეიმო დახურვაზე 18 ოქტომბერს ელისაბედ ბიკოვამ თქვა:

— ძნელია მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვა. მაგრამ სევდას მინელებს იმის შეგნება, რომ ტახტი გადავაბარე ჭეშმარიტად ნიჭიერ ახალგაზრდას, რომელიც, ვფიქრობ, ღირსეულად ატარებს ჩემპიონის ტიტულს.

იმ საღამოს ბიკოვამ ნონას უსახსოვრა თავისი წიგნი „ვერა მენჩიკი" ასეთი წარწერით — „ნონა გაფრინდაშვილს — პირველი მსოფლიო ჩემპიონის დიდებული ტრადიციების ღირსეულ განმგრძობს საუ-

კეთესო სურვილებით. ელისაბედ ბიკოვა. 1962 წლის 18 ოქტომბერი, მოსკოვი".

იმხანად შინ ვინახულე საბჭოთა მოჭადრაკეთა ლევანლემოსილი მოძღვარი პეტრე რომანოვსკი. მან მითხრა: „ნონას გამარჯვება მოწმობს, რომ ქალთა ჭადრაკი განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. 100 წლის შემდეგ ნონას მიღწევაზე უფრო მეტს ილაპარაკებენ, ვიდრე ახლა. მჯერა, რომ ნონა... ეპოქას შექმნის ქალთა ჭადრაკში".

თქმა არ უნდა, საქართველომ გაიხარა თავისი ასულის დიდი წარმატებით. შინ დაბრუნებულ ახალგაზრდა ჩემპიონს გულითადი შეხვედრა მოუწყვეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. ეს იყო დიდი პატივი, დიდი სიხარული და მრავალსაუკუნოვანი ქართული ჭადრაკის ჭეშმარიტი ზეიმი.

## დედოფლის შეუვალობა

ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საზღვარგარეთ წერდნენ, რომ ვერა მენჩიკის შემდეგ ასეთი ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი არ გვყოლიაო. ყველას აინტერესებდა მისი გაცნობა.

1963 წლის დამდეგს ნონა საასპარეზოდ მიიწვიეს ჰოლანდიაში ბევერვიიკის ქალთა საერთაშორისო ტურნირში. ახალგაზრდა ჩემპიონმა დააკმაყოფილა გულშემატკივართა ხვაშიადი: ყველა მეტოქე (ცხრა) დაამარცხა, რითაც ვერა მენჩიკი გაახსენა მათ. ნონამ მოიგო მასპინძელთა გულები.

ჰოლანდიელებმა სიტყვა დაადებინეს ქართველ მოჭადრაკეს, რომ იგი გაისადაც ითამაშებდა ბევერვიიკში, ოღონდ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში. მაგრამ ახალგაზრდა ჩემპიონს ასეთსავე ტურნირში იწვევდნენ ინგლისელები და შვედები. ნონამ ჰოლანდიელებს ბოდიში შეუთვალა, რადგან ჰასტინგსის საშობაო კონგრესში მონაწილეობა ამჯობინა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ჰასტინგსში ვაჟებთან ვერა მენჩიკს უპაექრია და იქ მიწვევა დიდ პატივად მიიღო.

ზაფხულში ნონამ კვლავ დიდი წარმატებით ითამაშა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში, მოსკოვში, სადაც აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი (8,5 ქულა 9-დან) აჩვენა.

შემოდგომის ზღურბლზე ნონა თავკაცობდა სსრ კავშირის გუნდს

იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში ქალთა II საჭადრაკო ოლიმპიადაზე. საასპარეზოდ 15 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. საბჭოთა გუნდმა (ნ. გაფრინდაშვილი, ტ. ზატულოვსკაია, კ. ზვორიკინა) უსასტიკეს ჭიდილში მოიპოვა ვერა მენჩიკის სახელობის თასი. ამ გამარჯვებაში ლომის წილი ნონასი იყო: 11,5 ქულა 12 შეხვედრაში!

ოლიმპიადის მთავარმა მსაჯმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ო. რუბცოვამ ქებით შეამკო ნონას ბრძოლისუნარიანობა და ამერიკელ გ. გრესერთან მისი მოგებული პარტია, რომელსაც საგანგებო ჯილდო ხვდა.

ახალ, 1964 წელს ახალგაზრდა ჩემპიონი ჰასტინგსში შეხვდა. იგი თამაშობს ეგრეთ წოდებულ ჩელენჯერ-ტურნირში, რომელშიც გამარჯვებული მომდევნო წელს მთავარ ტურნირში მიიღებდა მონაწილეობას. ჩანს, ინგლისელები მაინც დააეჭვა ქართველი ასულის შესაძლებლობებმა ანდა არ ისურვეს, იგი პირდაპირ „ხახაში მიეცათ ვეფხვისთვის" და ჯერ შესარჩევ ტურნირში აპაექრეს.

ნონამ შეჯიბრებას ჩინებულად გაართვა თავი: I—II ადგილები გაიყო და ორგანიზატორებმა დიდი სიხარული გამოთქვეს, რომ ახალგაზრდა ჩემპიონი შემდეგ წელსაც მათი სტუმარი იქნებოდა. სწორედ ამ დროს ნონას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს.

ერთ-ერთი გერმანული საჭადრაკო ჟურნალი ჰასტინგსის საშობაო კონგრესის შემდეგ წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ ქალებთან შეხვედრებში მან (ნონამ) საუკეთესო შედეგებს მიაღწია, ბევრი მონაწილე ნონას შანსებს სკეპტიკურად აფასებდა. — ჭადრაკი არ არის ქალების თამაში! ირონიული ღიმილით ამბობდნენ მამაკაცები. შეცდნენ. ტურნირის დაწყებისთანავე ნონა შეუპოვრად იბრძოდა გამარჯვებისთვის და მხოლოდ გამარჯვებისთვის. მან გამოავლინა დებიუტების თეორიის საუცხოო ცოდნა, დიდი კომბინაციური ოსტატობა, აგრეთვე ძნელი პოზიციური ბრძოლის წარმართვის უნარი... მაგრამ ყველაზე დიდი სიურპრიზი იყო ნონას გამარჯვება ელვისებური თამაშის ტურნირში, სადაც მან 13 ქულა დააგროვა 13 შესაძლებლიდან და მიხეილ ტალს ქულით გაუსწრო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჯეროვნად ვერ შეაფასა ჭადრაკის დედოფალი (იქნებ ეს რაინდული თავდადება იყო?) და შამათი მიიღო... ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჭადრაკის სამყარომ, როგორც იქნა, მიიღო ჩემპიონი, რომელიც თამაშის ძალით დაუვიწყარ ვერა მენჩიკს მოგვაგონებს"...

ჰასტინგსის ტურნირის დროს ნონამ და ტალმა რეიკიავიკის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მიწვევა მიიღეს. ისლანდიის

დედაქალაქში ჩემპიონი ქალი პირველად შეხვდა დიდოსტატებს ფიდე-ს ამჟამინდელ პრეზიდენტს ფ. ოლაფსონს (პარტია ყაიმით დამთავრდა), ს. გლიგორიჩს (იუგოსლავია) და სხვა ცნობილ მოჭადრაკეებს. მიხეილ ტალის აზრით, ნონა დაღლილი თამაშობდა და ვერ გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი ძალა.

საქართველოს ქალთა IV საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი სოხუმში შეიკრიბნენ (1964 წ. მაისი). მოთამაშეთა ძირითად ბირთვს წარმოადგენენ ნონა და პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის მონაწილენი ე. ბიკოვა, ვ. ნედელკოვიჩი, ე. კარაკაში, რუმინელი მ. ტეოდორესკუ და სსრ კავშირის ჩემპიონი მ. რანიკუ.

სოხუმის საზოგადოებრიობა გულმხურვალედ შეხვდა ცნობილ მოჭადრაკეებს. მ. გორკის სახელობის კლუბი, სადაც შეჯიბრება ტარდებოდა, მუდამ სავსე იყო ქომაგებით. ნონამ ხუთივე პრეტენდენტს მოუგო და I ადგილი დაიკავა. იგი ისე ბეჯითად თამაშობდა, რომ II ადგილზე გამოსულ თბილისელ საერთაშორისო ოსტატ ა. ჩაიკოვსკაიას სამი ქულით გაასწრო. ამ პაექრობის პერიპეტიებს ვუძღვენი წიგნი „თორმეტთა ტურნირი სოხუმში" (თბილისი, 1965 წ.).

ნონა 1965 ახალი წლის დღესაც ჰასტინგსში შეხვდა, როგორც მთავარი საშობაო ტურნირის მონაწილე. ამ ტურნირში ვერა მენჩიკამდე და მერეც ქალთაგანს არავის უთამაშია. ნონას მეტოქეთა შორის ჰყავდა დიდოსტატები პ. კერესი, ს. გლიგორიჩი, საერთაშორისო ოსტატი (ახლა დიდოსტატი) რუმინელი ფ. გეორგიუ და სხვები.

ახალგაზრდა ჩემპიონი ქალი არ ეპუება მეტოქეებს და არ ღალატობს თავის მრწამსს: ყველასთან გამარჯვების გზების ძიებაშია. ჟურნალისტებს უთხრა, ჩემი მომავალი მეტოქე-მამაკაცების ჯენტლმენობის იმედი არა მაქვსო. საბოლოოდ ნონამ V ადგილი დაიკავა, რაც დიდი წარმატება იყო. მ. ბოტვინიკმა მომწერა „ყოჩაღ, ნონა". შექებაზე სიტყვაძვირი დიდოსტატის ეს ორი სიტყვა ბევრს ნიშნავდა, თუ გავიხსენებთ იმას, რომ თვით მ. ბოტვინიკმა ჰასტინგსის ტურნირში პირველად რომ ითამაშა, მხოლოდ V—VI ადგილები გაიყო.

ნონამ დიდი ბრძოლა გადაიტანა პ. კერესთან პარტიაში. ესტონელ დიდოსტატს ჰაერივით სჭირდებოდა მოგება I ადგილისთვის. მაგრამ ნონას მხრიდან შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა და, რაკი ვერაფერს გახდა, ყაიმი თავად შესთავაზა. ნონას გამარჯვებამ ტურნირის მონაწილე ოთხივე ინგლისელ ოსტატთან დიდი მხიარულება გამოიწ-

ვია. ერთ-ერთი დამარცხებული ოსტატი ა. ჰინდლი თავის გასამართლებლად წერდა: „ყველას, ვისაც მიამიტად მიაჩნდა, რომ ვაჟთა ტურნირში ნონა თავის „წრეში“ არ იქნებოდა, საკმაოდ მალე გაუქარწყლდა ილუზია. მე უფრო ის მაწუხებს, რომ მისის გაფრინდაშვილს ძალიან მდარე შეხედულება დარჩა ინგლისელ მოჭადრაკეებზე, რაკი ყველა დაგვამარცხა. ცხადია, ინგლისელ მკითხველებს ესმით, რომ ჩვენ მხოლოდ თავაზიანობა გამოვიჩინეთ“.

ჰასტინგსში ნონას გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ჯერ კიდევ 1963 წლის ივლისში ფიდე-ს XXXIV კონგრესმა გადაწყვიტა, რომ პრეტენდენტთა V ტურნირს სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაცია ჩაატარებდა. 1964 წლის სექტემბერში პრეტენდენტები სოხუმში ჩამოვიდნენ. ძლიერი მოჭადრაკეების მონაწილეობა უმძაფრესი სპორტული ჭიდილის საწინდარი გახდა.

თავიდან დაწინაურდა მ. ლაზარევიჩი, რადგან იძულებითი წილისყრით საბჭოთა მოჭადრაკეები სტარტზე ერთმანეთს ხვდებოდნენ. 9 ტურის შემდეგ ლაზარევიჩს 8 ქულა ჰქონდა. მერე იუგოსლაველმა მოჭადრაკემ მოუგო ზატულოვსკაიას, კუშნირს, რანიკუს, დაუზავდა ზვორიკინას, ბიკოვას და მხოლოდ ბორისენკოსთან წააგო. ყველა, ვინც ტურნირს ვესწრებოდით, მათ შორის ნონა გაფრინდაშვილიც, ვფიქრობდით, რომ პრეტენდენტი ლაზარევიჩი გახდებოდა. მაგრამ დასკვნითს ორ პარტიაში მან მხოლოდ ნახევარი ქულა შეიმატა. მას დაეწივნენ კუშნირი და ზატულოვსკაია. სამივემ ერთად გადალახა ფინიში.

ტურნირის შედეგები ასეთი იყო: I—III. ტ. ზატულოვსკაია, ა. კუშნირი, მ. ლაზარევიჩი — 12,5—12,5, IV—V. კ. ზვორიკინა, კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია) — 11—11, VI. მ. რანიკუ — 10,5, VII—VIII. ვ. ბორისენკო, ჰ. კონარკოვსკა (პოლონეთი) — 10—10, IX. ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია) — 9, X. კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 8,5, XI. ე. ბიკოვა — 8, XII. ლ. ლეინი (აშშ) — 7, XIII—XV. გ. გრესერი (აშშ), ე. კარაკაში (უნგრეთი), მ. ტეოდორესკუ (რუმინეთი) — 6,5—6,5, XVI. ა. ივანოვა (ბულგარეთი) — 6, XVII. ცენდი (მონღოლეთი) — 4, XVIII. ს. მოსჩინი (არგენტინა) — 1.

პრეტენდენტის გამოსავლენად საჭირო შეიქნა დამატებითი მატჩ-ტურნირი.

ერთი თვის შემდეგ „შესანიშნავი სამეული“ შეხვდა ერთმანეთს

მოსკოვში ორწრიან შეჯიბრებაში. პირველ წრეში ლაზარევიჩმა ორივე მეტოქეს სძლია, მაგრამ მეორეში ორივესთან დამარცხდა. მას კუშნირმა გაასწრო. მოსკოველმა მოჭადრაკემ პირველ წრეში ნახევარი ქულა აიღო (ყაიმი ზატულოვსკაიასთან), მეორეში — ორივე პარტია მოიგო და 2,5 ქულით I ადგილი დაიკავა. ლაზარევიჩს 2 ქულა ჰქონდა, ზატულოვსკაიას — 1,5.

ახალი პრეტენდენტი ცნობილი მოჭადრაკე იყო. ალა შმულიმის ასული კუშნირი (დაიბადა 1941 წლის 11 აგვისტოს მოსკოვში) 1958 წლიდან სისტემატურად მონაწილეობდა სსრ კავშირის ჩემპიონატებში და დამაკმაყოფილებელ შედეგებს აღწევდა. მაგალითად, XIX ჩემპიონატში V ადგილზე იყო, XXI და XXIII ჩემპიონატებში III—IV ადგილები გაიყო, XXII ჩემპიონატში — II—III. სპორტის ოსტატის წოდება 1960 წელს მიიღო.

კუშნირი ახლოს იცნობდა ნონას და დიდად აფასებდა მის ნიჭსა და ოსტატობას. ჟურნალ „ცისკარში" (1962 წ. № 10) იგი წერდა: „...არც ერთი მოჭადრაკე ქალი არ ყოფილა თავის სახელგანთქმულ წინამორბედთან (ვ. მენჩიკთან) ისე ახლოს, როგორც გაფრინდაშვილი. მაგრამ ნონას როლი უფრო მნიშვნელოვანია. მენჩიკის წარმატებებს ხომ არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქალთა თამაშის კლასზე. ნონას სტილმა კი უკვე აამაღლა ქალთა საჭადრაკო კულტურის დონე და შემდეგშიც, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტს გააკეთებს ამ მხრივ".

მატჩამდე მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი ცხრაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და უპირატესობა (+4—3=2) ნონას მხარეზე იყო.

მეტოქენი სწრაფად შეთანხმდნენ: ითამაშონ რიგაში, სექტემბერ-ოქტომბერში. მთავარ მსაჯად მოიწვიეს გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი და არბიტრი ნ. გრუშკოვა-ბელსკა, რომელიც მანამდე პრეტენდენტთა 1955 წლის ტურნირსა და ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩს „დირიჟორობდა". გათამაშების რეგლამენტი იგივე დარჩა: ჩემპიონობის ბედი 16 პარტიაში უნდა გადაწყვეტილიყო.

გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩმა სტარტი აიღო 1965 წლის 18 სექტემბერს რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

„...მოსკოველები იმედოვნებენ დედაქალაქში დაიბრუნონ ჩემპიონის სახელი, მაგრამ შეიძლება ეს მოხდეს? მიშა ტალმა ამას წინათ განაცხადა, რომ „ჭადრაკის სინოპტიკოსების" რწმენა მთლად დამეკარ-

გაო. ნამდვილ მამაკაცს ხომ შეუძლია პროგნოზი გააკეთოს „ქალთა საკითხში"?! შეუძლია. საერთო აზრით, ყველა შანსი ნონა გაფრინდაშვილის მხარეზეა, მაგრამ დინჯი და ძლიერი მოჭადრაკის ალა კუშნირის დამლევა ადვილი საქმე როდია. ბრძოლა დაძაბული იქნება. ვფიქრობ, ეს ნათელია როგორც ნონასთვის, ისე მისი მწვრთნელისთვის",— წერდა ს. ფლორი გაზეთ „კომუნისტში".

ნონამ I პარტია მოიგო, მაგრამ II პარტიაში დამარცხდა. კუშნირმა მოულოდნელად გამოიყენა ესპანური პარტია, რომელიც ადრე არ უთამაშია და, როგორც ჩანს, მის წინააღმდეგ ნონა მზად არ იყო. ფსიქოლოგიურმა ჩანაფიქრმა გაუმართლა კუშნირს. III პარტია ყაიმით რომ დამთავრდა, ნონას ზოგიერთი ქომაგი შეშინდა: ვაითუ ვერ შეაფასა კუშნირის შესაძლებლობებიო. მაგრამ მალე თვით ნონამ გაფანტა ეჭვები. მან ზედიზედ მოიგო IV და V პარტიები. შეხვედრის დროს კუშნირი ვერ იმორჩილებდა თავს, აშკარად ღელავდა. VI პარტიაში ყაიმის შემდეგ, ნონამ კიდევ ორი პარტია მოიგო.

1:0, 1:1, 1,5:1,5, 2,5:1,5 3,5:1,5, 4:2, 5:2, 6:2 — ეს ანგარიში ნონას მოახლოებულ გამარჯვებაზე მეტყველებდა. მაგრამ ფინიშზე თამაში მუდამ ძნელია და ეს კიდევ ერთხელ ცხადყო ამ მატჩმა.

IX პარტიაში ჩემპიონი და პრეტენდენტი დაზავდნენ. X პარტიაში ნონამ ორიგინალურად წარმართა ბრძოლა და... წააგო. XI პარტიაში მან მტკიცე თამაშით კუშნირს ფარ-ხმალი დააყრევინა, მაგრამ XII პარტიაში ვერ დაძლია ფსიქოლოგიური ბარიერი (მოგება მატჩში გამარჯვებას აძლევდა), არასწორად თამაშობდა და დამარცხდა. XIII პარტიაში იგი უფრო წინდახედულად მოქმედებდა, მაგრამ კუშნირმა უფრო პერსპექტიული პოზიცია მიიღო. ერთ მომენტში მას მოგებისკენ მიმავალი გზის იდეა გამორჩა და ჩარხი შემობრუნდა. ნონას ეტლი, კუ და მხედარი შეიჭრნენ პრეტენდენტის განლაგებაში. წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა და კუშნირმა თავი დამარცხებულად ცნო.

6,5:2,5, 6,5:3,5, 7,5:3,5, 7,5:4,5, 8,5:4,5 (+7—3=3) — ასე დასრულდა ეს მღელვარე ორთაბრძოლა.

ნონა გაფრინდაშვილი მეორედ შეამკეს (25 ოქტომბერს) ჩემპიონის დაფნის გვირგვინით და აკურთხეს ტახტზე.

— ნონასთან წაგება ჩრდილს არავის მიაყენებს. კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ არ ვყრი ფარ-ხმალს. პირიქით, ნონასთან დამთავრებულ მატჩს ისე ვუყურებ, როგორც მსოფლიო ჩემპიონობაზე ხან-

გრძლივი დავის დასაწყისს. ჩემთვის ახლა სავსებით ნათელია, როგორ უნდა ვიმუშაო ნაკლის გამოსასწორებლად. კვლავ შევეცდები მოვიპოვო ნონასთან თამაშის უფლება, — განაცხადა კუშნირმა ინტერვიუში მატჩის დამთავრებისას.

კუშნირმა ნათქვამი გაამართლა.

## განმეორებითი შეხვედრა

მხოლოდ 1966 წელს დაუბრუნდა კუშნირი სარბიელს, როცა მეორედ გახდა მოსკოვის ჩემპიონი. მერე მან სსრ კავშირის გუნდურ პირველობაშიც ითამაშა, სადაც მსოფლიო ჩემპიონსაც შეხვდა (პარტია ყაიმით დამთავრდა). ახალი, 1967 წელი ბევერვიიკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით დაიწყო. თვალნათლივ ჩანდა, რომ კუშნირს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი კვლავ პრეტენდენტი გამხდარიყო. მაგრამ ალას საკმაოდ ბევრი მეტოქე ჰყავდა და ეს განსაკუთრებულ სიბეჯითეს მოითხოვდა მისგან.

ახლოვდებოდა პრეტენდენტთა ტურნირის სტარტი. ფიდე-ს XXXVII კონგრესმა (ჰავანა, 1966 წ.) შეჯიბრების გამართვა იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციას მიანდო. იუგოსლავიელებმა კი საასპარეზოდ ქალაქი სუბოტიცა შეარჩიეს. მასპინძლები საგულდაგულოდ მოემზადნენ გამოჩენილი მოჭადრაკეების შესახვედრად.

1967 წლის 7 სექტემბერს სუბოტიცას საქალაქო რატუშის შენობაში თავი მოიყარეს პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეებმა — 18 მოჭადრაკემ 9 ქვეყნიდან. სსრ კავშირიდან გამოდიოდნენ XXVI ჩემპიონატში გამარჯვებულნი — ნ. ალექსანდრია, ა. კისლოვა, ტ. ზატულოვსკაია და ვ. კოზლოვსკაია. მიმომხილველები წერდნენ, რომ პრეტენდენტის საგზურისთვის ბრძოლა ძირითადად საბჭოთა და იუგოსლაველ მოჭადრაკეთა შორის გაჩაღდებაო. მაგრამ პრეტენდენტი მაინც ვერავინ გამოიცნო წინასწარ. მაგალითად, თვით მსოფლიო ჩემპიონი ფიქრობდა, რომ ეს იქნებოდა ზატულოვსკაია ან რუმინელი ა. ნიკოლაუ.

სპორტული პაექრობა თავიდანვე დაიძაბა. დაწინაურდა იუგოსლაველი ტ. შტადლერი. XV ტურამდე იგი ზოგჯერ ორი ქულით უსწრებდა მდევნელებს. მაგრამ ფავორიტები იმედს არ კარგავდნენ. პირველ ნახევარში ნ. ალექსანდრიაც ენერგიულად მიიწევდა წინ, მაგრამ გამოცდილება არ ჰყოფნიდა: ერთი რომ წაიფორხილა, ლიდერებს ჩა-

მორჩა. კუშნირმა ფინიშამდე რომ დაიწყო, ზედიზედ 8 პარტია მოიგო და პრეტენდენტის საგზურსაც დაეუფლა. ზატულოვსკაიამ და კოზლოვსკაიამ მხოლოდ ის შეძლეს, რომ პრეტენდენტთა მომავალი ტურნირის საგზურები მოიპოვეს.

ბრძოლა ასეთი შედეგით დასრულდა (6 ოქტომბერს): I. ა. კუშნირი — 13,5, II—III. ტ. ზატულოვსკაია, ვ. კოზლოვსკაია — 12,5—12,5 IV. ტ. შტადლერი (იუგოსლავია) — 12, V. ა. კისლოვა — 11, VI. ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია) — 10,5 VII—IX. ნ. ალექსანდრია, მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია), ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) — 10—10, X. ვ. ნოვარა (გდრ) — 8, XI—XII. ჰ. კონარკოვსკა (პოლონეთი), მ. პერევოზნიკი (რუმინეთი) — 7—7, XIII. ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია) — 6,5, XIV—XV. ვ. ასენოვა (ბულგარეთი), გ. გრესერი (აშშ) — 5,5—5,5 XVI. მ. მაკ გრატი (ავსტრალია) — 4,5, XVII. კ. ფრიდმანი (ისრაელი) — 4, XVIII. ე. არონსონი (აშშ) — 3.

ეს იყო პირველი შემთხვევა ქალთა მსოფლიო პირველობის ისტორიაში, როცა ერთი და იგივე მოჭადრაკე ზედიზედ მეორედ გახდა პრეტენდენტი.

1968 წლის დამდეგს ნონამ და კუშნირმა მოილაპარაკეს, რომ მატჩს ითამაშებდნენ ტალინში 19 სექტემბრიდან. შეხვედრამდე დარჩენილ დროში კუშნირმა მხოლოდ ბელგრადის 8 მარტისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა (II ადგილი დაიკავა. პირველი იყო ნონა. მათი შეხვედრა ყაიმით დასრულდა).

რა თქმა უნდა, ნონა გაფრინდაშვილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს პრეტენდენტთა ბრძოლას, მაგრამ თავადაც საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში იყო ჩაბმული. იგი ბევრს თამაშობდა და ყველგან, მათ შორის ვაჟთა ტურნირებშიც, სასურველი მონაწილე იყო.

1966 წელს ნონას ვხვდებით ბელგრადის 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა (I—II ადგილები ტ. ზატულოვსკაიასთან), ზეოლესა (III—IV) და ბევერვიიკის (VI) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში. იმავე წელს ქალთა III საჭადრაკო ოლიმპიადაში გფრ-ის ქალაქ ობერჰაუზენში იგი თავკაცობს სსრ კავშირის ნაკრებს (ნ. გაფრინდაშვილი, ტ. ზატულოვსკაია, ვ. კოზლოვსკაია) და ოლიმპიური ოქროს მედლით ბრუნდება შინ.

ახალგაზრდა ჩემპიონის სპორტულ-შემოქმედებითი წინსვლა, მისი ზრუნვა ქალთა თამაშის სრულყოფისთვის შეუმჩნეველი როდი დარჩა.

ამ წარმატებითი მოღვაწეობისთვის საბჭოთა მთავრობამ ნონა ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ასეთი მაღალი ჯილდო არც ერთ საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონ ქალს არ მიუღია. ო. რუბცოვა დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, ლ. რუდენკო და ე. ბიკოვა — „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ნონამ 1967 წელსაც ითამაშა ბელგრადის 8 მარტისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ ამჯერად ფინიშთან მხოლოდ მეორე იყო. მას ტ. ზატულოვსკაიამ აჯობა. დიდი ტრიუმფით იმოგზაურა ნონამ ინგლისში, სადაც დამაჯერებლად გაიმარჯვა გეეერინგენისა და პრეატონის ქალთა პატარა საერთაშორისო ტურნირებში.

მაისში ნონა გაფრინდაშვილმა სასახელოდ გაიმარჯვა კიევში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მეტოქეებად ჰყავდა კ. ზვორიკინა, ნ. ალექსანდრია, ა. ნიკოლაუ, ა. კისლოვა და სხვები. ზაფხულში საქართველოს გუნდის შემადგენლობაში ნონა მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში, სადაც აგრეთვე შესანიშნავად გამოვიდა (პარტია მოუგო კუშნირს).

1968 წლის ზამთარში მსოფლიო ჩემპიონი გაემგზავრა გეტებორგში (შვეცია) გამოჩენილი შვედი საჭადრაკო მოღვაწის ე. ოლსონის მემორიალში მონაწილეობის მისაღებად. ტურნირში მოუწია თამაში ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ფინეთის და შვეციის ცნობილ მოჭადრაკეებთან, მათ შორის საბჭოთა დიდოსტატ ე. გელერთან. ნონამ III ადგილი დაიკავა, პარტია ე. გელერთან ყაიმით დაამთავრა. მერე გაიმარჯვა ბელგრადის 8 მარტისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში.

მოახლოვდა შემოდგომაც. ტალინი მზად იყო სტუმრების მისაღებად, მაგრამ კუშნირი გაჭირვეულდა. მოითხოვა შეხვედრის დროისა და მასპინძლის შეცვლა. მიზეზად ის მოჰყავდა, რომ შემოდგომაზე ესტონეთში ხშირად წვიმსო. პრეტენდენტს მომხრეები გამოუჩნდნენ და უპრეცენდენტო ამბავი მოხდა: მატჩი ჩაიშალა. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, რომ ვაანალიზებ ამ უსიამოვნო ინციდენტს, ვფიქრობ, რომ პრეტენდენტის ახირებას უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ მოგვიანებით კუშნირმა შესთავაზა ნონას მატჩის მასპინძლად ისევ ტალინი, ოღონდ 1969 წლის გაზაფხულზე, თითქოს ამ დროს ნაკლებად წვიმსო. ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონმა სა-

კითხის გადაწყვეტა ფიდე-ს პრეზიდენტს მ. ეივეს სთხოვა. სწორედ ამ დროის (1968 წ. ოქტომბერი) ლუგანოში XVIII საჭადრაკო ოლიმპიადის პარალელურად, ფიდე-ს XXXIX კონგრესი მუშაობდა. პრეზიდენტმა ნონას წერილი კონგრესმენებს გააცნო.

— მე ვიყავი ოლიმპიადაზე და შევიტყვე, რომ ფიდე-ს კონგრესზე ამ საკითხის განხილვამ დიდი გაკვირვება და სიცილიც კი გამოიწვია,— მიამბობდა დიდოსტატი ს. ფლორი. — გასაგებია 50 კონგრესმენის გაკვირვება იმის გამო, რომ მსოფლიოს ერთი მეექვსედის ორმა მოჭადრაკე ქალმა ვერ გამონახა ქალაქი ჭადრაკის სათამაშოდ.

ფიდე-მ მოიწონა ნონა გაფრინდაშვილის წინადადება და მატჩი დანიშნა 1969 წლის აპრილ-მაისში — პირველი ნახევარი თბილისში, მეორე — მოსკოვში.

ჩემპიონსა და პრეტენდენტს ხელახალი მზადება დასჭირდათ. 1968 წლის ნოემბერში ნონამ მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ვაჟთა საკავშირო ტურნირში. გორში, სადაც ეს შეჯიბრება გაიმართა, თავი მოიყარეს ცნობილმა მოჭადრაკეებმა: მ. ტალმა, ე. გელერმა, ბ. გურგენიძემ და სხვებმა. ნონამ IV—V ადგილები გაიყო დიდოსტატ ე. გუფელდთან. დეკემბერში იგი მოსკოვში გამოვიდა სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდურ პირველობაში, სადაც კუშნირსაც შეხვდა. განრისხებულმა ჩემპიონმა გაანადგურა მეტოქის პოზიცია. 1969 წლის იანვარში ნონამ ვეიკ-ან-ზეეს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშა. შეჯიბრების მეორე ნახევარის შვიდ შეხვედრაში 6,5 ქულა დააგროვა. მ. ბოტვინიკი, რომელიც იქვე დიდოსტატთა ტურნირში მონაწილეობდა, აქებდა ნონას სიბეჯითეს. ჩემპიონი ქალიც კმაყოფილი იყო თამაშით.

რა თქმა უნდა, კუშნირიც დიდი მონდომებით ემზადებოდა. მან სამი საწვრთნელი მატჩი ითამაშა ვაჟებთან, მათ შორის მომავალ დიდოსტატ ი. ბალაშოვთან. მონაწილეობდა აგრეთვე სხვადასხვა ტურნირში.

7 აპრილს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩი. დიდი იყო ინტერესი, რასაც წინასამატჩო ამბებმაც შეუწყო ხელი. შეხვედრის პირობები იგივე იყო, რაც მათ წინა მატჩში. მთავარ არბიტრად კვლავ ნ. გრუშკოვა-ბელსკა მოიწვიეს.

მოჭადრაკეებს სარბიელად შოთა რუსთაველის სახელობის დრამა-

ტული თეატრის საკონცერტო დარბაზი დაეთმოთ, მაგრამ იქ მხოლოდ სამი პარტია ჩატარდა. თბილისელთა ინტერესი მატჩისადმი იმდენად დიდი იყო, რომ თეატრის დირექტორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ თავად შესთავაზა ორგანიზატორებს თამაშის გადატანა თეატრის დიდ დარბაზში, სადაც ათასამდე მაყურებელი ეტევა.

8 აპრილს I პარტია გაიმართა. ნონამ იგი უხეიროდ ითამაშა და წააგო. გულშემატკივრები ძალიან შეწუხდნენ. შემდეგ მოსკოვში პრესკონფერენციაზე ნონამ თქვა: „უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, როდესაც სათამაშოდ დავჯექი იმ ამბების შემდეგ, კუშნირმა მატჩის ადგილის გამო რომ ატეხა. შეიძლება ამ სიხარულმა დამაბნია კიდეც და ამიტომ წავაგე".

II პარტიაში მეტოქენი დაზავდნენ რთული თამაშის შემდეგ. III პარტიაში ნონამ რევანში აიღო, მაგრამ IV პარტიაში იერიშის მომზადებით გაერთო და კუშნირმა დაასწრო ლაზიერის ფრთაზე გადამწყვეტი კონტრიერიშის განხორციელება. პრეტენდენტი კვლავ დაწინაურდა — 2,5:1,5.

ნონას ყოველთვის ახასიათებდა მობილიზების უნარი გაჭირვების ჟამს. V პარტია მან ისე მტკიცედ, ისეთი თავდაჯერებით წარმართა, რომ ჭეშმარიტი შედევრი შექმნა. ყველამ ვიგრძენით, რომ ნონა „კალაპოტში" ჩადგა. მერე მან კარგი სტილით მოიგო VI და VIII პარტიები.

თბილისის მატჩის „ტაიმი" ასე დასრულდა: 0:1, 0,5:1,5, 1,5:1,5, 1,5:2,5, 2,5:2,5, 3,5:2,5, 4:3, 5:3. ჩემპიონის უპირატესობა თვალშესავლები იყო.

მოსკოვში მხოლოდ ხუთი პარტიის თამაში დასჭირდა ნონას, საბოლოო გამარჯვება რომ გაეფორმებინა. თუმცა უნდა ითქვას, რომ დედაქალაქში კუშნირი შეეცადა ინიციატივას დაუფლებოდა, მაგრამ ამაოდ.

მოჭადრაკეებმა ბრძოლა გააგრძელეს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში. კუშნირმა თავგამოდებით იბრძოლა IX პარტიაში, მაგრამ ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია. X პარტიაშიც, ისე როგორც VIII პარტიაში, მან სიცილიური დაცვა გამოიყენა, მაგრამ კვლავ გაწბილდა: ნონამ 37-ე სვლაზე ფარ-ხმალი დააყრევინა. კუშნირმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა XII პარტიაში. თითქოს გააუმჯობესა სიცილიური დაცვის არჩეული სისტემა, მაგრამ მაინც და-

მარცხდა. იგი შეურიგდა ბედს: XIII პარტიაში თითქმის უბრძოლველად ყაიმით დაკმაყოფილდა.

ნონა გაფრინდაშვილმა კვლავ გაიმარჯვა. მოსკოვური „ტაიმის" მსვლელობა ასეთი იყო: 5,5:3,5, 6,5:3,5, 7:4, 8:4, 8,5:4,5 (+6−2=5).

კუშნირმა თქვა, რომ პირველი მატჩის შემდეგ მიზანი იგივე მქონდა, მხოლოდ საშუალებები უნდა შემეცვალა, მაგრამ ვერ შევძელიო. ახლა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვირწმუნო, რომ შევძლებო. ჩანს ირწმუნა, რაკი კიდევ ერთხელ და წარმატებით დაიწყო ბრძოლა პრეტენდენტის საგზურისთვის.

მატჩმა დაადასტურა, რომ ნონა გაფრინდაშვილი ღირსეული მსოფლიო ჩემპიონი იყო. ამიტომაც თამამად ითქვა, რომ XX საუკუნის 60-იანი წლები ქალთა ჭადრაკში მისი ეპოქაა!

## მაინც ვერაფერს გახდა

თითქმის ყველა ქვეყანაში გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდობა. ფიდე-მ ესეც მიიღო მხედველობაში, როცა XXXIX კონგრესზე (ლუგანო, 1968 წ.) იუგოსლავიისა და რუმინეთის დელეგაციების წინადადებით ნაწილობრივ შეცვალა ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშების რეგლამენტი, შემოიღო საზონათაშორისო ტურნირი, ხოლო პრეტენდენტებისთვის მატჩების თამაში დააწესა, როგორც ეს ვაჟებს აქვთ 1965 წლიდან. პრეტენდენტთა მატჩებში მონაწილეობის უფლება მიეცა საზონათშორისო ტურნირის პირველ სამ პრიზიორსა და პრეტენდენტთა წინა ციკლში გამარჯვებულ მოჭადრაკეს. ნახევარფინალებში დაწესდა 10—10 პარტიის თამაში, ფინალში — 12-ის. ფიდე-ს გადაწყვეტილება ბევრს არ მოეწონა, მაგრამ თამაშზე უარი არავის უთქვამს.

1971 წლის მაისში იუგოსლავიის აგარაკ ოხრიდში გაიმართა I საზონათშორისო ტურნირი, რომელზეც თავი მოიყარა მსოფლიოს ყველა ცნობილმა მოჭადრაკემ.

თავიდანვე ნანა ალექსანდრია დაწინაურდა. იგი ლამაზად უტევდა მეტოქეთა ციხე-კოშკებს, ატყვევებდა მათს გვირგვინოსნებს. მისი მეფე მხოლოდ ერთხელ დააჩოქეს (ე. რუბცოვამ), მაგრამ მას მაინც ვერავინ დაეწია, თუმცა კვალში მიჰყვებოდნენ მ. ლაზარევიჩი, ტ. ზატულოვს-

კაია, ნ. კონოპლიოვა, მ. ივანკა, კ. რაძიკოვსკა... მთავარი იყო სამეულში მოხვედრა.

ნ. ალექსანდრიამ 13 ქულა მოაგროვა. II—III ადგილები გაიყვეს ტ. ზატულოვსკაიამ და მ. ლაზარევიჩმა — 12—12. დანარჩენი მონაწილენი ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: მ. ივანკა (უნგრეთი), ნ. კონოპლიოვა — 11—11, ვ. კოზლოვსკაია — 10,5, ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი), კ. რაძიკოვსკა (პოლონეთი) — 9,5—9,5 კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია) — 9, ე. რუბცოვა — 8,5, ტ. ბელამარიჩი, რ. იოვანოვიჩი — 7,5—7,5, ტ. შტადლერი (სამივე — იუგოსლავია) — 6,5, კ. ვრეკენი (ჰოლანდია), მ. კარფი (აშშ) — 5,5—5,5, გ. ბაუმშტარკი (რუმინეთი), რ. კორდოსო (ბრაზილია) — 5—5, გ. გრესერი (აშშ) — 4,5.

პრეტენდენტთა მატჩების კანდიდატის გამოსავლინებლად მოეწყო დამატებითი შეხვედრა კონოპლიოვასა და ივანკას შორის. გაიმარჯვა საბჭოთა მოჭადრაკემ — 4:2. მაგრამ კონოპლიოვამ ვერ გამოიყენა თავისი უფლება, რადგან ყველა პრეტენდენტმა ითამაშა.

პრეტენდენტები დაწყვილდნენ (წილისყრით) და 1971 წლის აგვისტოში ბრძოლას შეუდგნენ. ალექსანდრია-ლაზარევიჩის მატჩი ბლადელში (ჰოლანდია) მოეწყო, კუშნირ-ზატულოვსკაიასი კი — მინსკში.

იმდროინდელი პრესა სამართლიანად აღნიშნავდა მეტოქეთა სიმლიერეს, ბრძოლისთვის მზადყოფნას. მოჰყავდა ასეთი ცნობები: ნ. ალექსანდრია სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონია, ლაზარევიჩი 1952 წლიდან, ზატულოვსკაია კი 1959 წლიდან მონაწილეობს პრეტენდენტთა ყველა ტურნირში. სამივეს აქტივში აქვს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზი. კუშნირმა გაიმარჯვა ბელგრადის 8 მარტისადმი მიძღვნილ 1970 წლის საერთაშორისო ტურნირში, 1971 წელს მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი (დამატებითს მატჩში სძლია მ. რანიკუს — 4:3) და I ადგილი დაისაკუთრა მოსკოვის II საერთაშორისო ტურნირში, ხოლო ვეიკ-ან-ზეეს საერთაშორისო ტურნირში მეორე იყო (პირველი ს. ვოკჟალოვა). გამოითქვა პროგნოზებიც. ფინალში გავლენ ალექსანდრია და კუშნირიო, მაგრამ პრეტენდენტი ვერავინ გამოიცნო.

ალექსანდრიამ კარგად აიღო სტარტი, მაგრამ ხშირად იყო ცაიტნოტში და უპირატესობას რომ მიიღებდა, ლაზარევიჩს თავის დაღწევის საშუალებას აძლევდა. ბრძოლაც, როგორც იტყვიან, ალესილი დანის პირზე მიმდინარეობდა. ნანამ მაინც შეინარჩუნა ლიდერობა და გაი-

მარჯვა. ორთაბრძოლის მსვლელობა ასეთი იყო: 1:0, 2:0, 2,5:0,5, 2,5:1,5, 3:2, 3,5:2,5, 4,5:2,5, 4,5:3,5, 5:4, 5,5:4,5 (+3−2=5).

თავიდან კუშნირმაც ხელთ იგდო ინიციატივა, მაგრამ ზატულოვსკაია არ შედრკა. მერე თამაში ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა: ხან ერთი იგებდა, ხან — მეორე. ბოლოს მაინც კუშნირმა გაიმარჯვა: 1:0, 2:0, 3:0, 3:1, 3:2, 3,5:2,5, 4,5:2,5, 4,5:3,5, 5,5:3,5, 5,5:4,5. ალბათ, გაგიკვირდებათ, რა საჭირო იყო X პარტიის თამაში, თუ კუშნირს უკვე ჰქონდა გამარჯვებისთვის საკმარისი 5,5 ქულა. მაგრამ ეს მოხდა მსაჯთა კოლეგიის შეცდომის გამო. IX პარტია გადადებული იყო, მსაჯებს ჯერ ის უნდა დაემთავრებინათ და მხოლოდ შემდეგ დაესვათ მეტოქენი X პარტიის სათამაშოდ. მათ ჯერ X პარტია ათამაშეს. ისიც რომ გადაიდო, მერე ორივე ერთად დაამთავრებინეს, ოღონდ ჯერ IX პარტიაში განაახლეს ბრძოლა.

ალექსანდრია-კუშნირის ფინალური მატჩი შემოდგომისთვის დაინიშნა. მანამდე მოჭადრაკეები თავისუფალი იყვნენ. ოქტომბერში ნანამ მონაწილეობა მიიღო პირველი ქართველი ოსტატის ვ. გოგლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში. მისმა თამაშმა ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება, თუმცა ზოგ შეხვედრაში, მაგალითად, ჰოლანდიელ ი. ტიმანთან მოგებულ პარტიაში, ოსტატურად იბრძოდა. ამ დროს ნანა ფიზიკურად ვერ იყო ფორმაში (დედობას ელოდებოდა), რაც კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა კუშნირთან შეხვედრაში.

ფინალური მატჩი ნოემბერში მოეწყო კისლოვოდსკში. ალექსანდრია კარგად იყო მომზადებული თეორიაში, მაგრამ უქეიფოდ გრძნობდა თავს. ორჯერ „ტაიმ-აუტი" აიღო, მაგრამ ვერაფერს გახდა. კუშნირმა შედარებით ადვილად გაიმარჯვა: 1:0, 2:0, 2:1, 3:1, 3:2, 4:2, 4,5:2,5, 5,5:2,5, 6,5:2,5 (+6−2=1).

კუშნირი მესამედ გახდა პრეტენდენტი. მსგავსი რამ ვაჟთა მსოფლიო პირველობის ისტორიასაც არ ახსოვს.

ნონა გაფრინდაშვილის ცხოვრებაში 1969—1972 წლებიც საგულისხმო მოვლენებითა და გამარჯვებებით აღინიშნა.

1969 წელს ნონა ნანა ალექსანდრიასა და ალა კუშნირთან ერთად გაემგზავრა პოლონეთის ქალაქ ლიუბლიანაში, სადაც მათ ქალთა IV საჭადრაკო ოლიმპიადაში ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს. შემოდგომაზე ნონა გათხოვდა, ცოლად გაჰყვა თბილისელ ექიმს ა. ჭიჭი-

ნაძეს, ვრნიაჩკა-ბანიაში მონაწილეობა მიიღო ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის პირველ გათამაშებაში და პრიზი არავის დაუთმო.

1970 წელს ბელგრადის 8 მარტისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირში ნონა კუშნირთან ერთად მონაწილეობდა. იგი ხშირად შეუძლოდ გრძნობდა თავს: შვილს ელოდებოდა, მაგრამ მაინც თავდადებით იბრძოდა. 12,5 ქულით 15-დან II ადგილი დაიკავა. კუშნირმა მხოლოდ ქულით გაუსწრო.

— მე უფრო იმიტომ გავემგზავრე ბელგრადში, რომ დიდი სურვილი მქონდა „საუკუნის მატჩს" დავსწრებოდი და ფიშერი გამეცნოო, — მიამბობდა ნონა.

მან ნახა სსრ კავშირისა და „დანარჩენი მსოფლიოს" გუნდების შეხვედრა და ამერიკელი დიდოსტატიც გაიცნო.

1971 წლამდე ნონას ალარსად უთამაშია. მას ვაჟი შეეძინა და სარბიელს მხოლოდ მარტში დაუბრუნდა. მანამდე დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი ინგლისური ენის სპეციალობით.

ჭადრაკს დანატრებული ჩემპიონი საასპარეზოდ ბელგრადში ჩავიდა, სადაც სარვამარტო ტრადიციულ ტურნირში ჩაება. თამაშობდა ნონა ლაღად, აღფრთოვანებით. და პირველად მიაღწია ფენომენალურ შედეგს: 13 ქულა 13-დან. მსგავსი წარმატება მხოლოდ ვერა მენჩიკს თუ ჰქონდა.

მალე ნონას ვხედავთ გეტებორგის (შვეცია) 350 წლისთავისადმი მიძღვნილ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში იმდროინდელ მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკისთან ერთად. ეს იყო პირველი შემთხვევა ვერა მენჩიკის შემდეგ, როდესაც ვაჟთა და ქალთა მსოფლიო ჩემპიონები ერთ ტურნირში გამოდიოდნენ. მართალია, ნონამ V ადგილი დაიკავა (სპასკი მესამე იყო), მაგრამ მისმა თამაშმა სპასკისთან ქვეყანა აალაპარაკა. ჩემპიონების დუელმა სამ დღეს გასტანა. უკვე საყაიმო პოზიციაში დაღლილი ნონა შეცდა და დამარცხდა.

შემოდგომაზე ნონა გაფრინდაშვილს ქართველმა ხალხმა დიდი ნდობა გამოუცხადა: იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის დეპუტატად აირჩია.

შესანიშნავად ითამაშა ნონამ ვ. გოგლიძის II მემორიალში, რომელიც თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა. აქ მან IV—VI ადგილები გაიყო და, რაც მთავარია, ქალთაგან პირველმა მოიპოვა ვაჟთა შორის სპორტის ოსტატის წოდება!

მერე ის წარუმატებლად გამოდის ვრნიაჩკა-ბანიაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის გათამაშებაში. დაღლილმა ვერაფერი გააწყო, მაგრამ დარწმუნდა, რომ ყოველი შეჯიბრება ფიზიკურ ძალასაც მოითხოვს. ამიტომ იგი მსოფლიო პირველობაზე მატჩამდე შინ იყო, ისვენებდა და მეცადინეობდა.

გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩი ამჯერად დროულად დაიწყო: 10 მაისს, რიგის ოფიცერთა სახლის „ოქროს დარბაზში". ნონას თან ახლდნენ მისიანები (პატარა დათოც), მეგობრები, ყველანი სასტუმრო „რიგაში" ვცხოვრობდით. შეჯიბრების დროს გამოდიოდა მატჩისადმი მიძღვნილი სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენი (გამოვიდა 10 ნომერი), სადაც ყველა პარტია დაისტამბა.

ნონას გამარჯვება არავის ეეჭვებოდა. იგი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში იყო, ფიზიკურადაც თავს კარგად გრძნობდა. მაგრამ ნათქვამია „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო".

I პარტიაში ნონამ სიცილიურ დაცვაში ხელთ იგდო ინიციატივა და პაიკის შეწირვით დალაშქრა კუშნირის მეფე. 28-ე სვლაზე პრეტენდენტი დანებდა. თითქოს არაფერი მომხდარიყოს, კუშნირი II პარტიას ისე თამაშობდა. ნონამ პაიკი და კუ შესწირა იერიშის მისაღებად, მაგრამ კუშნირი არ შეღრკა, უკან დააბრუნა „ძღვენი". პოზიცია თანდათან განიმუხტა და პარტია ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, რომ კუშნირს თვალთ დაუბნელდა: ვერ შენიშნა, რომ მის მეფეს ერთ სვლაში შამათს უცხადებდნენ.

ასეთი დასაწყისი ბევრს გულს გაუტეხდა. კუშნირმა კი III პარტიაში მშვენიერად გამოიყენა ნონას გვირგვინოსნის ცენტრში დაყოვნება და გაიმარჯვა. ნონამ, როგორც მას სჩვევია, მყისვე აიღო რევანში: IV პარტია მოიგო, მერე VI პარტიაშიც გაიმარჯვა. V პარტია ყაიმით დასრულდა.

ჩვეულებრივ მატჩებში მსოფლიო პირველობაზე მეტოქენი პრინციპულ დისკუსიას აჩაღებენ ამა თუ იმ დებიუტში. სწორედ ასეთი დავა დატრიალდა ნონასა და კუშნირს შორის გრიუნფელდის დაცვის ირგვლივ. VIII პარტიაში კუშნირმა სიახლე გამოიყენა და გაიმარჯვა. მანამდე იგი ამ დებიუტში სამჯერ დამარცხდა. IX პარტიაში ნონამ სამაგიერო გადაუხადა მეტოქეს, ეს მისი ბოლო მოგება აღმოჩნდა.

ნონა საუცხოოდ წარმართავდა XI პარტიას და იერიში ლამაზად უნდა დაეგვირგვინებინა, რომ აქ სასწაული მოხდა: იგი ორჯერ ასცდა

სწორ გზას და ბოლოს ეს პარტია წააგო კიდეც. ამ მარცხმა დიდად შეაწუხა ქომაგები.

II პარტიის წინ, სადილობისას ნონას გული შეუღონდა. ყელმა შეაწუხა. ექიმებმა „ტაიმ-აუტი" აალებინეს, უმკურნალეს. რეციდივები რომ არ ყოფილიყო, აუკრძალეს ყუათიანი (ხორციანი) კერძები. ამან დაასუსტა იგი, რამაც პირველად იჩინა თავი XI პარტიაში. შემდგომში ნონა თავს არიდებდა „ხელჩართულ ბრძოლას", იერიშს. კუშნირმა თითქოს რაღაც იგრძნო და ბრძოლა უკიდურესობამდე გაამწვავა. ნონა მოთმინებით იცავდა თავს, იგერიებდა მუქარას, მაგრამ ერთი პარტია (XIV) მაინც წააგო. ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. ჩემპიონი ქალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მძიმე წუთებში უდიდესი შინაგანი სიმტკიცე და ძალა გამოავლინა. გამოიჩინა სწორედ ის თვისებები, რაც მსოფლიო ჩემპიონს განსაცდელის ჟამს უნდა ამკობდეს.

საჭირო შეიქნა თექვსმეტივე პარტიის თამაში და ნონამ ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა.

აი, როგორ მიმდინარეობდა მატჩი: 1:0, 2:0, 2:1, 3:1, 3,5:1,5, 4,5:1,5, 5:2, 5:3, 6:3, 6,5:3,5, 6,5:4,5, 7:5, 7,5:5,5, 7,5:6,5, 8:7, 8,5:7,5. (+5−4=7).

27 ივნისს (მატჩი წინადღით დამთავრდა) რიგის ოფიცერთა სახლში დიდძალი გულშემატკივრების თანდასწრებით, ნონა მეოთხედ აკურთხეს მსოფლიო ჩემპიონად და ბევრი საქები სიტყვაც მოასმენინეს.

## ამ შეხვედრაზე ოცნებობდნენ

— ვინ იქნება ახალი პრეტენდენტი?

— კონკრეტულად დასახელება ძნელია. ახალ პრეტენდენტს ვერ ვხედავ. იგი ისევ ძველებს შორის უნდა შეირჩეს, — გვიპასუხა ნონამ ინტერვიუში მატჩის დამთავრებისას. ძველებიდან ჩემპიონისთვის, ჩემი აზრით, არავინ იყო საშიში, ამიტომ მატჩისადმი მიძღვნილ წიგნში გაბედულად დავწერე: ვინც უნდა იყოს პრეტენდენტი, ჭადრაკის დედოფალი არც 1975 წელს დათმობს ტახტს-მეთქი.

მსოფლიო ჩემპიონი მოზღვავებულ ძალას გრძნობდა. მას ბრძოლა სწყუროდა. ცოტა ხანს დაისვენა. 1972 წლის ოქტომბრიდან კვლავ

სარბიელზე გამოჩნდა. იგი სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის გუნდს (ნ. გაფრინდაშვილი, ა. კუშნირი, ი. ლევიტინა) და სკოპლეში (იუგოსლავია) გაემგზავრა ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.

სკოპლეში მეც გახლდით, როგორც ჟურნალისტი. ჭეშმარიტად, ჭადრაკის დიდი ზეიმი ვნახე. საინტერესო შეხვედრები, საუბრები, სანახაობა. საბჭოთა მოჭადრაკეები ლაზათიანად თამაშობდნენ და ჩემპიონებიც გახდნენ. ნონამ ნახევარფინალის ხუთ შეხვედრაში 3,5 ქულა მოაგროვა, ფინალის 8 პარტიაში — 6,5. მის წვლილს გამარჯვებაში საგანგებოდ აღნიშნავდნენ ქებით.

შინ დიდხანს არ გაჩერებულა. დეკემბერში ნანა ალექსანდრიასთან ერთად ვერნიაჩკა-ბანიაში ჩავიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა IV გათამაშებაზე. აქაც პირველობას ვერავინ შეეცილა და თასს მეორედ დაეპატრონა. ალექსანდრიამაც დაუმარცხებლად ითამაშა და II—IV ადგილები გაიყო მ. ივანკასთან და ჟ. ვერეცისთან. ეს იყო ნანას პირველი და წარმატებითი გამოსვლა პრეტენდენტთა ფინალური მატჩის წაგების შემდეგ. ბევრს ეს კარგად ენიშნა. ხანგრძლივმა იძულებითმა დასვენებამ (პატარა გიორგი მოითხოვდა ამას) ნიჭიერ მოჭადრაკეში პატივმოყვარეობა და დიდი ენთუზიაზმი გააღვივა.

1973 წლის დამდეგს ნონა გაფრინდაშვილმა მონაწილეობა მიიღო ესპანეთის ქალაქ ოლოტის ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში თავის მწვრთნელ დიდოსტატ ა. გიპსლისთან ერთად. ჩემპიონმა ქალმა, 5,5 ქულით 11-დან VIII ადგილი დაიკავა. მერე მან ავსტრიაში იმოგზაურა ჭადრაკის პროპაგანდის მიზნით.

მაისში ნონა და ნანა ალექსანდრია ერთად მონაწილეობდნენ თბილისში გამართულ საქართველოს ქალთა VII საერთაშორისო ტურნირში. ნონამ პირველ დღეს წააგო პარტია, მაგრამ მერე ზედიზედ დაამარცხა ყველა, თორმეტი მეტოქე. ნანამ II—III ადგილები გაიყო (ნ. კონოპლიოვასთან).

საინტერესოა, რომ ამ ტურნირში ნონა და ნანა პირისპირ პირველად შეხვდნენ მომავალ მსოფლიო ჩემპიონს, 12 წლის მაია ჩიბურდანიძეს. გოგონამ ორივესთან წააგო.

ეს ტურნირი ალექსანდრიასთვის უკანასკნელი იყო პრეტენდენტთა ჭიდილის წინ. დარჩენილი სამი თვე მან მზადებას მოანდომა.

საზონათშორისო ტურნირი გაიმართა 1973 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ესპანეთის კუნძულ მენორკაზე. პრეტენდენტთა მატჩების სამი საგზურისთვის 20 მოჭადრაკე იბრძოდა. შეხვედრები ცხარედ წარიმართა. ლიდერები წამდაუწუმ იცვლებოდნენ. წაგებას ვერავინ გადაურჩა. ალექსანდრიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მუდამ დაწინაურებულთა შორის იყო. მაგრამ მასაც რამდენიმეჯერ შეხვდა გულისტკენა. ბოლოს, როცა თითქოს უკვე პირველ სამეულში იყო, იგი მოულოდნელად დამარცხდა და პრეტენდენტობაც სათუო გაუხდა. ახლა მას აუცილებლად უნდა მოეგო ორი დასკვნითი პარტია, რომ ერთი საგზური მაინც „ჩაეგდო ხელში". მან მიიღო ბედის გამოწვევა და სძლია რუმინელ გ. ბაუმშტარკსა და იუგოსლაველ ლ. ჟივკოვიჩს. მაგრამ ამ წარმატებამ მხოლოდ საგზურისთვის დამატებით შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მისცა. ერთ საგზურს ვ. კოზლოვსკაია დაეუფლა. მან ყველა გააოცა სპურტით: XIV ტურიდან ყველა მეტოქე დაამარცხა და ფინიშთან პირველი მივიდა. დარჩენილ ორ საგზურს ოთხმა მოჭადრაკემ დაადგა თვალი.

აი, როგორ დასრულდა მენორკას ეპოპეა: I. ვ. კოზლოვსკაია — 13,5, II—IV. ნ. ალექსანდრია, ნ. კონოპლიოვა, ი. ლევიტინა, მ. შული — 13—13, VI—VIII. ტ. ზატულოვსკაია, ა. ნიკოლაუ (რუმინეთი), ი. ჰარტსტონი (ინგლისი) — 12—12, IX. ჟ. ვერეცი (უნგრეთი) — 11,5, X—XI. კ. იოვანოვიჩი (იუგოსლავია), ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) — 11—11, XII. გ. ბაუმშტარკი (რუმინეთი) — 9,5, XIII. მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) — 9, XIV. პ. ფერერი (ესპანეთი) — 8,5, XV. ე. კარაკაში (უნგრეთი) — 7,5, XVI. ლ. ჟივკოვიჩი (იუგოსლავია) — 7, XVII. რ. კორდოსო (ბრაზილია) — 4,5, XVIII—XIX. ე. არონსონი (აშშ), ლ. მადერნი (ავსტრალია) — 3,5—3,5, XX. რ. დონელი (აშშ) — 2.

არავინ ფიქრობდა, რომ პრეტენდენტთა ბრძოლა ასე გამძაფრდებოდა. ამიტომ მენორკაზე გამგზავრებისას მოჭადრაკეებმა ითხოვეს, სსრ კავშირის XXXIII ჩემპიონატის სტარტი ოდნავ გადაეწიათ, რომ მათაც მიეღოთ მონაწილეობა. მაგრამ დაღლილებს თამაშის თავი აღარ ჰქონდათ. მხოლოდ მ. შულმა გაბედა შეჯიბრებაში მონაწილეობა.

XXXIII ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა 1973—74 წლების გასაყარზე — დეკემბერ-იანვარში. ნონა გაფრინდაშვილს ვერავინ გაუწია მეტოქეობა და მან ოქროს მედალი დაისაკუთრა.

1974 წლის თებერვალში პრეტენდენტის ორი საგზურის მაძიე-

ბელნი კისლოვოდსკში ჩავიდნენ, რათა ოთხწრიან მატჩ-ტურნირში შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ნანა ალექსანდრიამ პირველსავე წრეში სძლია სამივე კონკურენტს და ნათელი შეიქნა, რომ ერთ საგზურს პატრონი უკვე გაუჩნდა. საბოლოოდ ნანამ სამივე მატჩი მოიგო: ლევიტინა დაამარცხა ანგარიშით 2,5:1,5, მ. შული და ნ. კონოპლიოვა — 3:1. მეორე საგზური ირინა ლევიტინას ერგო.

მატჩ-ტურნირის შედეგები ასეთი იყო: I. ნ. ალექსანდრია — 8,5 (+5=7), II. ი. ლევიტინა — 7 (+4–2=6), III. მ. შული — 6,5 (+5–4=3), IV. ნ. კონოპლიოვა — 2 (–8=4).

პრეტენდენტთა მატჩების წინ გამოცხადდა, რომ ა. კუშნირი ისრაელს გაემგზავრა საცხოვრებლად და განთავისუფლებულ ადგილზე მის მაგიერ ფიდე-მ მ. შული დაუშვა. წილისყრით ლვოველ მოჭადრაკეს მეტოქედ ალექსანდრია შეხვდა.

ვიდრე პრეტენდენტები იბრძოდნენ და მატჩებისთვის ემზადებოდნენ, ნონა გაფრინდაშვილმა რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. ტრადიციისამებრ გაზაფხულზე მან ბელგრადის 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშა და I ადგილი დაიკავა (11 ქულა 13-დან). მერე დიდად ისახელა თავი დორტმუნდის (გფრ) დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც III–IV ადგილები (8 ქულა 11-დან) ისე გაიყო იუგოსლაველ მ. დამიანოვიჩთან, რომ პარტია არ წაუგია. ამ ტურნირში ნონამ მშვენივრად მოუგო დასავლეთგერმანელ ოსტატ რ. სერვატს. ეს პარტია ს. ფლორმა ჟურნალ „ოგონიოკში“ გამოაქვეყნა თავისი კომენტარებით და ნონას „უკვდავი პარტია“ უწოდა მას.

მსოფლიო ჩემპიონმა მონაწილეობა მიიღო საკავშირო კომკავშირის XVII ყრილობის მუშაობაში, სადაც სიტყვაც წარმოთქვა. მერე იგი ნიცაში (საფრანგეთი) ვაჟთა XXII საჭადრაკო ოლიმპიადას დაესწრო.

პრეტენდენტებმა ბრძოლა მაისში განაახლეს. ჭადრაკის დაფას პირველად ალექსანდრია და შული მიუსხდნენ (რიგა, 1974 წ. 11 მაისი — 5 ივნისი). სტარტზე ქართველმა მოჭადრაკემ ზედიზედ ორი პარტია მოიგო, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, წააგო ორი მომდევნო შეხვედრა. შემდგომ ლვოველი მოჭადრაკე, როგორღაც, უცებ

გატყდა და ნანამ ენერგიული თამაშით ვადამდე გაიმარჯვა. აი, როგორ მოხდა ეს: 1:0, 2:0, 2:1, 2:2, 3:2, 4:2, 5:2, 5,5:2,5 (+5−2=1).

კოზლოვსკაიამ და ლევიტინამ მოგვიანებით (კისლოვოდსკი, 26 მაისი — 26 ივნისი) დაიწყეს თამაში. მათ ისეთი უშეღავათო ჭიდილი ჰქონდათ, რომ დამატებითი პარტიები დასჭირდათ. ფინალში ლევიტინა გავიდა.

გაეცანით ამ ორთაბრძოლის მსვლელობას: 0:1, 0,5:1,5 1,5:1,5, 2:2, 2:3, 3:3, 3:4, 4:4, 4,5:4,5, 5:5, 5,5:5,5, 6,5:5,5 (+4−3=5).

სექტემბერში ნონა გაფრინდაშვილი და ორივე პრეტენდენტი — ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა ოკეანისგაღმა, კოლუმბიის ქალაქ მედელინში გაფრინდნენ ქალთა VI საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. ნონა მეხუთედ ლიდერობდა საბჭოთა გუნდს, ნანა და ლევიტინა კი მეორედ იცავდნენ ქვეყნის სპორტულ ღირსებას. ამჯერადაც უძლიერესნი ჩვენები იყვნენ, მაგრამ ფინალურ ტურნირში მედლების მოსაპოვებლად დიდი მონდომება დასჭირდათ.

შინ დაბრუნებული ალექსანდრია და ლევიტინა მატჩისთვის მზადებას შეუდგნენ. ნონა თამაშს განაგრძობდა.

1974 წლის ნოემბერში მსოფლიო ჩემპიონმა თბილისში ვ. გოგლიძის III მემორიალში ითამაშა, სადაც V—VIII ადგილები გაიყო ცნობილ მოჭადრაკეებთან გ. სიგურიონსონთან (ისლანდია), ვ. ჩოკილტიასთან (რუმინეთი) და ე. უბილავასთან. უკან ჩამოიტოვა დიდოსტატები ბ. გურგენიძე, რ. კინი (ინგლისი), ვ. შმიტდი (პოლონეთი) და და სხვები. ნონამ საინტერესო თამაშით ეტლების ენდშპილი მოუგო კინს.

ნაახალწლევს ნონამ ვეიკ-ან-ზეეს ქალთა საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა (+8=3).

1975 წლის იანვარ-თებერვალში მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა ალექსანდრია-ლევიტინას მატჩი. ბრძოლა დრამატულად მიმდინარეობდა. თანაბარი ძალის მოჭადრაკეთა თამაშში ერთ შეცდომასაც შეიძლება საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონოდა. ნანა უფრო ცაიტნოტში იყო, ლევიტინა კი ჩქარობდა, გადაწყვეტილებების მიღებას.

თავიდან სათამაშო უპირატესობა ალექსანდრიას მხარეზე იყო, მაგრამ ყაიმის მეტს ვერაფერს აღწევდა. პირიქით, მან პირველმა წააგო. მერე კიდევ ერთხელ მოუხდა ანგარიშის გათანაბრება. ერთხელ დაწი-

ნაურდა კიდეც, მაგრამ ლიდერობა ვერ შეინარჩუნა. ძირითადი მატჩი (12 პარტია) ყაიმით დასრულდა — 6:6. მეტოქეებმა, როგორც ამას ფიდე-ს წესები მოითხოვდა, პირველ მოგებამდე განაგრძეს თამაში, სიტუაცია მეტისმეტად გამძაფრდა. ვიდრე ნანა ორთაბრძოლას მოიგებდა, ხუთი პარტია ითამაშეს. თითოეულმა შეხვედრამ დიდი ფიზიკური და მორალური ენერგია შეიწირა. მატჩი არნახულად გაგრძელდა. ამდენი (17) პარტია მსოფლიო პირველობის არც ერთ მატჩშიც კი არ გათამაშებულა.

შეჯიბრება ასე წარიმართა: 0,5:0,5, 1:1, 1,5:1,5, 1,5:2,5, 2,5:2,5, 2,5:3,5, 3,5:3,5, 4,5:3,5, 4,5:4,5, 5:5, 5,5:5,5, 6:6, 6,5:6,5, 7:7, 7,5:7,5, 8:8, 9:8.

ნანა ალექსანდრიას პრეტენდენტობა ქართული ჭადრაკისათვის ისტორიული მოვლენა იყო. სწორედ ამაზე ოცნებობდა ღვაწლმოსილი მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე (1919—1966 წწ.). უკურნებელი სენისგან სარეცელს მიჯაჭვული მეგობრებს გვეტყოდა ხოლმე: ბედნიერი ხართ, რომ მოესწრებით ნონასა და ნანას მატჩს მსოფლიო პირველობაზეო.

ქართველ მოჭადრაკე ქალთა თვალსაჩინო მიღწევები ერის საჭადრაკო წარსულის კანონზომიერ განვითარებად მიმაჩნია. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს:

ქართველები ჭადრაკს VII—VIII საუკუნეებიდან ვიცნობთ. ჩვენი მამა-პაპა მუდამ პატივს სცემდა მას. პოეტები და მწერლები გუნდრუკს უკმევდნენ თამაშის სიბრძნეს. ჭადრაკს ქალებიც ეტანებოდნენ. შემთხვევითი როდი იყო, რომ XVII—XVIII საუკუნეებში ქართველ გოგონას მზითვად ჭადრაკსაც ატანდნენ ხოლმე. ქართველი ქალი ყოველთვის იყო ჭადრაკის მეხოტბე-გამავრცელებელი. სამწუხაროდ, ძლიერ მოჭადრაკე ქალთა სახელები მეისტორიეებმა არ შემოგვინახეს. მხოლოდ XIX საუკუნიდან ვიცით, რომ ჭადრაკზე გამიჯნურებული იყვნენ ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები (ეკატერინე ცნობილი მოჭადრაკის ანდრია დადიანის დედაა), აგრეთვე მათი წრის მანდილოსნები და პირმშვენიერი ასულები.

ჭადრაკი დიდად გავრცელდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1927 წლიდან ტრადიციად დამკვიდრდა თბილისის ქალთა ჩემპიონატი, 1935 წლიდან — საქართველოს პირველობა. ჩვენ ქალთა საჭადრაკო მოძრაობას დიდი ღვაწლი დასდეს ელე-

ნე ზაუტაშვილმა, ვარვარა ზარგარიანმა, ქსენია გოგიავამ, ლილი გელოვანმა და სხვებმა, მაგრამ ყველაზე მეტი დამსახურება მაინც თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტსა და მის ხელმძღვანელს ვახტანგ ქარსელაძეს მიუძღვით. 1950 წელს სასახლეში გაიხსნა გოგონათა ჯგუფები, რამაც სათავე დაუდო დიდ, საშვილიშვილო საქმეს. მისმა პირველმა აღზრდილებმა მანანა ტოგონიძემ (ლ. გელოვანის ქალიშვილი) და ელისო კაკაბაძემ სწრაფად გაითქვეს სახელი. ელისო 1953 წელს პირველად მონაწილეობდა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში, მანანა კი 1954 წელს გოგონათა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. შემდეგში ორივენი საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი ოსტატები გახდნენ. ამ კაბინეტში დაოსტატდა ნონა გაფრინდაშვილი. შემდგომში ამ სასიქადულო მოჭადრაკემ თავისი ბრწყინვალე გამარჯვებებით აიყოლია ახალგაზრდობა და მყარ ნიადაგზე დააყენა ქართული ჭადრაკის წინსვლა, რასაც მსოფლიოსთვის საარაკო წარმატებები მოჰყვა.

პირველი, ვინც ნონას კვალს გაჰყვა, იყო ნანა ალექსანდრია, დიდად ნიჭიერი და ელეგანტური სტილის მოჭადრაკე. ნანა გიორგის ასული ალექსანდრია (დაიბადა 1949 წლის 13 ოქტომბერს, ფოთში) ჭადრაკის სიბრძნეს ვახტანგ ქარსელაძემ აზიარა. ჯერ კიდევ 1960 წელს ამოიკითხა მან ციცქნა გოგონაში დიდი ტალანტი და მებრძოლი ხასიათი. ნანამ სწრაფად დაძლია მანძილი დიდ სარბიელამდე. 1967 წლიდან იგი პრეტენდენტთა ბრძოლაში მონაწილეობს, 1966, 1968 და 1969 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონია. მისი სხვა თვალსაჩინო წარმატებების შესახებ ამ წიგნში გვაქვს საუბარი. დავუმატებთ მხოლოდ, რომ სპორტის ოსტატის წოდება ნანამ 1966 წელს მიიღო, საერთაშორისო ოსტატისა — 1967 წელს, სპორტის დამსახურებული ოსტატისა — 1971 წელს. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი ინგლისური ენის სპეციალობით. ვ. ქარსელაძის გარდაცვალების შემდეგ ნანას წინსვლას დიდი ამაგი დასდო პირველმა ქართველმა დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ, რომელიც თერთმეტი წლის განმავლობაში მისი მწვრთნელი იყო.

ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, რომ ნონას ჩემპიონის გვირგვინს მისი თანამემამულე შეეცილებოდა. ამიტომ გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას მატჩს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა და არა მხოლოდ საქართველოში.

— მართლაც, უნიკალურია ჩვენი მატჩი. ჭადრაკის ისტორიამ არ

იცის მეორე შემთხვევა, რომ მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი ერთი პატარა ერის შვილები ყოფილიყვნენ, — თქვა ნონამ მატჩის წინ.

1975 წლის 6 აპრილს ნონამ და ნანამ ხელი მოაწერეს მატჩის პირობებს. ორთაბრძოლა ბიჭვინთაში უნდა დაწყებულიყო 21 ოქტომბერს. მანამდე საკმაო დრო იყო.

მალე ნონა გაფრინდაშვილი რუმინეთში გაემგზავრა, ტიმიშოარას ქალთა საერთაშორისო ტურნირზე. აქ მსოფლიო ჩემპიონმა თავისი „რეკორდი" გაიმეორა — სძლია ცამეტივე მეტოქეს და I ადგილი დაიკავა. მაშინ ბევრმა თქვა, რომ ალექსანდრიას ძალიან გაუჭირდება ნონასთან გამკლავებაო. თვითონ ნანამ აპრილ-მაისში მონაწილეობა მიიღო სოფიის (ბულგარეთი) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც თხუთმეტ შეხვედრაში 4 ქულა დააგროვა. იმხანად ნონამაც ითამაშა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (ვრნიაჩკა-ბანიაში), სადაც X—XII ადგილები გაიყო დიდოსტატებთან გ. ტრინგოვთან (ბულგარეთი) და ვ. ჩოკილტიასთან (რუმინეთი).

აგვისტოში ნონა და ნანა რიგაში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ. მათ საქართველოს გუნდს ბევრი ქულა შესძინეს. ნონამ პირველ დაფაზე I ადგილი დაიკავა.

სწრაფად მიილია მატჩამდე დარჩენილი დრო.

გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას მატჩი გაიხსნა ბიჭვინთაში 1975 წლის 20 ოქტომბერს. თამაშის პირობებში არაფერი შეცვლილა: უნდა ეთამაშათ 16 პარტია. ყაიმის (8:8) შემთხვევაში ნონა ჩემპიონად რჩებოდა. გამოცხადდა, რომ მატჩის პირველი ნახევარი(8 პარტია) ბიჭვინთაში გაიმართება, მეორე — თბილისში, ჭადრაკის სასახლეში. გამოცხადდა ისიც, რომ ნონას სეკუნდანტობას გაუწევდა დიდოსტატი ა. გიპსლისი (რიგა), ნანას — დიდოსტატი ბ. გურგენიძე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნონა გაფრინდაშვილის მწვრთნელები იყვნენ: ვ. ქარსელაძე (1954—1956 წწ.), ოსტატი მ. შიშოვი (1957—1965 წწ.). და ა. გიპსლისი (1972—1978 წწ.).

I პარტიაში ნონამ საუცხოოდ გამოიყენა მეტოქის მეფეზე იერიშის შესაძლებლობა და 33-ე სვლაზე გაიმარჯვა. კიდევ უფრო მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა II პარტიაში. ნონა ენერგიულად უტევდა, ხარასხიც შესწირა, მაგრამ ალექსანდრია მარჯვედ იგერიებდა ფიგურებს. მწვავე სიტუაციაში ნონა ასცდა საყაიმო გზას და დამარცხდა.

III პარტიაში ინიციატივას ალექსანდრია დაეუფლა. მაგრამ ნონამ

პაიკებით დალაშქრა მისი გვირგვინოსანი. გაიხსნა ხაზები და პარტია მუდმივი ქიშით ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ნანა უხეშად შეცდა. მას შამათის მუქარა გამორჩა და მყისვე დანებდა.

ალექსანდრია ემოციური მოჭადრაკეა, მწვავედ განიცდის პარტიის შედეგს. IV პარტიაში მან ვერ ისარგებლა პერსპექტიული პოზიციით, ცაიტნოტში მოექცა და დამარცხდა. V პარტიაში ნანამ მთლიანად გამოავლინა თავისი მტკიცე ხასიათი: დიდი მოთმინებით, თითქმის თერთმეტი საათი იცავდა მსუბუქფიგურებიან ენდშპილს და გადაარჩინა იგი.

VI პარტიაში ალექსანდრიას წაგებად დაუჯდა პაიკის წინსვლა, რასაც საფუძვლად მცდარი პოზიციური მოსაზრება ედო. VII პარტიაში ნონამ დაასწრო იერიში, მაგრამ ნანამ ვერ გამოიყენა კონტრთამაშის შესაძლებლობა და ისევ დამარცხდა. VIII პარტიაში ნანამ თანმიმდევრულად გააღვივა საიერიშო პოზიცია და გაიმარჯვა.

„ბიჭვინთის ნახევარი" ნონამ მოიგო: 1:0, 1:1, 2:1, 3:1, 3,5:1,5, 4,5:1,5, 5,5:1,5, 5,5:2,5.

18 ნოემბერს ბრძოლა თბილისში განახლდა. ალექსანდრიამ შესანიშნავად ითამაშა IX პარტია და უკეთეს პოზიციაში გადადო. მეორე დღესაც, X პარტიაში ნანა უკეთ თამაშობდა. ეს პარტია მისთვის მოსაგებ მდგომარეობაში გადაიდო. მაგრამ IX პარტიაში თამაშის განახლებისას ნანა უხეშად შეცდა და ქულის მაგიერ ნული მიიღო. ნონამ აღარ გააგრძელა X პარტია, ისე დათმო იგი.

„იმის მაგიერ, რომ მინიმუმამდე შემემცირებინა სხვაობა ანგარიშში უცებ ისევ ჩამოვრჩი სამი ქულით, მატჩი კი დასასრულს უახლოვდებოდა. დანარჩენ პარტიებს რომ ვთამაშობდი, ყველაფერი უკვე დაკარგულად მიმაჩნდა", — თქვა შემდეგ ალექსანდრიამ. მან ზედიზედ წააგო XI და XII პარტიები და მატჩიც ვადამდე დამთავრდა.

მატჩის მეორე ნახევრის მსვლელობა ასეთი იყო: 6,5:2,5, 6,5:3,5, 7,5:3,5, 8,5:3,5 (+7−2=3).

1 დეკემბერს მატჩის საზეიმო დახურვაზე ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა, ქალბატონმა ინეკა ბაკერმა (ჰოლანდია) ნონა გაფრინდაშვილი მეხუთედ შეამკო მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინით. იგი აღფრთოვანებული დარჩა თბილისში ნანახ-გაგონილით, ქართველ მოჭადრაკე ქალთა მდიდარი ტრადიციებითა და მომავლის პერსპექტივებით. ჰოლანდიელმა საჭადრაკო მოღვაწემ თავისი კმაყოფილება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „მინდა მადლობა ვუთხრა საქართველოს,

სტუმართმოყვარეობით და კულტურით ცნობილ მშვენიერ საქართველოს, იმისთვის, რომ მან თავისი საუცხოო ასულები აჩუქა ჭადრაკს. საქართველო რომ არა, ქალთა ჭადრაკის სამყარო, ალბათ... არსად იქნებოდა. განუზომელია თქვენი ქალების წვლილი ბრძნული თამაშის საერთო განვითარებაში".

ნონა გაფრინდაშვილს პირველს მიენიჭა ახალი წოდება — სსრ კავშირის დიდოსტატი ქალთა შორის. ამ წოდების შემოღება იყო მოჭადრაკე ქალთა შემოქმედებითი წინსვლის კიდევ ერთი თვალსაჩინო აღიარება და ნონას დიდი დამსახურების აღნიშვნა. 1976 წლის დამდეგს ნონას მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია, რომელიც მან სპორტსმენთაგან პირველმა მიიღო. მატჩამდე კი სასიქადულო მოჭადრაკე მეორედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს (მეცხრე მოწვევის) დეპუტატად.

ჟურნალისტები და სპეციალისტები ამბობდნენ, რომ ეს მატჩი ქართული ჭადრაკის მატიანეში დარჩება, როგორც ერთადერთი და განუმეორებელი. მართლაც, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მომავალში ნონას მეტოქე ისევ ქართველი მოჭადრაკე იქნებოდა.

## ახალი, 17 წლის ჩემპიონი

ნონა გაფრინდაშვილი ბრწყინვალედ განაგრძობდა საჭადრაკო მოღვაწეობას. მისი ყოველი გამოსვლა დიდ აღტაცებასა და ინტერესს იწვევდა. იგი უძლეველი იყო ბელგრადის 1976 და 1978 წლების 8 მარტისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირებში. დიდი გამოხმაურება ჰქონდა მის გამოსვლას აშშ-ის ვაჟთა 1977 წლის ღია ჩემპიონატში, სადაც I—IV ადგილები გაიყო დიდოსტატებთან ი. კეჟდენთან (აშშ), ო. პანოსთან (არგენტინა), დ. შახოვიჩთან (იუგოსლავია) და ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ამ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ვინმე სერიოზულად დამუქრებოდა ნონას ჩემპიონის გვირგვინს. მუქარას ვერც ნონა ხედავდა, თუმცა პრეტენდენტები საკმაოდ იყვნენ. ცა უღრუბლო ჩანდა.

ფიდე-ს XLV კონგრესმა (ნიცა, 1974 წ.) გაართულა პრეტენდენტის გამოვლენის სისტემა, შემოიღო მეორე საზონათშორისო ტურნირი და რვამდე გაზარდა პრეტენდენტთა მატჩების მონაწილეთა რაოდენობა (სამ-სამი გამარჯვებული თითოეული საზონათშორისო ტურნირიდან და წინა ციკლის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ორივე მონაწილე). დაწესდა, რომ პრეტენდენტები მეოთხედ და ნახევარფინალურ მატჩებში 10—10 პარტიას გაითამაშებენ, ფინალურში — 12-ს.

ამ გადაწყვეტილებით ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა პრეტენდენტებად გამოცხადდნენ. დანარჩენ მონაწილეთა გამოსავლინებლად 1976 წლის შემოდგომაზე თბილისსა და როზენდალში (ჰოლანდია) საზონათშორისო ტურნირები მოეწყო.

ტურნირებისთვის საბჭოთა მოჭადრაკეები სსრ კავშირის XXXV ჩემპიონატის (ფრუნზე, 1975 წ.) შედეგების მიხედვით შეირჩნენ. მაგრამ ბოლო მომენტში ერთი ადგილი განთავისუფლდა და სასპარეზოდ 15 წლის მაია ჩიბურდანიძე მიიწვიეს, როგორც მონაწილეობის პირველი კანდიდატი.

საზონათშორისო ტურნირში ნორჩი ქართველი მოჭადრაკის გა-



ვერა მენჩიკი



ლუდმილა რუდენკო



ელისაბედ ბიკოვა



ოლგა რუბცოვა



ნონა გაფრინდაშვილი



მაია ჩიბურდანიძე



ქალთა შორის მსოფლიო ჩემ-
პიონის გარდამავალი თასი, რო-
მელიც 1927 წელს დაარსდა.



ნანა ალექსანდრია



ნანა იოსელიანი

„...მინდა მადლობა ვუთხრა მშვენიერ საქართველოს იმისთვის, რომ მან თავისი საუცხოო ასულები აჩუქა ჭადრაკს. განუზომელია თქვენი ქალების წვლილი ბრძნული თამაშის საერთო განვითარებაში“.

**ინეკა ბაკერი,**
ფიდე-ს გენერალური მდივანი.



ნინო გურიელი



სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდი, რომელმაც ქალთა IX საჭადრაკო ოლიმპიადაში (კუნძული მალტა, 1980 წ.) ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა. მარცხნიდან: ნანა იოსელიანი, მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია.

მოსვლა არ იყო სენსაცია. მას უკვე იცნობდა ჭადრაკის სამყარო და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა. ჯერ კიდევ 1974 წელს ნონამ თქვა: „მაიას დიდი მომავალი აქვს. მისგან მსოფლიო რეზონანსის წარმატებებს მოველით". თუ რამ განაპირობა ჩემპიონი ქალის ნდობა და საქები სიტყვები, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ მოჭადრაკე გოგონას სპორტულ „წარსულს" გავეცნობით.

ჭადრაკმა ადრე მოინადირა მაიას გული. თამაში ძმამ ასწავლა, უფროსმა დამ კი პიონერთა სასახლეში მიუყვანა მწვრთნელ დ. ჩირაძეს. ყველაფერი ხდებოდა ქუთაისში. აქვე 1961 წლის 17 იანვარს აგრონომ გრიგოლ ჩიბურდანიძისა და რუსული ენის მასწავლებლის ნელი ხურციძის ოჯახში დაიბადა მაია. ბავშვმა უჩვეულო ნიჭი გამოამჟღავნა. 9 წლისა უკვე პირველთანრიგოსანი იყო. ამ დროს მას ვ. ქანთარია წვრთნიდა.

1972 წლიდან მაია დედასთან ერთად თბილისში ცხოვრობს. ჯერ ი. ჩიქოვანის, მერე მ. შიშოვის დახმარებით გოგონა დიდი გატაცებით ეუფლება თამაშის საიდუმლოებას. 1973 წლიდან მაია სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირსა და მატჩში, თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს. მაიამ გამოჩენისთანავე გააოცა საზოგადოება.

თითქმის მთელი 1973 წელი მაიამ საჭადრაკო სარბიელზე გაატარა და მსოფლიოს გააცნო თავი.

იანვარში, თავის დაბადების დღეს, მაიამ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ქალთა პირველობაში. მარტ-აპრილში ქალთა თბილისისა და საქართველოს თასები მოიპოვა, მაისში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ქალთა VII საერთაშორისო ტურნირში, სადაც პირველად შეხვდა ნ. გაფრინდაშვილს, ნ. ალექსანდრიას, მ. შულს (მას შესანიშნავ პოზიციურ სტილში მოუგო) და სხვა ცნობილ ოსტატებს. ზაფხულში გაიმარჯვა სსრ კავშირის XXXIII ჩემპიონატის ნახევარფინალში, შემოდგომის პირზე წარმატებით აიღო სტარტი სსრ კავშირის ქალთა თასის გათამაშებაში, სადაც დაამარცხა ცნობილი ოსტატები, მათ შორის ო. იგნატიევა, ლ. ბელავენეცი და ფინალში გავიდა. ნოემბერში იგი მიიწვიეს სსრ კავშირ-იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ამხანაგურ ტრადიციულ მატჩში გოგონების დაფაზე სათამაშოდ. მაგრამ იუგოსლავიელებს „დაავიწყდათ" გოგონას ჩამოყვანა და მაია იუგოსლავიის ჩემპიონს ოსტატ ვ. კალხბრენერს შეახვედრეს. თითქოს არაფერი მომხ-

დარიყოს, მაია ისე ეპაექრებოდა გამოცდილ მეტოქეს და დაამარცხა კიდეც ანგარიშით 4:0. ამ გამარჯვებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. იუგოსლაველმა დიდოსტატმა ბ. ივკოვმა მაიას „ქალთა ფიშერი" უწოდა, სახელგანთქმულმა იუგოსლაველმა მოჭადრაკემ ს. გლიგორიჩმა კი ქართველ ტელემაყურებლებს უთხრა: „მაია მომავალი მსოფლიო ჩემპიონია. იგი შეცვლის ნონას ტახტზე, ოღონდ როდის, ეს ძნელია გამოიცნო". დეკემბერში მაიამ სსრ კავშირის XXXIII ჩემპიონატის ფინალში ითამაშა.

და ყოველივე ეს — 12 წლის ასაკში! ჭადრაკის ისტორიაში მსგავსს ვერაფერს შეხვდებით.

1974 წლის დასაწყისში მაიამ სსრ კავშირის ქალთა თასის ფინალში ითამაშა (მატჩი მოუგო კ. ზვორიკინას — 3,5:0,5, წააგო მ. რანიკუსთან — 1,5:2,5) და ვერცხლის მედალი მიიღო. დიდი წარმატებისთვის 13 წლის მაიას სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭეს. აპრილში გოგონა პირველად მონაწილეობს საზღვარგარეთის (რუმინეთი, ქ. ბრაშოვი) ქალთა საერთაშორისო ტურნირში. მაია აქაც შეუპოვარია: დაუმარცხებლად ისე დაიკავა I ადგილი, რომ მეორე პრიზიორს სამი ქულით გაასწრო. მანამდე ევროპაში ასეთი ამბავი არავის სმენია. ფიდე-მ ყმაწვილ ქალს საერთაშორისო ოსტატის წოდება უბოძა. ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევა. ფიდე-ს მსგავსი გადაწყვეტილება მანამდე არასოდეს მიუღია.

1975 წლის მიწურულს მაიამ I—II ადგილები გაიყო საქართველოს ქალთა VIII საერთაშორისო ტურნირში. ახალი, 1976 წლის იანვარში, მან სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა გოგონებს შორის.

სსრ კავშირის XXXV ჩემპიონატიც ფრუნზეში მაიამ ყოჩაღად დაიწყო, მაგრამ ფინიშზე წაიფორხილა და საზონათშორისო ტურნირის მხოლოდ კანდიდატი გახდა. ბოლოს ქალმერთმა კაისამ მაინც არ დასწყვიტა გული: ნოემბერში მაია თბილისში გამართული საზონათშორისო ტურნირის მონაწილეთა შორისაა.

თავიდან საზონათშორისო ტურნირში 12 მოჭადრაკე ჩაება, მაგრამ მერე მას კანადელი ს. ვუიაშევიჩი გამოაკლდა (მაიას დაეკარგა მასთან აღებული ქულა). თბილისელი მოსწავლე თავიდანვე ლიდერთა შორისაა. იგი დაუცხრომლად მიიკვლევს გზას (უგებს ვ. კოზლოვსკაიას, ტ. ზატულოვსკაიას) და პრეტენდენტის საგზურსაც ეუფლება.

ფართო საზოგადოებრიობა აღფრთოვანებულია. გოგონა იზრდება თვალსა და ხელს შუა.

გაგაცნობთ ტურნირის შედეგებს: I. ე. ფატალიბეკოვა —7, II—III. მ. ჩიბურდანიძე, ვ. კოზლოვსკაია — 6,5—6.5, IV—V. მ. იეანკა (უნგრეთი). მ. ლიტინსკაია (ქალიშვილობაში შული) — 6—6, VI. ტ. ზატულოვსკაია — 5, VII—VIII. ჰ. ფოისტელი (გდრ), გ. ბაუმშტარკი (რუმინეთი) — 4,5—4,5, IX. ბ. გოფმანი (გდრ) — 4, X. ჯ. სევერაიდი (აშშ) — 3, XI. ნ. კელერი (ავსტრალია) — 2.

მეორე საზონათშორისო ტურნირი ჩატარდა ქ. როზენდალში (ჰოლანდია) და ასე დასრულდა: I—II. ე. ახმილოვსკაია, ა. კუშნირი (ისრაელი) — 9,5—9,5, III—IV. ტ. ლემაჩკო (ბულგარეთი) ა. ვან დერ მიიე (ჰოლანდიაში გათხოვებამდე რუმინელი ნიკოლაუ) — 9—9, V. ჟ. ვერეცი (უნგრეთი) —8,5, VI. ი. ჰარტსტონი (ინგლისი) — 7,5, VII. ლ. ბელავენეცი — 7, VIII—IX. ტ. ფომინა, მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) — 6,5—6,5, X. კ. ვრეკენი (ჰოლანდია) — 5,5, XI. რ. ორტონი (აშშ) — 5, XII. მ. ოლივეირა (ბრაზილია) — 4, XIII. ი. კარო (კოლუმბია) — 2,5, XIV. გ. გრამანგანი (იტალია) — 1. მოგვიანებით ლემაჩკომ დაამარცხა მიიე-ნიკოლაუ დამატებით მატჩში III ადგილისთვის.

მიმომხილველები უქებდნენ მაიას ნიჭს, ბრძოლისუნარიანობას, მაგრამ შესაძლებელ პრეტენდენტად არ ასახელებდნენ, ნაადრევი არისო. მართლაც, ახალგაზრდა მოჭადრაკეს არ ჰყოფინდა ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ არ შერიგებია გამოთქმულ შეხედულებას. თავისი მწვრთნელის დიდოსტატ ე. გუფელდის დახმარებით იგი დაუღალავად მეცადინეობდა თავისი საბრძოლო არსენალის გასამდიდრებლად. .

პრეტენდენტთა მატჩები 1977 წელს მოეწყო. მეოთხედფინალებში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: ალექსანდრია — ჩიბურდანიძე, ახმილოვსკაია — ლემაჩკო, კუშნირი — ლევიტინა, ფატალიბეკოვა — კოზლოვსკაია. ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებოდნენ პირველ ორ და მეორე ორ წყვილში გამარჯვებულნი, ფინალში კი — ნახევარფინალებში დაწინაურებული მოჭადრაკეები.

ამ პერიოდში ფიდე-მ შემოიღო ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება. ეს წოდება მიენიჭათ შემდეგ მოჭადრაკეებს: ნ. გაფრინდაშვილს, ლ. რუდენკოს, ე. ბიკოვას, ო. რუბცოვას, ნ. ალექსანდრიას, ე. ახმილოვსკაიას, ლ. ვოლპერტს, კ. ზვორიკინას, ტ. ზატულოვსკა-

იას, ო. იგნატიევას, ვ. კოზლოვსკაიას, ს. კონოპლიოვას, ი. ლევიტინას, მ. ლიტინსკაიას, ე. ფატალიბეკოვას, მ. ჩიბურდანიძეს (ყველა — სსრ კავშირი), მ. ლაზარევიჩს, ვ. ნედელკოვიჩს, ტ. შტადლერს (ყველა — იუგოსლავია), ტ. ლემაჩკოს (ბულგარეთი), ე. კელერ-გერმანს (გდრ.), ა. კუშნირს (ისრაელი), ფ. ჰეემსკერკს (ჰოლანდია), მ. ივანკას, ჟ. ვერეცის (ორივე — უნგრეთი) და ა. ვან დერ მიიეს (ჰოლანდია).

ქართველ ქომაგებს გული დასწყდათ, რომ პირველსავე, მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ალექსანდრია და ჩიბურდანიძე. ფიქრობდნენ, რომ ნანა დაჯაბნიდა ახალბედა მაიას, მაგრამ ასე არ მოხდა.

1977 წლის მარტ-აპრილში თბილისში, ჭადრაკის სასახლეში ალექსანდრია-ჩიბურდანიძის ორთაბრძოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ნორჩი მოჭადრაკე დაჯერებულად თამაშობდა. ალექსანდრია არ მოელოდა დიდ წინააღმდეგობას, მაგრამ სტარტზე წაგებამ შეაფიქრიანა იგი. მდგომარეობა რომ გამოასწორა, მერე დაწინაურდა კიდეც. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში მაიამ უდიდესი შინაგანი სიმტკიცე და ჟინი გამოიჩინა. ფიცხელ ჭიდილში გარდატეხა შეიტანა და გაიმარჯვა.

შემდეგ საგაზეთო ინტერვიუში მაიამ თქვა: „ნანა ალექსანდრია დიდი მოჭადრაკეა. მასთან თამაში ძალიან მსიამოვნებდა. ალბათ, ამიტომ, ვერც კი გავიგე, როგორ მიილია თვე".

აი, მატჩის მსვლელობა: 0,5:0,5, 1,5:0,5, 1,5:1,5, 2:2, 2:3, 3:3, 3,5:3,5, 4:4, 5:4, 5,5:4,5 (+3—2=5).

ახმილოვსკაიამ და ლემაჩკომ ითამაშეს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მაის-ივნისში. მათი ბრძოლა მხოლოდ დამატებით პარტიებში დასრულდა. 21 წლის ელენა ახმილოვსკაია უფრო იღბლიანი აღმოჩნდა, აი, როგორ გაიმარჯვა მან: 0,5:0,5, 1,5:0,5, 2:1, 2,5:1,5, 3:2, 3,5:2,5, 3,5:3,5, 4:4, 4:5, 5:5 6:5, 6,5:5,5 (+3—2=7).

ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩიბურდანიძე და ახმილოვსკაია. მათ ტალინში ითამაშეს სექტემბერ-ოქტომბერში.

ეს იყო უაღრესად დაძაბული და უშეღავათო ბრძოლა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა. გაეცანით შეჯიბრების მსვლელობას: 0:1, 1:1, 1,5:1,5, 2,5:1,5, 3:2, 3:3, 3,5:3,5, 4:4, 4:5, 5:5, 6:5, 6,5:5,5 (+4—3=5).

როგორი შინაგანი ძალა, ხასიათის სიმტკიცე და გამარჯვების

ბრწმენა უნდა ჰქონოდა მაიას, რომ წარმატებით გადაელახა დაბრკოლებები, რომელთა წინაშე ამ მატჩში სამჯერ მაინც აღმოჩნდა.

სიძნელემ პირველივე პარტიის შემდეგ იჩინა თავი. მაიამ წააგო ეს შეხვედრა, მაგრამ არ დაბნეულა. II პარტიაში ორ დღეს იბრძოლა და მაინც გატეხა მეტოქე, თითქმის საყაიმო ენდშპილში. მეორედ იგა კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა IX პარტიის შემდეგ, რომელიც აგრეთვე წააგო. თითქოს ქალღმერთმა კაისამ ზურგი შეაქცია მას, მაგრამ ფარ-ხმალი როდი დაყარა. საკუთარ ძალაში დაჯერებულმა, თამამად შეიძლება ითქვას, უნაკლოდ წარმართა X პარტია და ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ მან მომდევნო პარტიაც მოიგო. მაიას მესამე გამოცდა მოელოდა დასკვნით პარტიაში, რომელშიც ყაიმიც ჰყოფნიდა. ნურავინ იფიქრებს, რომ „შეკვეთით" ყაიმის მიღწევა ადვილი იყოს. ეს, ალბათ, მხოლოდ ტიგრან პეტროსიანს შეუძლია. მაიას კი ამის გამოცდილება არ გააჩნდა. მაიამ ამ გამოცდასაც გაუძლო. კრასნოიარსკელმა დიდოსტატმა ვერ შეარყია მისი პოზიცია, თუმცა ასამდე სვლა გააკეთა. 16 წლის გოგონას დიდი მოჭადრაკის შესაფერისი წინდახედულობა და ერუდიცია აღმოაჩნდა.

ყველამ იწამა ახალგაზრდა ქართველი დიდოსტატის შესაძლებლობები, მაგრამ ფინალში ა. კუშნირთან შეხვედრა მისთვის საბედისწეროდ მიაჩნდათ.

ა. კუშნირმა მეოთხედფინალში (დორტმუნდი, ივნის-ივლისი) ვადამდე სძლია ი. ლევიტინას: 1:0, 2:0, 2,5:0,5, 3,5:0,5, 4,5:0,5, 5:1, 5:2, 5:3, 6:3 (+5—2=2). ნახევარფინალურ მატჩში (დასავლეთ ბერლინი, სექტემბერ-ოქტომბერი) დაამარცხა ე. ფატალიბეკოვა: 1:0, 2:0, 2,5:0,5, 2,5:1,5, 3:2, 3,5:2,5, 3,5:3,5, 4,5:3,5, 5,5:3,5, 6,5:3,5 (+5—2=3).

ე. ფატალიბეკოვამ მეოთხედფინალური მატჩი (სოჭი, აპრილ-მაისი) ასე მოუგო ვ. კოზლოვსკაიას: 1:0, 2:0, 2,5:0,5, 3:1, 4:1, 4,5:1,5, 5:2, 6:2 (+4—0=4).

შესარჩევ მატჩებში მაია ჩიბურდანიძემ გამოავლინა თვითმყოფი ნიჭი, პოზიციის სიღრმეში წვდომის უნარი, თითქმის უშეცდომო ალღო, ინტუიცია, მებრძოლის სულგრძელობა და შეუპოვრობა მიზნის მიღწევისთვის ბრძოლაში. მისი თამაშის დარბაისლური მანერა ცხადყოფდა, რომ მოჭადრაკე დაჯერებულია საკუთარ ძალასა და შესაძლებლობებში, მაგრამ ბევრს მაინც აშინებდა კუშნირთან მისი შეხვედრა.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი დაინიშნა ბად-კისინგენში (გფრ) 1978 წლის იანვრისთვის. მანამდე დარჩენილ დროში მაიამ მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატში (ლვოვი, დეკემბერი). საინტერესოა, რომ მაიას სავარჯიშოდ შესთავაზეს რომში (იტალია) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გამოსვლა, მაგრამ მან უარი თქვა. იგი ამბობდა: ოსტატი ვაჟები მთელი ძალით არ ითამაშებენ ჩემთან, რათა ძნელი მატჩის წინ გული არ მატკინონ. ჩემპიონატში კი, პირიქით, „გაავებული" მეტოქეები მეყოლება, ყველა შეეცდება მომიგოს, მეც სწორედ ასეთი თამაში მწყურიაო. საოცარი გონიერებაა!

ჩემპიონატში მაიამ შთამბეჭდავად გაიმარჯვა. პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი. მას არ წაუგია პარტია, უფრო მეტიც, უარესი პოზიციაც არ ჰქონია. სხვათა შორის, ამ ჩემპიონატში II—III ადგილებიც ქართველმა მოჭადრაკეებმა ნ. ალექსანდრიამ და ნ. იოსელიანმა გაიყვეს.

როცა მაიას ეს დიდი წარმატება შეიტყო კუშნირმა, მყისვე სთხოვა ფიდე-ს მატჩის სტარტის თვე-ნახევრით გადაწევა. მან კარგად იცოდა, რომ საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონები ნამდვილად რჩეულნი ხდებიან. მომზადებისთვის დრო სჭირდებოდა, მაგრამ ფიდე-მ უარი უთხრა, მატჩი დროულად დაიწყო, მეტოქეებს ურთიერთობა 14 პარტიაში უნდა გაერკვიათ.

ყველასთვის მოულოდნელად, მაია სწრაფად დაწინაურდა — 4:1. შემდეგ კუშნირი დიდი გზებით, თავგამოდებით იბრძოდა და მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა ქულებში, მაგრამ ნორჩ პრეტენდენტს ქედი ვერ მოახრევინა. პირიქით, მაიამ დასკვნით პარტიებში მეტი სიხალისე და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, ბოლომდე შეინარჩუნა ერთქულიანი უპირატესობა და გაიმარჯვა.

აი, როგორ მოხდა ეს: 0,5:0,5, 1,5:0,5, 2:1, 3:1, 4:1, 4:2, 4,5:2,5, 4,5:3,5, 5,5:3,5, 5,5:4,5, 6,5:4,5, 6,5:5,5, 7:6, 7,5:6,5 (+4—3=7).

ამ მატჩიდან აღსანიშნავია მაიას გამარჯვებები II და V პარტიებში. პირველში ქართველმა მოჭადრაკემ ვირტუოზულად მოიგო ეტლების ენდშპილი, მეორეში — რთულ პოზიციაში ლაზიერის მოულოდნელი შეწირვით იერიშს ენერგია და სიმძაფრე შემატა.

მაიას სასახელო წარმატებას დიდი აღფრთოვანებით შეეგება ხალხი, ჭადრაკის მოყვარულები. მისი მომავალი ნათელი იყო.

რა თქმა უნდა, გაფრინდაშვილ-ჩიბურდანიძის მატჩმა უდიდესი

ინტერესი გამოიწვია. ნონას ისევ ქართველ მოჭადრაკესთან უწევდა ტიტულის დაცვა. ამჯერად მეტოქედ ჰყავდა ახალი თაობის უძლიერესი წარმომადგენელი.

ნონა მუდამ იყო მაიას კერპი. გოგონა ოცნებობდა ისე დაუფლებოდა ჭადრაკს, როგორც იგი. 14 წლის მაიას ჩემთვის უთქვამს: „მე რომ მომწონს, ჭადრაკს ისე თამაშობენ მხოლოდ ოსტატი ვაჟები და ნონა. ამიტომაცაა ნონა ერთადერთი ქალი, რომელსაც აქვს სპორტის ოსტატის წოდება ვაჟთა შორის". პრეტენდენტი რომ გახდა, მაიამ ყველას გასაგონად თქვა: „ჩემთვის დიდი პატივია ნონა გაფრინდაშვილთან მატჩის თამაში".

მსოფლიო ჩემპიონს მაია პირველად შეხვდა ერთდროული თამაშის სეანსში (საათებით), რომელიც ნონამ საქართველოს ტელევიზიის საჭადრაკო ჟურნალ „სამორინეს" თხოვნით გამართა 1973 წლის 28 იანვარს 8 თბილისელი ნორჩი მოჭადრაკისთვის. ჩემპიონს მხოლოდ მაიამ მოუგო. მაგრამ პირისპირ მათი შეხვედრა პირველად მოხდა იმავე წლის მაისში თბილისში, საქართველოს ქალთა VIII საერთაშორისო ტურნირში. პარტია ნონამ მოიგო. მოიგო მან კიდევ ორი შეხვედრა — სსრ კავშირის XXXIII (თბილისი, 1973 წ.) და XXXVI (თბილისი, 1976 წ.) ჩემპიონატებში.

ნონამ და მაიამ კარგად იცოდნენ, რომ მატჩი მძიმე და დამღლელი იქნებოდა. ამიტომ ნონამ გაზაფხულზე ბელგრადში წარმატებით გამოსვლის შემდეგ მზადებას მოჰკიდა ხელი. მაია პრაქტიკულად ემზადებოდა, ტურნირებში მონაწილეობდა. გაზაფხულზე მან გაიმარჯვა ბუდაპეშტის ქალთა საერთაშორისო ტურნირში, მერე ვილნიუსში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ტრადიციულ, XIX საერთაშორისო ტურნირში, სადაც, მართალია, ბოლო ადგილი დაიკავა, მაგრამ ჭიდილში ყაიმით დაამთავრა შეხვედრები დიდოსტატებთან — სსრ კავშირის ჩემპიონ ი. დორფმანთან, ს. რეშევსკისთან (აშშ), მ. დამიანოვიჩთან (იუგოსლავია), ლ. ესპიგთან (გდრ.), საერთაშორისო ოსტატებთან მ. დვორეცკისთან, ვ. მიკენასთან და სხვებთან. მოუგო შვეციაში მცხოვრებ ქართველ მოჭადრაკეს, საერთაშორისო ოსტატ კოტე კაიშაურს. დიდი ბრძოლა გაუმართა მაიამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანს, რომელიც გოგონას ნიჭით ჯერ კიდევ 1973 წელს დაინტერესდა და თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდა მის გასაცნობად.

ყველა მოჭადრაკე და ჟურნალისტი, მწვრთნელი თუ გულშემატკივარი ცდილობდა განეჭვრიტა მომავალი ორთაბრძოლის შედეგები. რა თქმა უნდა, მდიდარი ერუდიცია, გამოცდილება, ძალა და მებრძოლი ხასიათი ნონას დიდ უპირატესობას აძლევდა. მაიამ თავისი ნიჭით, ფანტაზიით, საოცარი ალღოთი და ნებისყოფით დაამტკიცა, რომ შესწევს ამა ქვეყნის ძლიერებთან ჭიდილის ძალა. და მაინც, ძალიან ბევრს არ სჯეროდა, რომ ნონას ტახტის დათმობა მოუხდებოდა.

აი, რას წერდა ნანა ალექსანდრია ჟურნალ „ცისკარში" (№ 7. 1978 წ.):

„— მისი (ნონას) დამარცხება წარმოუდგენლად მიმაჩნია, მით უმეტეს, ვერ შეძლებს ამას ქართველი მოჭადრაკე, რადგან — ამას პარადოქსისთვის არ მოგახსენებთ — მისი დამარცხება ქართველ მოჭადრაკესთან, ეს იქნება მისი გამარჯვება, რადგან ყველა, ვინც დღეს კარგად თამაშობს ჭადრაკს, ამას, ბოლოს და ბოლოს, ნონას წყალობით აკეთებს". „...შედეგი დიდად არ მაღელვებს. ზოგს ორი მსოფლიო ჩემპიონი ურჩევნია, და ასეთები მაიას გულშემატკივრობენ. ნონასა და ჩემი მატჩის დროსაც იყვნენ ასეთები. რაც უნდა მოხდეს, ქართული საჭადრაკო სკოლა არაფერს კარგავს. პირადად მე მშვენივრად ვიცი მატჩის შედეგი, მაგრამ არამც და არამც არ ვიტყვი წინასწარ".

1978 წლის 18 აგვისტოს ბიჭვინთის საკურორტო საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა გაფრინდაშვილ-ჩიბურდანიძის მატჩი. მას ფიდე-ს პრეზიდენტი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, პროფესორი მ. ეივე (ჰოლანდია) დაესწრო. მან თავის გამოსვლაში მაღალი შეფასება მისცა ქართულ საჭადრაკო სკოლის მიღწევებსა და მათ ლიდერებს. „ჩემი ღრმა რწმენით, — თქვა მ. ეივემ, — ნონა გაფრინდაშვილი ბევრად ჯობნის სახელგანთქმულ ვერა მენჩიკს. მენჩიკი კარგად ერკვეოდა პოზიციურ თამაშში, მაგრამ იბნეოდა ტაქტიკურ გართულებებში... გაფრინდაშვილის თამაში უფრო მრავალფეროვანია, ნათელი. იგი ფართო გაქანების, დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობების მოჭადრაკეა". „უნიკალურია მაიას სპორტული გზა, — თქვა ნორჩი პრეტენდენტის შესახებ ჰოლანდიელმა სტუმარმა. — 13 წლისა გახდა საერთაშორისო ოსტატი, 17 წლისამ ითამაშა მატჩი მსოფლიო პირველობაზე. მსგავსი რამ ჯერ არ ყოფილა ჭადრაკის ისტორიაში! მაიას ბრწყინვალე მონაცემები აქვს, მისგან ბევრს უნდა ველოდოთ".

19 აგვისტოს მეტოქენი თამაშს შეუდგნენ. შეხვედრის რეგლამენტში არაფერი შეცვლილა: უნდა ეთამაშათ 16 პარტია. ყაიმი (8:8) ჩემპიონს ტიტულს უნარჩუნებდა.

პირველი სამი პარტია ყაიმით დამთავრდა, მაგრამ მათში პრეტენდენტის უპირატესობა იგრძნობოდა. IV პარტიაში ნონამ ვერ მიაგნო ინიციატივის განვითარების გზას და უარეს პოზიციაში აღმოჩნდა. ხიფათისთვის თავის არიდებამ ბევრი მოსაფიქრებელი დრო შთანთქა და ნონა სასტიკ ცაიტნოტში მოექცა. მან ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება, საათზე ალამი ჩამოუვარდა და პარტია წაგებულად ჩაეთვალა. ეს იყო მაიას პირველი გამარჯვება ნონასთან ოფიციალურ შეხვედრაში. ნონა V პარტიაშიც ცაიტნოტში იყო, როცა ვერ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით ყაიმის მისაღწევად და კვლავ დამარცხდა.

დაწინაურდა მაია: 0,5:0,5, 1:1, 1,5:1,5, 2,5,:1,5, 3,5:1,5.

· VI პარტიაში სწრაფი ყაიმით დამთავრდა თეორიული დუელი კარო-კანის დაცვაში. VII პარტია ნონამ მოიგო. მან დამაჯერებლად გამოიყენა პრეტენდენტის არაზუსტი თამაში. VIII პარტია მწვავედ წარიმართა, მეტოქენი მონაცვლეობით ცდებოდნენ, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ზავით დამთავრდა.

სტარტზე ნონა უქეიფოდ გრძნობდა თავს. ორჯერ „ტაიმ-აუტიც" აიღო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გამოკეთდა, რასაც, რა თქმა უნდა, მძაფრი სამატჩო ბრძოლაც უშლიდა ხელს. ნონა ხშირად სცოდავდა. IX პარტიაში, მართალია, უკვე უარეს პოზიციაში, მას მაიას პატარა კომბინაცია გამოეპარა და წააგო. ყველა გააოცა მისმა თამაშმა X პარტიაში. პაიკის შეწირვით ნონამ დიდად პერსპექტიული იერიში წამოიწყო. დარბაზი ხედავდა, რომ მას ეტლის შეწირვით გამარჯვება შეეძლო, მაგრამ ნონა სწორ გზას ასცდა და მაიამ მარჯვე თამაშით ყაიმს მიაღწია.

დადგა კრიტიკული მომენტი: 4:2, 4:3, 4,5:3,5, 5,5:3,5, 6:4. ნონამ მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და XI პარტიაში ძლიერად დალაშქრა მაიას მეფის პოზიცია. პრეტენდენტი ბოლომდე ზუსტი არ იყო და სწრაფად დამარცხდა. უმძაფრესი ბრძოლა ატყდა XII პარტიაში, რომელიც მატჩში ყველაზე მრავალსვლიანი (გაკეთდა 101 სვლა) და მრავალსაათიანი (გრძელდებოდა 12 საათს) აღმოჩნდა. ნონა ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან (მას ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა), მაგრამ ახალგაზრ-

და პრეტენდენტმა შეუპოვარი წინააღმდეგობით მოქანცა იგი და მოგებისკენ მიმავალ გზას ველარ მიაგნო. ყაიმი. ამ შეხვედრამ დიდი ენერგია შთანთქა, რამაც XIII პარტიაში იჩინა თავი. ნონამ ხარისხი შესწირა და ცენტრში ძლიერი გამსვლელი პაიკები მიიღო, მაგრამ ცაიტნოტში მოხვდა და ყაიმის შესაძლებლობაც ველარ გამოიყენა.

ჭიდილი კიდევ უფრო გამძაფრდა. ნორჩი პრეტენდენტი ღელავდა. XIV პარტიაში უვნებელყო ხიფათი და უპირატესობა მიიღო. მან პარტია გადადო ზედმეტი პაიკით მოსაგებ მდგომარეობაში, მაგრამ ზუსტად ვერ გააანალიზა იგი და ნახევარი ქულა დაკარგა.

6:5, 6,5:5,5, 7,5:5,5, 8:6.

დარჩენილ ორ პარტიაში ნონას ტიტულის შესანარჩუნებლად მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. XV პარტიაში იგი ახლოს იყო მიზანთან, ვირტუოზულად თამაშობდა ენდშპილს, მაგრამ უკიდურესობამდე დაძაბულ ნერვულ მდგომარეობაში ბოლომდე ზუსტი არ იყო და მაიას წარმატებით დაცვის შესაძლებლობა მისცა, რაც, რა თქმა უნდა, ჩიბურდანიძემ საუცხოოდ გამოიყენა. მან მიაგნო ეტიუდურ სვლებს და სასურველ, გამარჯვების ტოლ ყაიმს მიაღწია.

8,5:6,5 (+4—2=9) — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა მაია ჩიბურდანიძემ.

როცა მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ XV პარტიაში, ნონა მივიდა მაიასთან, აკოცა და პირველმა მიულოცა ჭადრაკის დედოფლის ტახტზე ასვლა. დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა სწორუპოვარი ნონას რაინდულ საქციელს.

ქალთა საჭადრაკო სამყარომ მიიღო ახალი, მეექვსე მსოფლიო ჩემპიონი. ეს იყო დიდი მოვლენა ქართული ჭადრაკის ისტორიაში, რომელსაც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა გამოეხმაურა. ყველგან ბევრი დაიწერა და ითქვა ყმაწვილი ქართველი ქალის შთამბეჭდავ მიღწევაზე. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ამონაწერს, რომლის ავტორია გაფრინდაშვილ-ჩიბურდანიძის მატჩის მთავარი მსაჯის მოადგილე, ცნობილი ოსტატი და არბიტრი ლ. აბრამოვი. იგი წერდა: მატჩში „წარდგა კი იგი (მაია) პირველ ყოვლისა ბრძენად! დიახ, ასე. სიბრძნის გარეშე არ შეიძლება ითამაშო ისე რაციონალურად, როგორც მაია თამაშობს. როგორც წესი, იგი ახერხებდა მეტოქისთვის თავს მოეხვია თავისი კარგად მომზადებული, ორიოდე სვლით უფრო შორს გაანალიზებული დებიუტი. თითქმის ყოველთვის იგი ღებულობდა ნორმალურ, ალბათ,

მისთვის ხელსაყრელ პოზიციებს და მათ დროის მინიმუმს ანდომებდა. მეტი რა უნდა ისურვო!?“.

მაიას გამარჯვების ამბავი ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა ფილიპინებზე, ბაგიოში შეიტყო, სადაც იგი თავად იბრძოდა მატჩში ტიტულის შესანარჩუნებლად. კარპოვმა თქვა „...მაია უნიკალური მოვლენაა ჭადრაკში, გახდე მსოფლიო ჩემპიონი 17 წლის ასაკში! არ ვიცი, გამეორდება კი მსგავსი ოდესმე? ჩიბურდანიძე შესანიშნავად გამოვიდა ამ, ჩემი აზრით, განსაკუთრებულად მძიმე მატჩში“.

1978 წლის 7 ოქტომბერს, ბიჭვინთაში მაია ჩიბურდანიძე საზეიმოდ აკურთხეს ჭადრაკის დედოფლის ტახტზე. იგი შეამკეს დაფნის გვირგვინით და ჩემპიონის ოქროს მედალი გადასცეს.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა, ქალბატონმა ი. ბაკერმა (ჰოლანდია). მან ერთხელ კიდევ ქება-დიდებით შეამკო ქართველ მოჭადრაკე ქალთა ნიჭი და რაინდული სული, მადლობა უძღვნა საქართველოს. მაიას შესახებ ქალბატონმა ი. ბაკერმა თქვა:

— მაია საოცარი გოგონაა. მან სწრაფად დაძლია ჩემპიონის ტახტისკენ მიმავალი აღმართი, არსად წაუბორძიკია, თუმცა გამოცდილება აკლდა. უჩვეულო ნიჭმა, დიდმა ნებისყოფამ და ჭადრაკისადმი ღრმა სიყვარულმა ყველა დაბრკოლება გადაალახვინა. წუთით გაიხსენეთ, რა სახელოვან და ცნობილ მოჭადრაკეებს სძლია მან: ნანა ალექსანდრიას, ელენა ახმილოვსკაიას, ალა კუშნირსა და ბოლოს — თვით უძლეველ ნონა გაფრინდაშვილს. ეს შეეძლო მხოლოდ დიდი ტალანტით მადლცხებულ მოჭადრაკეს. ამიტომაც ვამბობთ, რომ მაიას წარმატება ჭეშმარიტი გმირობაა.

მერე გამოვიდა მაია. მან ფიცივით წარმოთქვა:

— ჩემპიონის ტიტული დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ვიცი, რომ ჩემპიონობა ძალიან ბევრს მავალებს. ამიტომ შევეცდები, ხშირად მივიღო მონაწილეობა ტურნირებში, რათა ხელი შევუწყო ქალთა საჭადრაკო მოძრაობის შემდგომ წინსვლას.

ახალგაზრდა ჩემპიონს, როგორც ადრე მხოლოდ ნონას, ქალთა შორის სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება მიენიჭა. მოგვიანებით მან სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებაც მიიღო.

ქალთა ჭადრაკის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო.

აი, ასეთი მდიდარი და მღელვარე გზა განვლო ბრძოლამ ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ვერა მენჩიკიდან მაია ჩიბურდანიძემდე.

## ქალთა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

| № | ტურნირი, მატჩი | მონაწილე | წელი | თამაშის ადგილი | ჩემპიონი | + | — | = |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტურნირი | 12 | 1927 | ლონდონი | მენჩიკი | 10 | — | 1 |
| 2 | მატჩ-ტურნირი | 5 | 1930 | ჰამბურგი | მენჩიკი | 6 | 1 | 1 |
| 3 | მატჩ-ტურნირი | 5 | 1931 | პრაღა | მენჩიკი | 8 | — | — |
| 4 | მატჩ-ტურნირი | 8 | 1933 | ფოლკსტონი | მენჩიკი | 14 | — | — |
| 5 | ტურნირი | 10 | 1935 | ვარშავა | მენჩიკი | 9 | — | — |
| 6 | ტურნირი | 26 | 1937 | სტოკჰოლმი | მენჩიკი | 14 | — | — |
| 7 | ტურნირი | 20 | 1939 | ბუენოს-აირესი | მენჩიკი | 17 | — | 2 |
| 8 | ტურნირი | 16 | 1949—50 | მოსკოვი | რუდენკო | 9 | 1 | 5 |
| 9 | რუდენკო-ბიკოვა | | 1953 | ლენინგრადი | ბიკოვა | 7 | 5 | 2 |
| 10 | მატჩ-ტურნირი | 3 | 1956 | მოსკოვი | რუბცოვა | 7 | 3 | 6 |
| 11 | რუბცოვა-ბიკოვა | | 1958 | მოსკოვი | ბიკოვა | 7 | 4 | 3 |
| 12 | ბიკოვა-ზვორიკინა | | 1959 | მოსკოვი | ბიკოვა | 6 | 2 | 5 |
| 13 | ბიკოვა-გაფრინდაშვილი | | 1962 | მოსკოვი | გაფრინდაშვილი | 7 | — | 4 |
| 14 | გაფრინდაშვილი-კუშნირი | | 1965 | რიგა | გაფრინდაშვილი | 7 | 3 | 3 |
| 15 | გაფრინდაშვილი-კუშნირი | | 1969 | თბილისი-მოსკოვი | გაფრინდაშვილი | 6 | 2 | 5 |
| 16 | გაფრინდაშვილი-კუშნირი | | 1972 | რიგა | გაფრინდაშვილი | 5 | 4 | 7 |
| 17 | გაფრინდაშვილი-ალექსანდრია | | 1975 | პიწუნდა-თბილისი | გაფრინდაშვილი | 8 | 3 | 1 |
| 18 | გაფრინდაშვილი-ჩიბურდანიძე | | 1978 | პიწუნდა | ჩიბურდანიძე | 4 | 2 | 9 |

## ბრძოლა გრძელდება

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისადმი ინტერესი არ ცხრება. სარბილზე გამოჩნდა ახალი, ძარღვიანი და ნიჭიერი თაობა. გამოჩნდა იგი საქართველოშიც. ეს ყველამ დაინახა, როცა ახალი, 1978—1981 წლების პრეტენდენტთა ციკლის შეხვედრები დაიწყო.

ვიდრე ჭადრაკის სამყარო გაეცნობოდა ამ ახალგაზრდობას, 1978 წლის შემოდგომაზე ყველა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ახალი მსოფლიო ჩემპიონისა და მისი საბჭოთა კოლეგების ნ. გაფრინდაშვილის, ნ. ალექსანდრიასა და ე. ახმილოვსკაიას გამოსვლას ბუენოს-აირესში, ქალთა VIII საჭადრაკო ოლიმპიადაში. ამჯერად საბჭოთა გუნდს მაია ჩიბურდანიძე თავკაცობდა. ყველამ დიდი წარმატებით იბრძოლა და ოლიმპიადის ოქროს მედლები დაიმსახურა. მათ ცალკეულ დაფებზეც ვერავინ აჯობა. ეს იყო საბჭოთა ქალთა ჭადრაკის ახალი დიდი გამარჯვება. იქვე ფიდე-ს XLVII კონგრესმა ნონა გაფრინდაშვილს (პირველს ქალთაგან) ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა. ამაში ყველამ სამართლიანად დაინახა თანამედროვე ქალთა ჭადრაკის საქვეყნო აღიარება და მასში სწორუპოვარი ნონას დიდი წვლილის დაფასება.

მაია ჩიბურდანიძე აქტიურად ჩაება საჭადრაკო ცხოვრებაში. 1979—1980 წლებში დიდი წარმატებით მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში (I ადგილი II დაფაზე), სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდურ პირველობაში, როგორც „დინამოს" წევრი (I დაფაზე I ადგილი). სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში იგი შეხვდა ნ. გაფრინდაშვილს (შეიარაღებული ძალები) და მოუგო. მოსაწონად თამაშობდა მაია ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში: ბარსელონასა (III—V) და ბაქოში (VI—VIII), სადაც რამდენიმე დიდოსტატი დაამარცხა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან სსრ კავშირის ვაჟთა XLVIII ჩემპიონატის ნახევარფინალში გამარჯვებით (II ადგილი), სადაც მოუგო დიდოსტატ მ. ტაიმანოვს, ყაიმით დაამთავრა შე-

ხვედრები დიდოსტატებთან დ. ბრონშტეინთან, ა. სუეტინთან და ა. გიპ-სლისთან. მერე პირველ ლიგაშიც ითამაშა (ოქტომბერი, 1980 წ.), სადაც მეტოქეებად 10 ცნობილი დიდოსტატი ჰყავდა. სსრ კავშირის ქალთა XXXIX ჩემპიონატში (თბილისი, 1980 წ.) მაიამ II—IV ადგილები გაიყო ნ. გაფრინდაშვილთან და ნ. ალექსანდრიასთან.

1978 წელს მაია ჩიბურდანიძე არჩეულ იქნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად, 1980 წელს თბილისელებმა აირჩიეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე მოწვევის დეპუტატად.

სარბიელზეა ნონა გაფრინდაშვილიც, მაგრამ ტიტულის დაკარგვამ დაღი დაამჩნია მის თამაშს.

1979 წლის შემოდგომაზე რიო-დე-ჟანეიროსა (ბრაზილია) და ალიკანტეში (ესპანეთი) საზონათშორისო ტურნირები გაიმართა. მათში დიდი ალმავლობით გამოვიდნენ ქართველი მოჭადრაკეები — საერთაშორისო ოსტატები 17 წლის ნანა იოსელიანი, 18 წლის ნინო გურიელი და ნანა ალექსანდრია. გოგონებმა ქვეყანა აალაპარაკეს. ყველა გააოცა ნანა იოსელიანმა, რომელმაც სტარტიდან მოყოლებული ზედიზედ 12 პარტია მოიგო, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა საზონათშორისო ტურნირების ისტორიაში. ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკეებმა ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება დაიმსახურეს, რაც კიდეც მიაკუთვნა მათ ფიდე-მ კუნძულ მალტაზე გამართულ კონგრესზე. ამჟამად ქართველებს ხუთი საერთაშორისო დიდოსტატი ქალი გვყავს.

აი, საზონათშორისო ტურნირების შედეგები:

რიო-დე-ჟანეირო (24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი, 1977 წ.): ნ. იოსელიანი — 14,5, ჟ. ვერეცი (უნგრეთი) — 12, ნ. ალექსანდრია — 11, ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი), გ. ფიშდიკი (გფრ) — 10,5—10,5, ვ. კოზლოვსკაია, მ. ლაზარევიჩი — 9,5—9,5, ტ. ზატულოვსკაია, კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 9—9, ბ. ბორისოვა (შვეცია) — 8, ი. მაილსი (ინგლისი) — 7,5, რ. კროტო (აშშ), ი. კადილკარი (ინდოეთი) — 6,5—6,5, ბ. ხუნდი (გფრ) — 6, ე. სოპე (არგენტინა) — 4, რ. კორდოსო (ბრაზილია) — 1,5, ლ. კარვაილი (კუბა) — 0,5.

ალიკანტე (20 ოქტომბერი — 19 ნოემბერი, 1979 წ.): ე. ახმილოვსკაია, ტ. ლემაჩკო — 13,5—13,5, ნ. გურიელი — 12, მ. ლიტინსკაია — 11,5, ჯ. სევერაიდი (აშშ) — 11, ე. ფატალიბეკოვა — 10,5,

შ. ივანკა (უნგრეთი) — 10, მ. რანიკუ — 9, ნ. გარსია (კოლუმბია) გ. ბაუმშტარკი (რუმინეთი) — 8,5—8,5, ლ. არმასი (კუბა), ა. მიიე-ნიკოლაუ (ჰოლანდია) — 8—8, რ. მარკოვიჩი, ნ. პროკოპოვიჩი (ორივე — იუგოსლავია) — 6,5—6,5, შტენებერგი (კანადა) — 6, ბ. კარასკო (ჩილი) — 5, ნ. კელერი (ავსტრალია), ო. ვატანი (იაპონია) — 2,5—2,5.

პრეტენდენტთა მატჩებში თამაშის უფლება მოიპოვეს იოსელიანმა, ვერეციმ, ალექსანდრიამ, ახმილოვსკაიამ, ლემაჩკომ და გურიელმა. პერსონალურად მიწვეული იყვნენ გაფრინდაშვილი და კუშნირი. მაგრამ კუშნირმა თამაშზე უარი განაცხადა. ახალი მონაწილის გამოსავლინებლად დაინიშნა დამატებითი მატჩი (6 პარტია) საზონათშორისო ტურნირებში IV ადგილებზე გასულ მოჭადრაკეთა შორის. რადგან რიო-დე-ჟანეიროში ამ ადგილის გაყოფა მოხდა. ფიდე-მ ჯერ შეახვედრა ერთმანეთს პოლიქრონიადე და ფიშდიკი. ეს ორთაბრძოლა ყაიმით (3:3) დასრულდა, მაგრამ IV ადგილი მიეკუთვნა გერმანელ მოჭადრაკეს ტურნირში უკეთესი კოეფიციენტის გამო. მერე (ავსტრია, აპრილი 1980 წ.) ჩატარდა ლიტინსკაია-ფიშდიკის შეხვედრა, რომელიც მეტად დრამატული აღმოჩნდა. პირველი სამი პარტია ფიშდიკმა მოიგო, მაგრამ მომდევნო სამ პარტიაში ერთ ყაიმსაც ვერ მიაღწია — 3:3. დამატებით მატჩში (ორი პარტია) გაიმარჯვა ლიტინსკაიამ — 1,5:0,5.

წილისყრით მეოთხედფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ: ნ. გაფრინდაშვილი — ნ. გურიელი, ნ. იოსელიანი — ჟ. ვერეცი, ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრია, ტ. ლემაჩკო — მ. ლიტინსკაია.

ყველა მატჩი ძალზე მწვავედ მიმდინარეობდა და ვადამდე დამთავრდა (უნდა გათამაშებულიყო 10—10 პარტია). აი, მათი შედეგები:

გაფრინდაშვილი-გურიელი (თბილისი, 2—3 მარტი, 1980 წ.) — 6:3 (1:0, 1:0, 0,5:0,5, 0:1, 0,5:0,5, 1:0, 0:1, 1:0, 1:0).

იოსელიანი — ვერეცი (დონი-მილანოვაცი, იუგოსლავია, 2—23 აპრილი, 1980 წ.) — 6:3 (0,5:0,5, 0,5:0,5, 0,5:0,5, 0,5:0,5, 1:0, 0,5:0,5, 0,5:0,5, 1:0, 1:0).

ალექსანდრია — ახმილოვსკაია (კისლოვოდსკი, 2—24 მარტი, 1980 წ.) — 5,5:3,5 (1:0, 0,5:0,5, 0:1, 0,5:0,5, 1:0, 1:0, 0,5:0,5, 0,5:0,5, 0,5:0,5).

ლიტინსკაია-ლემაჩკო (ოდესა, 1—24 ივნისი, 1980 წ.) — 5,5:2,5 (0,5:0,5, 0,5:0,5, 1:0, 0,5:0,5, 1:0, 0:1, 1:0, 1:0).

დიდი ინტერესი გამოიწვია პრეტენდენტთა ნახევარფინალურმა

მატჩებმა, რომლებიც უაღრესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნებოდა. ორივე მატჩში საჭირო შეიქნა დამატებითი პარტიების თამაში გამარჯვებულის გამოსავლინებლად.

ნ. გაფრინდაშვილ-ნ. იოსელიანის შეხვედრა გაიმართა თბილისის ჭადრაკის სასახლეში (2 სექტემბერი — 6 ოქტომბერი, 1980 წ.). თავიდან დაწინაურდა გაფრინდაშვილი — 3:2 (0,5:0,5, 1:0, 0,5:0,5, 0,5:0,5, 0,5:0,5), მაგრამ იოსელიანმა გაათანაბრა ანგარიში — 3:3 (მოიგო VI პარტია). მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კვლავ დაეუფლა ინიციატივას — 5:3 (1:0, 1:0), მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა (0:1, 0:1) და ანგარიში ისევ გათანაბრდა — 5:5. შეჯიბრების დებულების შესაბამისად დაინიშნა ჯერ ერთი, მერე მეორე დამატებითი მატჩი (ორი პარტია), მაგრამ გამარჯვებული ვერც მათ დაასახელეს (0,5:0,5, 0,5:0,5, 0,5:0,5, 0,5:0,5). ასე ამოიწურა სათამაშო პარტიების რაოდენობა და შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 7:7. მაგრამ შეჯიბრების დებულებაში ასეთი შემთხვევაც იყო გათვალისწინებული. ამ დროს უპირატესობა ეძლეოდა იმ მოჭადრაკეს, რომელსაც შავი ფიგურებით მეტი მოგება ექნებოდა. ამ მხრივ უპირატესობა ნანა იოსელიანს ჰქონდა (2:1) და ფინალური მატჩის საგზური მას გადაეცა.

ნ. ალექსანდრია-მ.ლიტინსკაიას მატჩი მოეწყო ვილნიუსში, ლიტვის მეცნიერთა სახლში (6 სექტემბერი — 8 ოქტომბერი, 1980 წ.). თავიდან ლიდერობა ხელთ იგდო ალექსანდრიამ — 3:1 (1:0, 0,5:0,5, 1:0, 0,5:0,5), მაგრამ შემდეგ წაიფორხილა (0:1, 0:1, 0:1) და ჩამორჩა — 3:4. მძაფრმა თამაშმა ვერ შემოატრიალებინა შეხვედრის ბედი (0,5:0,5, 0,5:0,5) — 4:5. მხოლოდ დასკვნით პარტიაში გამარჯვებით გამოასწორა მდგომარეობა — 5:5. აგულიანებულმა ქართველმა დიდოსტატმა დამატებითი მატჩის ორივე პარტია მოიგო და გაიმარჯვა — 7:5. პირველად ქალთა მსოფლიო პირველობის ისტორიაში პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მხოლოდ ქართველი მოჭადრაკეები გავიდნენ.

ვიდრე ალექსანდრია-იოსელაინის მატჩი დაიწყებოდა, 1980 წლის ნოემბერ-დეკემბერში სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა, რომელშიც მხოლოდ ქართველი დიდოსტატები — მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია და ნ. იოსელიანი (სათადარიგო მოთამაშე) შედიოდნენ, მონაწილეობა მიიღო კუნძულ მალტაზე ქალთა IX საჭადრაკო ოლიმპიადაში. ჩვენმა მოჭადრაკეებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს (32,5 ქუ-

ლა 42-დან) და შინ წამოიღეს ვ. მენჩიკის სახელობის გარდამავალი თასი. მ. ჩიბურდანიძემ, ნ. გაფრინდაშვილმა და ნ. იოსელიანმა თავიანთ დაფებზე I ადგილები დაიკავეს. იქვე გამართულმა კონგრესმა ნ. გაფრინდაშვილი ფიდე-ს ქალთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩია.

პრეტენდენტთა ფინალურმა მატჩმა ნ. ალექსანდრიასა და ნ. იოსელიანს შორის სტარტი აიღო 1981 წლის 21 იანვარს თბილისის ჭადრაკის სასახლეში (დასრულდა 12 თებერვალს). პირველი პარტიის მოგების შემდეგ ნ. იოსელიანმა ზედიზედ ოთხი პარტია წააგო, რამაც შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ორი ყაიმის შემდეგ ახალგაზრდა დიდოსტატი კიდევ ორ პარტიაში დამარცხდა და მატჩი ვადამდე დამთავრდა ნ. ალექსანდრიას გამარჯვებით — 6,5:2,5.

ამრიგად, ნანა ალექსანდრიამ მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის თამაშის უფლება. მ. ჩიბურდანიძე — ნ. ალექსანდრიას ორთაბრძოლა 1981 წლის შემოდგომაზე გაიმართება. ეს იქნება ზედიზედ მესამე მატჩი მსოფლიო პირველობაზე ქართველი დიდოსტატების მონაწილეობით.

## თამაშობენ ჩემპიონები

მდიდარია ქალთა მსოფლიო ჩემპიონების შემოქმედებითი მემკვიდრეობა. მათ პარტიებში ხშირად შეხვდებით იერიშისა და კომბინაციის, პოზიციური ლავირებისა და ენდშპილის თამაშის კლასიკურ ნიმუშებს. საინტერესოა მათი პარტიები დიდოსტატ და ოსტატ ვაჟებთან.

გთავაზობთ ჩემპიონი ქალების პარტიებს მათივე შენიშვნებით.

### № 1. ლაზიერის გამბიტი

### სულთან ხანი — მენჩიკი

ჰასტინგსი, 1931—32 წ.

შენიშვნები ვ. მენჩიკისა.

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 d5 4. c×d5.

ცენტრში პაიკების ნაადრევი გაცვლა თეთრებს სადებიუტო უპირატესობას არ აძლევს.

4. ...e×d5 5. მf3 c6 6. ლc2 კd6 7. e3

აქ შეიძლება 7. კg5 მbd7 8. e3 0—0 9. კd3 h6 10. კh4 ეe8 11. 0—0, მაგრამ თეთრებს ჩაფიქრებული ჰქონდათ თამაშის სხვა გეგმა.

7. ...მbd7 8. კd3 0—0 9. კd2

თეთრები გრძელ როქს ამზადებენ. აქ ურიგო როდია 9. 0—0 და 10. e4.

9. .. ეe8 10. h4 მf8 11. 0—0—0

თეთრებმა განახორციელეს გრძელ როქთან დაკავშირებული გეგმა იმის იმედით, რომ მოწინააღმდეგის მეფეზე პირდაპირ იერიშს მოაწყობდნენ. მაგრამ, როგორც შემდეგ გამოჩნდა, შავებმა უფრო სწრაფად დაიწყეს აქტიური მოქმედება ლაზიერის ფრთაზე.

11. ...b5! 12. მg5

რათა გახსნას პოზიცია და e3—e4-ის გზით გააქტიუროს თავისი ფიგურები, რადგან ცუდია ერთბაშად 12. e4, 12. ...b4 13. e5 bc შემდეგ პოზიციურ უპირა-

ტესობას შავები მიიღებენ. თეთრები მაინც უნდა შერიგებოდნენ იმას, რომ მათმა იერიშმა მეფის ფრთაზე დააგვიანა და საჭირო იყო, დროის დაუკარგავად, 12. მფb1 და 13. ეc1 გზით ეზრუნათ თავისი მეფის დაცვაზე.

12. ...a5 13. e4 b4 14. მa4

არ შეიძლებოდა 14. c5, 14 ...b×c3 15. კ:c3 h6! გამო.

ცუდია აგრეთვე 14. მe2, 14. ...a4 გამო.

14. ...d×e4 15. მ×e4 მ×e4 16. კ×e4 კe6! 17. მფb1?

ამ მცდარი უკან დახევის შემდეგ შავები ფორსირებულად ლებულობენ საშიშ იერიშს, რომლისგან თეთრებს გაუჭირდებათ დამაკმაყოფილებელი დაცვის მონახვა. ალბათ, აქ თეთრებს უნდა ეთამაშათ 17. b3, და თუ 17. ...ეc8 (18. ...c5 მუქარით), მაშინ 18. მc5 კ×c5 19. b×c5. ცუდია 17. კ×c6, 17. ...ეc8 და 18. ...კd5 გამო.



17. ...b3!

მოულოდნელი დარტყმა, რომელიც ხსნის b ვერტიკალს.

18. a×b3

იძულებითია. თუ 18. ლ×c6, მაშინ 18. ...b×a2+19. მფa1 ლe7 ორი მუქარით: კd7 და კ:b3.

18. ...ეb8 19. მc5

უკვე შეუძლებელია b3 პაიკის დაცვა. ცუდია ახლა 19. კ×c6, 19. ...კ×b3 20. ლc3 კ×d1 გამო, და თეთრები ხარისხს კარგავენ, რადგან 21. კ×e8 შემდეგ მხედარი a4 დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება. უფრო უარესია 19. ლ×c6; მაგალითად, 19. ... კ×b3 20 ეde1 კa3 21. კc3 ე×e4! და თეთრები ფიგურას აგებენ, რადგან 22. ე×e4-ს მოჰყვება 22. ...კd5, თუ 22. ლ×e4, მაშინ 22. ...კ×a4.

19. ...კ×c5 20. ლ×c5 კ×b3 21. ეde1 მe6! 22. ლc3.

საშიშია 22. ლ×a5 ლ×d4 23. კc3 (ცუდია 23. კ×c6 ლd3+24. მფa1 მd4 და არ შეიძლება ეტლი e8-ს აყვანა გარდუვალი შამათის გამო: მc2+, მa3+, ლb1+ და მc2++) 23. ...ლ×f2 24. კ×c6 ლc2+ 25. მფa1 ეec8 და თეთრ ლაზიერს არ შეუძლია a ხაზის დატოვება. 22. ლ×a5-ზე შავებს სხვა ძლიერი გაგრძელება აქვთ, კერძოდ: 22. ... ლd7 და შემდეგ ეa8 მრავალრიცხოვანი მუქარით: ლa7, ეeb8, მ×d4.

ცუდია აგრეთვე 22. ლ×c6, 22. ...მ×d4 23. ლc3 ე×e4! 24. ე×e4 კc2+.

22. ...ლ×d4

უარესია აქ 22. ...მ×d4. 23. კ×h7+ მფ×h7 24. ე×e8+ ლ×e8 25. ლ×d4-ის გამო.

23. ლ×d4

აგებდა აგრეთვე 23. კ×c6 ეec8 24. ლ×d4 მ×d4 25. კe4 კc2+ 26. კ×c2 ე×c2 27. კc1 ე×f2.

23. ...მ×d4 24. f3

დაცვით 24. ...ე×e4 და 25. ..კc2+ მუქარისგან.

24. ... a4 25. კf4 ეhc8 26. კd3 მe6

შავები სწორად გაურბიან გამარტივებას, რადგან ამ შემთხვევაში თეთრებს, რომელთაც ორი კუ აქვთ, კიდევ შეუძლიათ დაცვა.

27. კe5 c5 28. კb5 ეed8 29. ეe4 მd4 30. კ×d4

მხედარს ძლიერი პოზიცია ეკავა და მისი ლიკვიდაცია აუცილებელი იყო. თუ 30. კd3, მაშინ თეთრები კიდევ ერთ პაიკს კარგავენ 30. ... მ×f3 და 31. ... ე×d3 შემდეგ. ახლა კი გამსვლელმა d პაიკმა პარტიის ბედი უნდა გადაწყვიტოს.

30. ... c×d4 31. კd3 ეb8

a4—a3! წინსვლის მუქარით.

32. მფa1 ეb4. 33. ეhe1 კe6 34. ეe5

ვერ აუმჯობესებდა მდგომარეობას 34. ე4e2-იც, 34. ...a3 35. b×a3 ეa8-ის გამო.



34. ..a3!

ლამაზი, მომგები სვლა!

35. b3

შველა აღარ არის. 35. b×a3-ზე იგებს 35. ... ეa8, ხოლო 35. ე5e2-ის შემდეგ იგებს 35. ... a×b2+ 36. ე×b2 ეa8+ 37. მფb1 ე×b2+ 38. მფ×b2 ეa2+.

35. ... ე×b3 36. კc4 ეb2 37. კ×e6 f×e6 38. ეa5

თეთრები ფორსირებულად აგებენ 38. ე×e6 შემთხვევაში 38. ... d3-ის გამო. მაგალითად, 39. ეe8+ ე×e8 40. ე×e8+ მფf7 41. ეd8 d2 42. g4 ეc2 43. მფb1 ეc1+ ან 43. ... a2+. ცუდია აგრეთვე 38. ე5e2, 38. ... ეdb8! 39. ე×e6 ე×g2 40. ეd6 ეbb2 გამო და შამათია სამ სვლაში.

38. ... d3 39. ე×a3 d2! 40. ეd1 ეc2.

თეთრები დანებდნენ, რადგან ეტლს აგებენ: 41. მფh1-ს მოჰყვება 41. ... ეdc8 და 42. ... ეc1+ მუქარისგან დაცვა არ არის — 42. ეa1 ეc1+ 43. მფb2 ეb8+ 44. მფa2 ეa8+.

## № 2. ლაზიერის გამბიტი

## მენჩიკი — გრაფი

მატჩის IV პარტია, 1937 წ.

შენიშვნები ვ. მენჩიკისა.

1. d4 d5 2. მf3 e6 3. c4 მf6 4. მc3 მbd7 5. კg5 კb4 6. c×d5 e×d5 7. e3 c5 8. კd3 ლa5 9. 0—0

პაიკის ეს შეწირვა ალიოხინის რეკომენდაციაა, მაგრამ ბევრი მას შეცდომად მიიჩნევს.

9. ... c4 10. კf5 კ×c3 11. b×c3 ლ×c3 12. ლb1

ალიოხინის სვლა, რომლის დახმარებით თეთრები იმუქრებიან პაიკის უკან დაბრუნებას 13. კ×f6-ის გზით, შემდგომ 14. კ×c8 და 15. ლ×b7. ეს სვლა მაინც აძლევს შავებს შესაძლებლობას შეინარჩუნონ კარგი პოზიცია c4-ზე ძლიერი გამსვლელი პაიკის წყალობით. თეთრები უნდა მიისწრაფოდენ ამ გაცვლისკენ, ხოლო შემდგომ უნდა მოამზადონ ან მe5, ან e4, იმასთან დაკავშირებით, როგორ გეგმასაც შავები აირჩევენ.

12. ... ლa5

სვლა, რომელიც ძალიან აქო შპილმანმა.

13. e4 d×e4 14. კ×d7+! კ×d7



15. კ×f6

უზუსტობაა, რადგან ახლა შავებს შეუძლიათ უპასუხონ 15. ... ლd5! თეთრებს უნდა ეთამაშათ 15. ლ×b7 ლd5! 16. ლ×d5 მ×d5 17. მd2, პაიკის უკან დაბრუნებით, იმიტომ, რომ თუ ახლა 17. .. მc3, მაშინ 18. მ×c4 მe2+ 19. მფh1 მ×d4 20. მd6+ და ა. შ. უკეთესი თამაშით.

15. ... g×f6

ორივე მეტოქეს გამორჩა 15. ... ლd5! ივი ადგილი დასანახი არ იყო. ამ სვლის შემდეგ შავები უპირატესობას ინარჩუნებდნენ. მაგალითად: 15. ... ლd5! 16. მe5 g×f6 17. მ×d7 მფ×d7 და თუმცა მეფემ როქის უფლება დაკარგა, შავებს ორი ზედმეტი პაიკი აქვთ. თუ 16. მd2 g×f6 17. მ×e4, მაშინ 17. ... 0—0—0 და შავებს კვლავ ყველაფერი რიგზე აქვთ. მაგრამ გაგრძელება 16. კ×g7 ეg8 17. კf6, ალბათ, ცოტა მეტს აძლევს თეთრებს, ვიდრე ზემონაჩვენები ორი ვარიანტი. აგრეთვე საინტერესოა, რომ შავებს არ შეუძლიათ უპირატესობის მიღებისთვის ითამაშონ 15. ... e×f3, რადგან მას მოჰყვება 16. ეe1+, და თუ ახლა 16. ... კe6 17. ე:e6+ f×e6, მაშინ 18. ლ×b7 ეტლის მოგებით.

16. ლ×b7 ეc8

თუ 16. ... 0—0, მაშინ 17. ლ×d7 e×f3 18. ლg4+ და 19. ლ×f3 თეთრებისთვის სარგებლით.

17. ლ×e4+ მფd8?

ბუნებრივი იყო 17. ... კe6 შემდგომი 18. ... ლd5-ით. პარტიაში გაკეთებულ სვლას წაგება მოჰყვა.

18. d5! ლa3 19. ლd4 ეg8

მუქარით როგორც 20. ... ლ×f3, ისე 20. ... კh3. შავებს არ შეუძლიათ შეინარჩუნონ პაიკი, რადგან თუ 19. ... ლd6, მაშინ 20. მg5!, თუ კი 19. ... ლe7, მაშინ 20. ეf e1 და ა. შ.

20. ლ×f6+ ლe7

იძულებითია, რადგან თუ 20. ... მფc7, მაშინ 21. ეab1, მუქარით ლf4+ და შავებს არ შეუძლიათ ლაზიერით დაცვა (ლd6) ეb7+-ის გამო.

21. ლc3!

საუკეთესო გაგრძელება, რადგან ლაზიერების გაცვლის შემდეგ შავებს ყაიმის კარგი შანსი ექნებათ მეფის ცენტრალური პოზიციისა და კh3 მუქარის წყალობით. მაგალითად: 21. ლ×e7+ მფ×e7 22. ეfe1+ მფd6 23. მe5 კe8 და უკვე შავები იმუქრებიან როგორც მფ×d5-ს, ისე f6-ს და კh5-ს.

21. ... კh3 22. მe1

ძალიან მაცდუნებელი ჩანს 22. ლa5+, რადგან 22. ... ეc7-ზე თეთრებს შეუძლიათ 23. d6!-ის თამაში, მაგრამ შავები ქიშს ლაზიერით მოიგერიებენ და ყველა სიძნელეს თავს დააღწევენ.

22. ... კf5 23. მc2 ეg6 24. მd4 ლg5 25. ლf3! კd3 26. მc6+ ეc×c6 27. d×c6 კ×f1 28. ე×f1 მფc7?

ალპათ, შეცდომაა, მაგრამ კარგი დაცვა აღარ ჩანს. მაგალითად: 28. ... ეd6 29. c7+, ან 28. ... ეf6 29. ლd1+, ან 28. ... ლg4 29.

ედ1+ მფc8 30. ლd5 და ა. შ, ადვილი მოგებით.

29. ლ×f7+ მფ×c6 30. ლ×c4+ ლc5 31. ეc1 ლ× c4 32. ე×c4+ მფh6 33. f4 h5 34. მფf2 მფh5 35. ეe4 h4 36. მფf3 ეa6 37. a4+ მფc5 38. f5. შავები დანებდნენ.

### № 3. მიღებული ლაზიერის გამბიტი

## რუდენკო — ბენინი

მსოფლიო პირველობა, 1950 წ.

შენიშვნები ლ. რუდენკოსი.

1. d4 d5 2. მf3 მf6 3. c4 d×c4 4. მc3 a6 5. a4 კf5

ალბათ, სჯობდა ჩვეულებრივი 5. ... e6 5. e3 c5.

6. e3 e6 7. კ×c4 კb4 8. 0—0 0—0 9. ლe2 კg4.

9. ... მe4-ს შეიძლება მოჰყოლოდა 10. კd3! და შავებისთვის სახიფათოა პაიკის შეწირვის მიღება.

10. ედ1 მbd7 11. e4

e4—e5-ის მუქარა შავებს აიძულებს იფიქრონ მხედრის ხელსაყრელ უკან დახევაზე.

11. ... მb6 12. კb3 h6 13. h3 კh5 14. g4!

თამაშიდან კუს გამოთიშვა და ინიციატივის განვითარებისთვის ტემპის მოგება სავსებით ანაზღაურებს პაიკთა კონფიგურაციის მცირე დასუსტებას.

14. ... კg6 15. მe5 კh7 16. f3 ლe7 17. კe3 ეfd8 18. მd3 კa5 19. ეac1 მbd7 20. ლg2

ეს უზუსტობა თეთრებმა მალე გამოასწორეს. მათ ტყუილ უბრალოდ დაკარგეს ტემპი.

20. ... მფh8 21. მc2 კh6 22. ლf2 ეac8 23. მc5

გამარტივება თითქოს თეთრებისთვის სასარგებლო ჩანდა.

23. ... კ×c5 24. d×c5 მe5 25. მd4 c6 26. კf4 მfd7 27. ლg3 ლf6 28. h4?

საჭირო იყო 28. g5! h×g5 29. კ×g5 ლg6 30. მფg2.

28. ... g5!

კარგი სვლა! მეფის ფრთის თეთრ პაიკებს უკეთდება ბლოკირება და შავები თავიანთი მხედრებისთვის ხელსაყრელ უჯრებს f4 და h4 ღებულობენ.

29. h×g5 h×g5 30. კe3 მf8 31. ეd2

დაცვის მომზადებით მუქარებისგან 31. ... მfg6 და 32. ... მh4.

31. ... მfg6 32. კd1 ეd7

32. ... მf4 33. კ×f4 შემდეგ თამაში თანაბარია.

33. კc2 ეcd8 34. ეcd1 ლe7

თუ 34. ... მh4, მაშინ 35 მფh1!

35. b4 a5! 36. b×a5 ლ×c5 37. მფf2 მf4

არაფერს იძლეოდა 37. ... ლ×a5 38. კ×g5 ან 37. ... მc4 38. კ×c4 ლ×c4 39. კ×g5. შავებს უნდა ეთამაშათ 37. ... ლe7, თანაბარი თამაშის შენარჩუნებით. ბენინიმ წამოიწყო მეტად მაცდუნებელი ლაზიერის შეწირვა.



38. მ×e6! ე×d2 39. ე×d2 ე×d2 40. კ×c5 f×e6

არ გადიოდა 40. ... ე×e2+ 41. მფf1 f×e6, 42. კd4-ის გამო.

41. მფf1 მფg7 42. კe3 ე×e2 43. კ×f4 g×f4 44. ლ×f4 ეe1+

ალბათ, შავებს ამის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს, რომ საბოლოოდ ეტლს აღარსად ექნება წასასვლელი.

45. მფg2 მf7

შავებმა არ გაითვალისწინეს თეთრების უახლოესი პასუხი, მაგრამ მაინც ვერ გადარჩებოდნენ 45. ... ეe2+ 46 მფg3 მf7 47. ლb8 შემდეგაც.

46. ლd2

ეტლი დაჭერილია!

46. ... ეb1 47. ლc2 ეa1 48. ლc3+ e5 49. ლ×a1 მფf6 50. ლa3 კg6 51. ლb4. შავები დანებდნენ.

## № 4. ჰოლანდიური დაცვა

## რუდენკო — ბორისენკო

სავარჯიშო მატჩ-ტურნირი, 1950 წ.

შენიშვნები ლ. რუდენკოსი.

1. d4 e6 2. მd2 f5 3. e4

საუკეთესო გაგრძელება პაიკთა „ჰოლანდიური წყობის" წინაალმდეგ. 2. ... f5-ის მაგიერ შავებმა უნდა ეთამაშონ 2. ... d5 ან 2. ... c5.

3. ... მf6 4. კd3 d6 5. მgf3 კe7 6. c3 0—0 7. ლc2 ლe8?

ბორისენკომ უხეიროდ გაითამაშა დებიუტი და ცდილობს პაიკის შეწირვით გაართულოს ბრძოლა. საჭირო იყო 7. ... მc8 საბოლოოდ დაცვაზე გადასვლით.

8. e×f5 e×f5 9. კ×f5

შავების ფიგურები განუვითარებელია და ამიტომ მათი მუქარა საშიში არ არის. პარტიაში გაკეთებული სვლის შემდეგ თეთრები კარგავენ როქის უფლებას, მაგრამ შავები ვერ ახერხებენ ამის გამოყენებას.

9. ... კd8+ 10. მფd1 კ×f5 11. ლ×f5 d5 12. ეe1 ლa4+ 13. b3 ლa5 14. მფc2 c5 15. b×c5 ლ×c5 16. მd4 კa5 17. კb2 ეc8

18. ეac1!

მეფისთვის თავშესაფრის უზრუნველყოფით.

18. ... მc6

ცუდია 18. ... კ×c3, 19. მფb1-ის გამო.

19. მ×c6 ე×c6 20. მფb1 კb6

ახლა უკვე მუქარა იყო 21. b4 და ა. შ.

21. ეe2 ეf8 22. ლd3 კc7

თეთრებისთვის საშიში არ იყო 22. ... მg4 23. f3 მf2 24. ლc2 ლb5 25. c4 და ა. შ.

23. g3 მe4 24. f4 მd6

სწრაფად აგებს, მაგრამ შავების მდგომარეობა უკვე უიმედოა.

25. ეe5 ლf2 26. ლ×d5+ მფh8.

კიდევ იყო: 27. ეh5 კb6 28. ლd3 g6 29. c4+ (კიდევ უფრო მარტივი იყო 29. ლ×g6) 29. ... მფg8 30. ეd5 მf5 31. ეd7 ეf7 32. მe4 ლ×h2 33. მg5 ე×d7 34. ლ×d7. შავები დანებდნენ.

### № 5. სიცილიური დაცვა

## ბიკოვა—ტრენმერი

მსოფლიო პირველობა, 1950 წ.

შენიშვნები ე. ბიკოვასი.

1. e4 c5 2. მc3 მc6 3. g3 g6 4. კg2 კg7 5. d3 d6 6. მge2 კd7 7. კe3 მd4 8. h3 ლc8 9. ლd2 ეb8 10. g4 b5

ნაადრევი აქტივობა. უფრო ფრთხილი იყო 10. ... მf6 და შემდეგ როქი. ახლა შავები ჩამორჩებიან განვითარებაში.

11. მg3 b4 12. მd1 კc6

უკეთესი იყო 12. ... e6, შემდეგ მe7 და 0—0, d6—d5-ის მომზადებით.

13. c3

მეფის ფრთაზე აქტიური მოქმედების დაწყებისთვის აუცილებელია მხედარი d4-ის განდევნა.

13. ... b×c3 14. b×c3 მb5 15. f4 e5?

სუსტი სვლა, რომელიც თეთრებს უადვილებს იერიშს. მაინც უკეთესი იყო 15. ... მf6.

16. f5 მf6 17. g5 მd7 18. 0—0 მb6

18. ... 0—0 19. f6-ის შემდეგ შავებს კუს გარეშე მოუწევდათ თამაში.

19. ლf2 ლd7 20. a4

თეთრები უტევენ ლაზიერის ფრთაზეც, ამრიგად, მთელ დაფას ეუფლებიან.

20. ... მc7 21. a5 მc8 22. c4 მa6 23. ლd2

უფრო ენერგიული იყო 23. კf3 შემდგომი კg4-ით

23. ... კf8 24. f6 ეb3 25. მc3 ლc7 26 ეfb1

ამ შემთხვევაში თეთრებმა მოუსპეს შავებს b ხაზზე თამაშის შესაძლებლობა.

26. ... ე×b1+ 27. მ×b1 მb4

(იხ. დიაგრამა)



თეთრების უპირატესობა აშკარაა: შავების მეფე დაყოვნდა ცენტრში, ხოლო მსუბუქი ფიგურები დიდი ხნით რჩებიან თამაშიდან გამოთიშული.

28. მc3 a6 29. მge2

ცაიტნოტში დროის დაკარგვა.

29. ... ლd8 30. მg3 h6 31. მd5 კ×d5 32. e×d5 h×g5 33. კ×g5 მa7 34. მფh2 ლc8 35 კf1

სამიში ჩანდა 35. h4 ლg4 36. კh3 ე×h4!? 37. კ×h4 ლ×h4 38. ლd1 კh6 39. ლa4+ მფf8 შავებისთვის ხელსაყრელი გართულებებით. მაგრამ თეთრებს რომ გაეგრძელებინათ 38. მe4 კh6 39. ლc2, ალბათ, იერიშს მოიგერიებდნენ.

35. ... ლg4 36. მc4 ლf3 37. ლg2 ლ×g2+ 38. მფ×g2 მფd7 39. კe2 კh6 40. მფg3 კ×g5 41. მ×g5.

შავების მდგომარეობა არასახარბიელოა. ეტლი და მხედარი თამაშიდან გამოთიშული არიან, ხოლო ერთადერთმა აქტიურმა ფიგურამ (მb4) ბლოკადაში უნდა მოაქციოს b ხაზი.

41. ... მფc7

თუ 41. ... მფe8, მაშინ 42. ეb1 მc8 43. კg4 მa7 44. d4! და ცუდია 44. ... e×d4, 45. ეe1+-ის გამო-

41. ... ეf8 შემთხვევაში თეთრები b3-ზე გადაიყვანდნენ ეტლს, g4-ზე კუს და პარტიის ბედს h პაიკის წინსვლით გადაწყვეტდნენ.

42. ეb1 მფd7 43. კg4+ მფc7 44 მ×f7 ეf8 45. კe6 მc8

თუ 45. ... მ×d3, მაშნი 46. ეb6.

46. ეd1

მარტივი იყო ერთბაშად 46. ეb3.

46. ... მc2 47. ეb1 მb4 48. ეb3. შავები დანებდნენ. თუ 48. ... მc2, მაშინ 49. კ×c8! ე×c8 (49. .. ე×f7 50. ე×b7+ ან 49. ... მფ×c8 50. მ×d6+ და 51. მc4) 50. ეb6.

## № 6 ესპანური პარტია

## ბიკოვა – ლაზარევიჩი

დალონ-ტურნირი, 1960 წ.

შენიშვნები ე. ბიკოვასი.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 f5 4. d3

როგორც ცნობილია, აქ უფრო აქტიურია 4. მc3, მაგრამ ეს მოკრძალებული სვლაც სავსებით მისაღებია.

4. ... f×e4 5. d×e4 მf6 6. 0–0 d6 7. კg5 კe7 8. მc3 0–0

შავები პაიკს სწირავენ და იერიშის კარგ შესაძლებლობას ღებულობენ.

9. კ×f6 კ×f6 10. ლd5+ მფh8 11. კ×c6 b×c6 12. ლ×c6 კg4 13. მd2 კg5 14. მc4 კf4 15. მe3 კd7 16. ლc4 ლg5 17. ლe2 კh3

ერთი შეხედვით თეთრების პოზიცია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, თითქმის შავების ყველა ფიგურა მეფის ფრთაზეა თავმოყრილი.

18. მფh1

უკუაგდებს შავების მუქარას. შესაძლებელია, რომ მე-17 სვლაზე უფრო ძლიერი იყო 17. ... ეf6 ეტლის h6-ზე გადაყვანით.

18. ... კ×e3 19. f×e3

პარტიის შემდეგ გაირკვა, რომ ლაზარევიჩი ფიქრობდა 19. g×h3 სავალდებულო იყო. ახლა შავების იერიში მოგერიებულია და თეთრები ზედმეტ პაიკს ინარჩუნებენ.

19. ... კg4 20. ლd2 h6 21. ეf2 ე×f2 22. ლ×f2 c6 23. ეf1 კe6 24. ლf3 ეd8 25. h3 d5 26. b3 d4 27. e×d4 ე×d4 28. ეf2 მფh7 29. მფh2 ეd2 30. ლg3

ეტლების გაცვლა იძულებითია და პარტია ფორსირებულად გადადის თეთრებისთვის ხელსაყრელ ენდშპილში.

30. ... ეXf2 31. ლXf2 ლe7

31. ... ლc1-ს მოჰყვებოდა 32. ლXa7 ლXc2 33. ლc5, c6 ან e5 პაიკის მოგებით.

32. მa4 კf7 33. მc5 კg6 34. ლe3 a5 35. a4 ლh4 36. c3 ლe7 37. b4 ლa7 38. ლd3 aXb4 39. cXb4 ლf7 40. a5 ლf4+ 41. ლg3 ლd2 42. ლXe5 ლXb4 43. a6 ლb6 44. მe6 ლa7 45. მf8+ მფg8 46. მXg6 ლXa6 47. ლe8+ მფh7 48. მe7 ლa2 49. ლg6+ მფh8 50. ლXc6 ლb3 51. ლd5 ლb8+ 52. e5 ლe8 53. ლe6 მფh7 54. ლf5+ g6 55. ლf6 h5 56. მფg3 მფh6 57. მf5+. შავები დანებდნენ.

## № 7. სიცილიური დაცვა

## რუბცოვა — კარფი

მსოფლიო პირველობა, 1950 წ.

შენიშვნები ო. რუბცოვასი.

1. e4 c5 2. მf3. d6 3. d4 cXd4. 4. მXd4 მf6 5. მc3 g6 6. კe3 კg7 7. f3 0—0 8. ლd2 ეc8 9. g4.

მეფის ფრთაზე თეთრები მძაფრ იერიშს იწყებენ. შავებისთვის ეფრო ძნელია კონტრთამაშის განვითარება ლაზიერის ფრთაზე, რადგან თეთრებს ჯერ როქი არ გაუკეთებიათ. ამიტომ შავები დაცვით კმაყოფილდებიან.

9. ... მc6 10. h4 მd7

ძალიან პასიურია. საჭირო იყო 10. ... h5-ის თამაში.

11. h5 მf8 12. hXg6 fXg6 13. კc4+

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოწვეულ იქნას პაიკი e6-ზე, სადაც იგი ხელს შეუშლის საკუთარ ფიგურებს და d6 უჯრას დაასუსტებს.

13. ... e6 14. 0—0—0 მe5 15. კe2 a6

ხელს უშლის მdb5-ს d6 პაიკის მოგებით და თამაშს ამზადებს ლაზიერის ფრთაზე.

16. f4 მf7 17. f5 eXf5 18. gXf5 b5 19. ეdg1 კb7 20. fXg6 hXg6 21. კd3 მe5 22. კh6

ანადგურებს შავი მეფის უკანასკნელ დამცველებს.

22. ... მXd3+ 23. ლXd3 კXh6+24. ეXh6 ლf6 25. მფb1 ეc7

25. ... ლf2-ს მოჰყვებოდა 26. ეhh1! მუქარით ლh3.

26. მf5 ეh7 27. მd5

თეთრების ყველა ფიგურა თავს დაესხა შავი მეფის პოზიციას. რა თქმა უნდა, შავებს არ შეუძლიათ მხედრის აყვანა d5-ზე ეტლის დაკარგვის გამო.

27. ... ლc5 28. ეXh7 მფXh7 29. ლh3+

ალბათ, არც 29. მde7 იყო ადვილი შამათის მუქარით 30. ლh3, 29. ... gXf5-ის შემდეგ. შავები ითამაშებდნენ 29. ... ლh2! და თუ 30. ლd4, მაშინ 30. ... მe6 31. ეXg6 ლXc2+! ამ შემთხვევაშიც თეთრები ძლიერ იერიშს ინარჩუნებდნენ, თუ 31. ეXg6-ის ნაცვლად 31. ლf2! ითამაშებდნენ, მაშინ 31. ... ლh5-ის შემდეგ შავებს კიდევ შეეძლოთ დაცვა.

29. ... მფg8 30. მde7+ მფf7

(იხ. დიაგრამა)



31 .მXg6 ლc5

რა თქმა უნდა, არ შეიძლება 31. ... მXg6, 32. ლh7+ და ეXg6.

32. ლg3 მფc6 33. მf4+ მფd7 34. ეd1 კXc4 35. ლg7+ მფc6 36. ეXd6+

ეს იგებს ლაზიერს ეტლში, რადგან 36. ... ლXd6 37 მXd6 მფXd6 მოჰყვება 38. ლd4+.

36. ... ლXd6 37. მXd6 ეd8 38. ლb7+ მფXd6 39. ლXe4 მფc7 40. c3 ეd6 41. მd5+ მფc6 42. მf6+ მფc5.

აქ პარტია გადაიდო, მაგრამ შავები დანებდნენ თამაშის განუახლებლად.

## № 8. უფიმცევის დაცვა

## რუბცოვა — რუდენკო

მსოფლიო პირველობა, 1956 წ.

შენიშვნები ო. რუბცოვასი.

1. e4 d6 2. d4 მf6 3. მc3 c6

განვითარების ეს სისტემა შავებს მძიმე თამაშს აძლევს.

4. f4 g6 5. კe2 კg7 6. კe3

სწორი იყო 6. მf3, შემდეგ 7. 0—0, e4—e5-ის განხორციელების სწრაფვით.

6. ... ლa5 7. კf3 e5

ამ გზით შავები ეუფლებიან e5 უჯრას, მაგრამ ახლა მათ გაუ-

ჭირდებათ როქის გაკეთება. უკეთესი იყო 7. ... 0—0.

8. d×e5 d×e5 9. ლd6 მbd7 10. მge2 e×f4 11. კ×f4 ლc5 12. 0—0—0 ლ×d6 13. კ×d6

ლაზიერების გაცვლა რამდენადმე ამსუბუქებს შავების მდგომარეობას, მაგრამ მათი პოზიცია მაინც შებოჭილი რჩება. კუ კარგადაა განლაგებული d6-ზე და თეთრები გადამწყვეტი გარღვევით (e4—e5 და შემდეგ e5—e6-ით) იმუქრებიან.

13. ... h5!

13. ... მb6-ს შეიძლება მოჰყოლოდა 14. მd4 კd7 15. e5 მfd5 (თუ 15. ... მg4, მაშინ 16. e6! და თეთრები იგებენ) 16. მe4 თეთრებისთვის შესანიშნავი თამაშით.

14. h3 მh7 15. მd4 კe5 16. კa3 a6 17. კe2

თეთრები იმუქრებიან e5 უჯრიდან შავი კუს განდევნით.

17. ... მhf6 18. მf3!



პაიკის შეწირვით, რომლის მიღების შემთხვევაში თეთრები სახიფათო ინიციატივას დაეუფლებიან.

18. ... კ×c3

ალბათ, შავებმა თეთრების წინა სვლა უხეშ შეცდომად მიიჩნიეს. წინააღმდეგობის უკეთეს შანსს იძლეოდა 18. ... კf4+ 19. მფb1 b5.

19. b×c3 მ×e4 20. ეhe1! f5

არ შეიძლებოდა 20. ... მ×c3 21. კc4+ მფd8 22. კh2 მ×d1 23. კ×h8 მf2, 24. კd4-ის გამო და თეთრები იგებენ.

21. კd3 მdf6 22. მg5 ეg8

არ შველის აგრეთვე 22. ... კd7 23. მ×e4 f×e4 24. კ×e4 მ×e4 25. ე×e4+ მფd8 26. ეe7.

23. კ×e4 მ×e4 24. მ×e4 f×e4+ 25. ე×e4+ მფf7

მნიშვნელოვანი გამარტივების მიუხედავად, თეთრები სახიფათო იერიშს ინარჩუნებენ.

26. ეe7+ მფf6 27. ეf1+ მფg5 28. კd6 b5

28. ... კf5-ზე თეთრებს შეეძლოთ ეთამაშათ 29. ეef7 მუქარით 30. კf4+ მფh4 31. ეh1!

29. ეh7

ამ გზით თეთრები ხარისხს იგებენ, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი იყო 29. ეef7! მაშინ 29. ... კf5-ზე იქნებოდა 30. კf4+, ხოლო 29. ... მფh4-ის შემთხვევაში 30. ე1f4+ მფg5 31. h4+ მფh6

32. ეf6 და შავებმა, შამათს თავი რომ დააღწიონ, უნდა ითამაშონ 32. ... ეg7 და ეტლს ჰკარგავენ.

29. ... ეe8 30. კc7+ ე×e7 31. ე×e7 კf5

როგორც იქნა, შავების ლაზიერის ფრთის ფიგურები ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ პარტიის ბედი უკვე გადაწყვეტილია. დანარჩენი შენიშვნებს არ საჭიროებს.

32. ეe5 ეd8 33. g3 ეd6 34. ეfe1 a5 35. a4 b×a4 36. ე×a5 მფf6 37. h4 a3 38. ე×a3 g5 39. ეa8 g×h4 40. g×h4 კg4 41. ეf8+. შავები დანებდნენ.

## № 9. ესპანური პარტია

## გაფრინდაშვილი—ტარიანი

აშშ-ს ქალთა ღია პირველობა, 1977 წ.

შენიშვნები ნ. გაფრინდაშვილისა.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. d4

ნაკლებად ცნობილი ვარიანტი, რომელიც თეთრებს მცირე უპირატესობას აძლევს.

5. ... e×d4 6. 0—0 კe7 7. ეe1 0—0 8. e5 მe8 9. კf4 f6 10. კ×c6 d×c6 11. ლ×d4 ლ×d4 12. მ×d4 f5!?

ახალი სვლაა. პრაქტიკაში ცნობილია სამი გაგრძელება: 12. ... g5, 12. ... კc5, 12. ... c5. აქ კარგა ხნით ჩავფიქრდი. საჭირო იყო თამაშის გეგმის არჩევა. შავების პოზიციის მინუსია e8 მხედრის მძიმე მდგომარეობა. სამაგიეროდ, შავები g7—g5-ით იმუქრებიან, რომლის დაშვებაც არ შეიძლება.

13. მf3 h6 14. h4. კe6 15 მc3 c5 16. ეad1 c6 17. მa4

ხელს უშლის შავებს თამაშში მხედრის შემოყვანაში.

17. ... b5 18. მb6 ეd8

უკეთესი იყო 18. ... ეa7, თუმცა 19. a4 და მერე c4-ის შემდეგ თეთრებს მაინც უკეთესი პოზიცია აქვთ.

19. ე×d8 კ×d8 20. მd7!



მხედრის დროებითი შეწირვით. ამ კომბინაციის საშუალებით

თეთრები საგრძნობლად იუმჯობესებენ პოზიციას. საინტერესოა, რომ მანამდე ტარიანს ორჯერ გამოუყენებია ეს ვარიანტი. ერთ პარტიაში მისმა მეტოქემ e პაიკით მე-13 სვლაზე ითამაშა, მეორეს — იუგოსლაველ ვუიკოვიჩს ჰასტინგსის ტურნირში საერთოდ გამორჩა მხედრის შეწირვის შესაძლებლობა და შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ამიტომ ჩემი სვლის შემდეგ ამერიკელი დიდოსტატი ღრმად ჩაფიქრდა.

20. ... კ×d7 21. e6 კc8 22. e7 კ×e7 23. ე×e7 მf6 24. ეa7

არ ვჩქარობ პაიკის უკან დაბრუნებას. მთავარია ეტლის შენარჩუნება.

24. ... ეe8 25. კe3 c4 26. კd4 f4 27. c3 მფf8

შავებს დიდი არჩევანი როდი აქვთ.

28. ეc7 მg4

ტარიანი ვერ იცავს c6 პაიკს, ამიტომ ცდილობს g7 პაიკის დათმობით პოზიციის გააქტიურებას.

29. კ×g7+ მფg8 30. მe5!

ძალიან ძლიერი სვლაა, რომელიც ამარტივებს თამაშს და უფრო ნათელს ხდის თეთრების უპირატესობას.

30. ... მ×e5 31. კ×e5 ე×c5 32. ე×c8+ მფg7 33. ეc7+

საჭიროა სიზუსტე. თეთრები იგებენ პაიკს დროის დაუკარგავად.

33. ... მფg6 34. ე×c6+ მფh5 35. მფf1 a5 36. ეf6 მფg4 37. ე×h6 ეd5 38. მფe2 ეe5+ 39. მფd2 ეd5+ 40. მფc2 ეe5 41. ეg6+ მფ×h4 42. მფd2 b4 43. ეc6 b×c3+44. b×c3 ეb5 45. ე×c4 ეb2+

აქ პარტია გადაიდო. შავებს უიმედო პოზიცია აქვთ.

46. მფe1 მფg5 47. a4 მფf5 48. მფf1 ეa2 49. f3 ეa1+ 50. მფf2 მფg5 51. ეd4 ეa3 52. ეc4 ეa1 53. მფe2

ირკვევა, რომ არ შეიძლება 53. ეc5+ მფh4 54. ეf5 ეa2+ 55. მფg1 ე×g2+ და პატია.

53. ... ეg1 54. მფd3 და რამდენიმე სვლაში შავები დანებდნენ.

## № 10. სიცილიური დაცვა

## გაფრინდაშვილი— შამკოვიჩი

აშშ-ს ვაჟთა ღია პირველობა, 1977 წ.

შენიშვნები ნ. გაფრინდაშვილისა.

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 c×d4 4. მ×d4 a6 5. კd3 მf6 6. 0—0 d6 7. f4 კe7 8. მფh1 მbd7 9. მd2 ლc7 10. მ2f3 0—0 11. ლe2

შეიძლება ეს გაგრძელება უმ-

ლიერესი არ იყოს, მაგრამ მხედველობაში მქონდა დიდოსტატ შამკოვიჩის საუცხოო თეორიული მომზადება და გატკეპნილ გზას გადავუხვიე.

11. ... მc5 12. e5 მ×d3 13. ლ×d3 d×e5 14. f×e5 მd7



შეიქმნა სიცილიური დაცვისთვის დამახასიათებელი ტიპიური პოზიცია. მე განვახორციელე პროგრამული წინსვლა — e4—e5, სამაგიეროდ შავებმა გამიცვალეს ძლიერი კუ და დაცვის შესაძლებლობაც მიიღეს.

15. კf4 b5 16. ეae1 მc5

საჭირო სვლაა, რადგან თეთრები მg5-ით იმუქრებიან.

17. ლe3 კb7 18. მg5

მინდა გამოვიწვიო h7—h6, რაც შავებს დაუსუსტებს მეფის ფრთას და h6-ზე კუს შეწირვის იდეას წარმოშობს.

18. ... ლd7 19. ეd1 ლd5 20. მdf3!?

საინტერესო სვლაა. ორი პაიკის შეწირვით მტკიცედ ვეუფლები ინიციატივას.

20. ... ლ×a2 21. b4 კ×g5 22. მ×g5 ლ×c2 23. ლh3

არ ვარგა 23. ეd2, 23. ... ლc4-ის გამო.

23. ... h6 24. b×c5 h×g5 25. კ×g5 ლg6?

შამკოვიჩს აუცილებლად უნდა აეყვანა c5 პაიკი, თუმცა 26. კf6-ის შემდეგ თეთრების იერიში გრძელდებოდა.

26. კe7 ეfe8 27. კd6 კe4 28. ეf4

h4-ზე მისვლის მუქარით.

28. ... კf5 29. ლf3 ლh6 30. ეf1 a5 31. c6 b4

პაიკის ნაკლებობის მიუხედავად თეთრებს უპირატესობა აქვთ გამსვლელი პაიკისა და მეფისფრთაზე სახიფათო იერიშის სახით.

32. c7 ლg6 33. ეc1 ეac8 34. ეa1 კc2 35. ე×a5 b3 36. ეb5 ლh6 37. h3 ლg6 38. მფh2 ლg5 39. ე×f7 კe4 40. ე×g7+! მფ×g7 41. ლ×e4 ლf5 42. ლe3 მფf7 43. ეb4 b2 44. ე×b2 მფg7 45. ეf2 ლh5 46. ეf4 ეh8 47. ლg3+

შავები დანებდნენ ლაზიერის გარდუვალი დაკარგვის გამო.

## № 11. ბერდის დებიუტი

## ლაზარევიჩი— გაფრინდაშვილი

პრეტენდენტთა ტურნირი, 1961 წ.



ეს პოზიცია შეიქმნა მძაფრი თამაშის შემდეგ: 1. f4 c5 2. მf3 g6 3. e3 კg7 4. d3 e6 5. კe2 მe7 6. 0—0 მbc6 7. e4 d6 8. c3 0—0 9. კe3 ეb8 10. d4 f5! 11. e5 c×d4 12. c×d4 მd5 13. კc1 კh6 14. g3 d×e5 15. d×e5 b5 16. მc3 ლb6+ 17. მფg2 ეd8 18. მ×d5 ე×d5 19. ლb3 კf8 20. კe3 კc5 21. კ×c5 ლ×c5 22. ეfd1 მe7 23. ეac1 ლb6 24. ე×d5 მ×d5 25. ლ×b5.

ბოლო სვლით ლაზარევიჩი, ალბათ, გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ პაიკს იგებდა: 25. ... ლ×b5 26. კ×b5 ე×b5 27. ე×c8+ ან 26. ... a6 27. კe2 კd7 28. b3. მაგრამ გაფრინდაშვილი ადვილად იბრუნებდა უკან პაიკს 25. ... ლ×b5 26. კ×b5 მe7-ის შემდეგ, მაგრამ მას ხიბლავს კომბინაციური ქარტეხილი, რასაც დიდი ორომტრიალი მოჰყვება.

25. ... ლe3! 26. ლ×b8

ლაზარევიჩი გაბედულად აჰყვა ნონას, რადგან ამჯერად შავებმა უაღრესად ზუსტად უნდა ითამაშონ, რომ ხიფათში არ გაებან. 26. ლe8+ მფg7 27. ეc7+ მ×c7 28. ლe7+ მფg8 29. ლd8+მფg7 მხოლოდ ყაიმს იძლეოდა. ცუდი იყო 30. ლ×c7+? მფh6 31. ლ×b8 ლ×e2+ 32. მფh3 მფh5! ან 32. მფg1 კa6 და შავები იგებენ.

26. ... ლ×e2+ 27. მფh3

ნონა ძნელი ამოცანის წინაშეა. მაცდურია 27. ... მ×f4+, რადგან 28. მფh4! მg2+ 29. მფg5 ლe3+ 30. მფf6 ლ×c1 31. ლ×a7 ლh6 32. ლf7+ შემდეგ შამათია. შამათი მოჰყვებოდა აგრეთვე 27. ... ლ×f3-ს: 28. ე×c8+ მფg7 29. ეg8+ მფh6 30. ე×g6+ hg 31. ლh8++, ან 30. ... მფ×g6 31. ლg8 მფh6 32. ლg5++.

27. ... მფg7! 28. ლ×a7+

ლაზარევიჩს შეეძლო გამოეწვია ყაიმი 28. ე×c8 მ×f4+ 29. მფh4 (და არა 29. g×f4 ლf3+ შამათით) 29. ... მg2+ 30. მფh3

მf4+, მაგრამ იგი მოგებაზე თამაშობს.

28. ... მფh6 29. ლa3 მფh5

შესანიშნავი სვლაა. ცუდი იყო 29. ... მe3, 30. ეe1 ლg2+ 31. მფh4 გამო. ახლა გაფრინდაშვილი იმუქრება 30. ... კa6 და 31. ... ლf1+ შამათით.

30. ეe1?

სერიოზული შეცდომა. დიდოსტატ ი. ბოლესლავსკის აზრით. სწორი იყო 30. ეg1. მას მთავარ გაგრძელებად ასეთი ვარიანტი მოჰყავს: 30. ... g5! 31. f×g5 კa6 32. g4+ f×g4+ 33. ე×g4 ლf2 34. ეh4+ (არ შეიძლებოდა ლაზიერით a6-ს კუს აყვანა ორ სვლაში შამათის გამო) 34. ... მფg6 35. ეh6+ მფg7 36. ლ×a6 ლ×f3+ ყაიმით. ახლა ლაზარევიჩი აგებს.

30. ... ლf2 31. ლd3 კa6! 32. ლd1 მe3! 33. ე×e3 კf1+

ლაზარევიჩი დანებდა.

ღრმაშინაარსიანი და შთამბეჭდავი პარტიაა.

## № 12. სიცილიური დაცვა

## ჩიბურდანიძე—როდრიგესი

ბარსელონა, ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, 1979 წ.

შენიშვნები მ. ჩიბურდანიძისა.

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 c×d4 4. მ×d4 მf6 5. მc3 a6 6. a4

ასე ითამაშა ჩემს წინააღმდეგ ე. ახმილოვსკაიამ პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის (ტალინი, (1977 წ.) პირველ პარტიაში.

6. ... მc6 7. კe2 e6. 8. 0—0 კe7 9. კe3 ლc7 10. f4 0—0

სვლების გადაადგილებით შეიქმნა შევენინგენის სისტემის ძირითადი ვარიანტის პოზიცია.

11. მფh1 კd7 12. მb3 b6 13. კf3 ეfd8

აქ ჩვეულებრივ 13. ... ეab8 თამაშობენ.

14. ლe2 კe8 15. g4 მd7 16. g5 კf8 17. კg2 მb4

ეს უხეირო სვლა თეთრებს თვალშესავლები უპირატესობის მიღების შესაძლებლობას აძლევს. საერთოდ, შავების გეგმა, რომელიც 13. ... ეfd8 და 16. ... კf8 სვლებთანაა დაკავშირებული, პასიურია და არ შეესაბამება სიცილიურისთვის დამახასიათებელ „ნაგებობებს“. იქნებ დიდოსტატი როდრიგესი ფიქრობდა „საკუთარ თავზე ცეცხლის გამოწვევას“. რომ ტაქტიკურ გართულებებში შემხვედრი შანსი მიეღო.

18. f5! მc5

თუ 18. ... მe5, მაშინ 19. f×

e6 f×e6 20. ლf2 ორმაგი მუქარით h6-ზე და f8-ზე.

19. f×e6 f×e6 20. კh3 კd7

20. ... კf7-ზე ვფიქრობდი ეტლების გაორებას f ხაზზე, ხოლო 20. ... ლe7-ის შემთხვევაში ძალიან ძლიერი იყო 21. ლc4.

21. g6! h×g6

ალბათ, გადამწყვეტი შეცდომა. აუცილებელი იყო 21. ... მc6 და 22 g×h7+-ზე მეფით h8-ზე თამაში. შემდეგ e5-ზე მხედრის გადაყვანით შავებს შეეძლოთ თეთრებისთვის ამოცანის გართულება. ახლა კი ბრძოლა ფორსირებულ ხასიათს ღებულობს.



22. ლc4! მ×c2 23. კ×c5 d5

იძულებითი სვლა. უცებ აგებს 23. ... მ×a1, 24. კ×e6+ შემდგომი ეf3-ით, ხოლო ცუდია 23. ... ლc8, 24. ეac1 მe3 25. ე×f8+ ე×f8 26. ლe2 გამო და მხედარი დაჭერილია. რა თქმა უნდა, თეთრებმა უნდა გაიმარჯვონ, რაკი შემტევი პოზიცია და ეტლში ორი ფიგურა აქვთ.

24. e×d5 მ×a1

24. ... კ×c5-ს მოჰყვებოდა 25. ლe4

25. ლe4 e5 26. d6! კ×d6

არ შველის 26. ... ლc6-იც, 27 კe6+-ის გამო და შემდეგ 28. კd5 მუქარით 29. ლh4+,+. 26. ... კc6-ის შემდეგ კი იგებს 27. კe6+ მფh7 28. მd5.

27. ლc4+ მფh7 28. ლh4+ მფg8 29. კg2!

ისევ შამათის მუქარაა, მაგრამ უკვე მეორე მხრიდან — 30 კd5+. დაცვის ცდა 29. ... კe6-ით არაფერს იძლევა 30. მd5-ის გამო. მხედრით ეს სვლა იგებს პარტიაში სვლის შემდეგაც.

29. ... კc6 30. მd5 ლb7 31. ლc4 მფh8 32. ეf3 კ×c5 33. ეh3+ მფg8 34. მe7+ მფf8 35. მ×g6+ მფe8 36. ლe6+. შავები დანებდნენ.

## № 13. ესპანური პარტია

## ჩიბურდანიძე— გაფრინდაშვილი

ლონის-როსტოვი, 1980 წ.

შენიშვნები მ. ჩიბურდანიძისა.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 f5 ასე მეთამაშა 6. გაფრინდაშვილი ჩვენი მატჩის პირველ პარტიაში. მაშინ ვუპასუხე 4. d3.

4. მc3 მd4

იანიშის გამბიტის ეს ვარიანტი საფუძვლიანად დაამუშავეს ბულგარელმა მოჭადრაკეებმა. მათი აზრით თეთრები უკეთეს თამაშს ღებულობენ. ჩემი სვლა ახალი გაგრძელება აღმოჩნდა.

5. 0–0 მ×b5 6. მ×b5 f×e4?!

პარტია გაუკვალავი გზით მიმდინარეობს. შავები თამამად თამაშობენ და ფიქრობენ საჭირო ტემპების მოგებას თეთრ მხედრებზე თავდასხმით. მშვიდობიანი იყო 6. ... d6, მაგრამ 7. e×f5 კ×f5 8. d4 e4 9. მg5 c6 10. მc3 d5 11. f3 შემდეგ თეთრები ინიციატივას ეუფლებიან.

7. მ×e5 მe7

აქ შეიძლებოდა 7. ... მf6 ან 7. ... g6, მაგრამ თეთრები მაინც უკეთეს პოზიციას ღებულობდნენ. მაგალითად, 7. ... მf6 8. მg4! კe7 9. მ×f6+ კ×f6 10. ლh5+ g6 11. ლc5 პაიკის მოგებით.

8. ლh5+ g6 9. ლh4 კg7 10. ლf4!

(იხ. დიაგრამა)



აქ პაიკის მოგება შეიძლებოდა, მაგრამ სამაგიეროდ შავები აქტიურ თამაშს მიიღებდნენ: 10. ლ×e4 0–0 11. d4 d6 12. მf3 კf5. გაკეთებული სვლა კი შავებს როქის შესაძლებლობას ართმევს.

10. ... ეf8 11. ლ×e4 d6

თეთრებს 11. ... a6 12. მd4 c5 13. მf3 d6 14. მd3 კf6 შემდეგაც უპირატესობა აქეთ.

12. მf3 კf5

უკეთესი იყო 12. ... d5! 13. ლe3 a6 14. მbd4 ლd6. ამჯერად თეთრები ახერხებენ კუზე b5 მხედრის გაცვლას და ნათელ უპირატესობას ღებულობენ.

13. ლc4 c6 14. მbd4 d5 15. ლe2 ლd7 16. მ×b5 ლ×f5 17. ეe1 კf6?

აშკარა შეცდომა. შეუპოვარი იყო 17. ... ეf7 18. d4 კf6. თეთრები დაუყოვნებლივ იჭრებიან მხედრით მეტოქის ბანაკში. პარტიის ბედი გადაწყვეტილია.

18. მd4 ლd7 19. მe6 ეf7 20. d4 ეc8. 21. c3 b6 22. კg5 c5 23. კ×f6 ე×f6 24. ლe5. შავები დანებდნენ.

## № 14. სიცილიური დაცვა

## ჩიბურდანიძე— ტუკმაკოვი

სსრ კავშირის ვაჟთა 48-ე ჩემპიონატის I ლიგა, ტაშკენტი, 1980 წ.

შენიშვნები მ. ჩიბურდანიძისა.

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 c×d4. 4. მ×d4 მf6 5. მc3 a6 6. კg5

ვიცოდი, რომ დიდოსტატი ვ. ტუკმაკოვი ამ სისტემის კარგი მცოდნე იყო. ხშირად მიმართავდა მას. ამიტომ მაინტერესებდა მასთან ამ დებიუტის თამაში.

6. ... e6 7. f4 ლc7 8. ლf3 b5

აქ თამაშობენ 8. ... მbd7 9. 0—0—0, რაც კარგადაა ცნობილი თეორიაში. ტუკმაკოვი ამჯობინებს უფრო გამომწვევ გაგრძელებას.

9. 0—0—0 b4 10. e5 კb7 11. ლh3 d×e5 12. f×e5

ამ პოზიციაში თეთრები ფიგურას სწირავენ — 12. მcb5 და იერიშზე გადადიან. მე პაიკის აყვანა უფრო ძლიერ გაგრძელებად მივიჩნიე.

12. ... ლ×e5 13. კ×f6 ლ×f6

ყურადღებას იმსახურებს 13. ... g×f6 14. მcb5!

ეს შეწირვა უფრო ეფექტურია, ვიდრე მე-12 სვლაზე. თუ 14. ... a×b5, მაშინ 15. კ×b5+ მფe7 16. ლg3 და c7-დან ქიშის მუქარის მოგერიება დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

14. ... კc5

შავები ფიქრობენ 15. მc7+ მფe7 16. მ×a8 შემდეგ 16. ... კ×d4-ით კარგი პოზიციის მიღებას, მაგრამ თეთრები იერიშს განაგრძობენ.



15. მ×e6

თეთრები მეორე მხედარსაც სწირავენ და გადამწყვეტ უპირატესობას აღწევენ.

15. ... a×b5

თუ 15. ... f×e6, მაშინ 16. ლh5+ g6 17. მc7+ და შემდეგ 18. ლ×c5.

16. კ×b5+ მc6

თუ 16. ... მფe7, მაშინ 17. მ×c5 ლg5+ 18. მფb1 ლ×c5 19.

ეh e1+ მფf6 20. ლh4+ შამათით რამდენიმე სვლაში.

17. კ×c6+

თუ 17. მ×c5, მაშინ 17. ... 0—0 18. მ×b7 ლg5 19. მფb1 ლ×b5.

17. ... კ×c6 18. მc7+ მფf8 19. მ×a8 ლf4+ 20. მფb1 ლb8

თითქოს შავები მხედარს უკან იბრუნებენ, მაგრამ

21. ეhf1

მუქარით 22. ლf5 ან 22. ლe6.

21. ... კe7

აგებდა აგრეთვე 21. ... ლ×a8 22. ლf5 ლa7 23. ეd8+ კe8 24. ეe1 კe7 25. ე×e8+ და 21. ... კ×a8 22. ლe6 f6 23. ე×f6+.

22. ლe6

შავები დანებდნენ, რადგან 22. ... კe8 23. მh6 შემდეგ იგებს 24. მd7+.

## სარჩევი


| | |
|---|---|
| სათავეები | 3 |
| ვერა მენჩიკის ტრიუმფი | 8 |
| კვლავ უძლეველი | 12 |
| მშობლიურ პრაღაში | 15 |
| მეტი დაბეჯითებით | 17 |
| შეხვედრები მოსკოვსა და ვარშავაში | 19 |
| ახალი გამარჯვება | 22 |
| მასპინძელი — არგენტინა | 25 |
| პირველი საბჭოთა ჩემპიონი | 30 |
| პირველი მატჩი | 35 |
| დედოფალი შეიცვალა | 42 |
| ტიტული დაიბრუნა | 48 |
| კირა ზვორიკინას ამაო გარჯა | 50 |
| ეპოქალური მატჩი | 55 |
| დედოფლის შეუვალობა | 62 |
| განმეორებითი შეხვედრა | 68 |
| მაინც ვერაფერს გახდა | 73 |
| ამ შეხვედრაზე ოცნებობდნენ | 78 |
| ახალი, 17 წლის ჩემპიონი | 88 |
| ქალთა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში (ცხრილი) | 100 |
| ბრძოლა გრძელდება | 101 |
| თამაშობენ ჩემპიონები | 106 |



**Гиоргадзе Тенгиз Шалвович**

**ОТ ВЕРЫ МЕНЧИК ДО МАЙИ ЧИБУРДАНИДЗЕ**

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1981

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19